

XI

Handwritten red marks and numbers, possibly "11" and "11".

პარი მეთერთმეტი

ქუჩუკ

ყარამანისანი

სპარსულიდან ჩართულად ნათარგმნი, სახლთ-სუცის და
სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან. „საამოთ სა-
სმენელი“.



გამოცემა მეორე

გამოცემული დ. ლაზარევის-მიერ.




ტფილისი

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა პრ. შუთათელაძისა, ნიკ. ქუჩა № 21.

1905.

Handwritten red text and stamps in the bottom right corner, including the number "11" and some illegible signatures.



www.madab.com

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8-го Февраля 1905 г.

შ ი ნ ა - ა რ ს ი :

ბქ ქუჩუკ-შარამანის დაბრუნება თავის სამშობლოსაკენ.—ბქ ეს ამბავი დაუტეოთ და კვალად ქუჩუკისა მოიხსენიეთ.—მსენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და კოკლი-მათუზ-დევის მიმავლობის ამბავი მოიხსენიეთ.—მს ამ მიმავლობაში დაუტეოთ და ნარიმანის ამბავი მოიხსენიეთ.—მსენი ამ მხარელების ამბავში დაუტეოთ და ფალევანთა ფალევნების ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ქუჩუკის ამბავი მოიხსენიეთ.—ქუჩუკი ამ სიხარულით მიგებებაში დაუტეოთ და პრდევან-შაჰისა და მეფეების ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ შარვან-დევნი და საჰმან-აღამ-ზადი, შარამან-ყათილის კუბოსთან დაუტეოთ და შაბულის ხელმწიფის ნარიმანისა და ქუჩუკის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ეს დიდებულნი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და პრდევან-შაჰასი, ქუჩუკისა და ნარიმანისა მოიხსენიეთ.—მსენი ამ ლხინში და განცხრომაში დაუტეოთ და სხვა ამბავი მოიხსენიეთ.—მსენი ამ საუბარში დაუტეოთ და აფთარ-ზანგის ამბავი მოიხსენიეთ.—მსენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და ქუჩუკისა და პრდევან-შაჰის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ბარდანქეშანის ამბავი მოიხსენიეთ.—მსენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და პრდევან-შაჰისა და ქუჩუკისა მოიხსენიეთ.—მსენი ამ მზადებაში დაუტეოთ და შოვლიბან-შირვანისა, ხოსროვშირისა, ქათრანისა და ბარამჯიბილის ამბავი მოიხსენიეთ.—მსენი ამ შექცევაში დაუტეოთ და შოვლიბან-შირვანისა, ხოსროვშირისა და ქათრანის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ პრდევან-შაჰა და ქუჩუკი თავიანთ ჯარით ინდოეთში დაუტეოთ და სხვები სიმრუდის მიმავლობაში—და მოვიდეთ ბაყბაყ-დევის ამბავში.—ბქ ამბირ და აფთარ-ზანგთან მოვიდეთ, რამდონი ხანი არ მოვიდეთ ამბავი, შარვან-დევისა და ქუჩუკისა.—ბქ ბაყბაყ-დევის ამბავი.—ბქ ომები შაქუტ-დევისა, საყანჩუნ-დევისა ამბირ-დევისა და აფთარ-ზანგისა.—მსენი მოსვენებაში დაუტეოთ და ბაყბაყ-დევთან მოვიდეთ.—მსენი ამ ფიქრში დაუტეოთ და ამბირ-დევისა მოიხსენიეთ.—მსენი აქ დაუტეოთ და ბაყბაყ-დევის ციხის აღების სამზადისი—და მოვიდეთ შარვან-დევთან.—ბქ ბაყბაყ-დევნი თავის თადარიგში დაუტეოთ და აფთარ-ზანგის წასვლა ინდოეთში.—ბქ ბაყბაყ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ბაყბაყ-დევის ძლიერი ომები და ციხის აღება.—მსენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და შარვან-დევის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ქუჩუკისა და მის ფალევნების ამბავი მოიხსენიეთ.—მს ფალევანნი და ხელმწიფენი ლხინში დაუტეოთ და ბაყბაყ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ქუჩუკთან შაშუქუნჯის მოსვლა.—ბქ ბაყბაყ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ქუჩუკის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ ბაყბაყ-დევის ამბავი.—მსენი აქ დაუტეოთ და შარვან-დევისა, ზორაბ-დევისა, ამბირ-დევისა და ზორაბ-შაჰის ამბავი მოიხსენიეთ.—მსენი ამ ფიქრში დაუტეოთ და ბაყბაყ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.—მსენი ამ მზადებაში დაუტეოთ ისევ ბაყბაყ-დევისა მოიხსენიეთ.—მსენი ამ ცემაში დაუტეოთ და კვალად ბაყბაყ-დევისა მოიხსენიეთ.—ბქ ქუჩუკის ამბავი მოიხ-

სენიეთ.—ბქ ძლიერი ომები ბაყბაყ-ღვეის ლაშქართან, სულ ერთიერთმანეთში არევე-დარევა ფალევენებისა და ბოლოს ძუჩუკის გამარჯვება და ბაყბაყ-ღვეის შეპყრობა.—მს თეთრი ღვეი ფიქრში და მომზადებაში დაუტეოთ და ბაყბაყ-ღვეისა და ძუჩუკის ომი ძლიერი.—ბქ პფთარ-ზანგის ამბავი მოიხსენიეთ.—მსენი ამ სალამში დაუტეოთ და ბაყბაყ-ღვეისა მოიხსენიეთ.—ბაყბაყ-ღვეი თავის ეშმაკურ ფიქრში დაუტეოთ და ისევ ძუჩუკისა მოიხსენიეთ.—ბქ ბაყბაყ-ღვეის ამბავი მოიხსენიეთ.—ბქ კვალად ბაყბაყ-ღვეის ამბავი.—მსენი აქ მოსვენებაში დაუტეოთ და ბაყბაყის ჯარის ამბავი მოიხსენიეთ.—მსენი ამ შექცევაში დაუტეოთ და აქ მოიხსენიეთ გარდაწყვეტით საშინელი სისხლის ღვრა და ბრძოლა ძუჩუკის ფალევენებისა და ბაყბაყ-ღვეის ფალევენებისა, შავი-ღვეისა, ხაზარ-ღვეისა, არჯავ-ღვეისა, საყანჩუნ-ღვეისა, შაქუტ-ღვეისა. ამათი სიკვდილი და დატყვევება ზოგიერთისა, ძუჩუკის ფალევენებისაგან და იმათ ჯარის დასაქსვა და ბაყბაყ-ღვეის დამარცხება და ძუჩუკის დიდ ხიფათისაგან გადარჩენა.—



ს უ რ ა თ ე ბ ი :

1. ყარაშან-სააშვირანის გვაშის ჰოვან თაჯახანის მთებში და იქილამ მოსვენება ყარაშანის ქალაქში, დეგებით და ფალევენებით.
2. საშინელი და საზარელი ომები—ქუჩუკისა და თავის ფალევენებისა, ბაყბაყ-ღვეის ფალევენებთან და სარდლებთან.



ქუჩუკ უარამანიანი



(გაკრძელება მეათე კარის, ქუჩუკ-უარამანიანის).

აქ ქუჩუკ-უარამანის დაბრუნება თავის სამშობლოსაკენ.

ქუჩუკმა ფარვან-დეუს უბრძანა: ფარვან თქვენ წაბრძანდით და რამდენიმე ათასი დევი იახლეთ და ის ხაზინა აქ მოზიდეთო. ფარვან-დევმა მდაბლად თავი დაუკრა და მაშინვე საჭმანი და მრავალი დევი თან წაიუყანა, როდესაც შიდაწიგეს იმ ბურუსით მოსილ ადგილს, ფარვან-დევმა უუღლცა და ის ბურუსი მაშინვე გადაიყრა და წრეც მოიშალა; იმ დროს ფარვანმა მისსხ დევები და რა იმ ხაზინას შეხედეს დიდათ გაჭკვირდნენ, რომ ნეტარ საიღამ შეეკრიბა იმდენა ხაზინა ნიშკალ-ჯადოს! და ქუჩუკის ფაქვობასაც დიდი ქება შესხეს. მაშინვე გამოზიდეს ის უანკარმო ხაზინა და მოზიდეს ქუჩუკთან. ქუჩუკმა გაჭეო რამდენიმე ნაწილად, ერთი წილი ფარვან-დეუს და საჭმან-ადამიანებს უბოძა თავის ამხანაგებითურთ ათორმეტთა დევთა. ერთი ნაწილი ამბირ და აფთარ-ზანგ დევეებს უბოძა; დანახენი ურიცხვ დევთა ლაშქარს დაურთო, — მაინც კიდევ ვერ გამოიღია, — რაც გადაჩა ნიშკალ-ჯადოს ხაზინა, ზარბაქ-დევის ხაზინაში აურთეს და სულ რეჟანბანსტს და რეიზანს მისცა, იმდენი რომ წაღებაც კი ეზარებოდათ.

ამ საქმეს რომ მოჩა, შემდეგ სამი დღე და ღამე იქავ განისვენეს და უცხო მეჯლისი გამართეს, შემდეგში, აიყარნენ დიდის დიდებით და უცხო შექცევით, მადრიბისტანში მოვიდნენ. როდესაც მადრიბის დიდებულთა

შეიტყეს მათ შობობა, წინ მოეგებნენ დიდის სიხარულით და მრავალთა თვალმარჯაღიტი თავს გადააყარეს, მერე გადმობნდნენ და დიდი მხიარულება და ჩრდილი გარდაიხადეს. სამ თვეს იქ დაჰყუვეს მხიარულებაში, სამთვის შემდეგ, მადრიბში მეპატრონეთ ერთი დიდებულთაგანი განაწესეს და მადრიბი იმას ჩაბაკეს. იმ დროს ქუჩუკს ოხელხან-ჯინი მოაკონდა, მამინვე უბრძანა რომ ოხელხან-ჯინი წარმოედგინათ მის წინაშე, მამინვე, ოხელხან-ჯინმა რომ შეხედა ქუჩუკის დიდებას, რომელსაც მთელი ზარბაქ-დევის სარდლები და სხასლარები ემორჩილებოდნენ და თვით ზარბაქ-დევიც გუდათ ამოღებულად, მამინ თავის გულში სთქვა: რა მენადვლებოდა რომ მეც ქუჩუკისათვის ერთგულად შემსახურება და მეც ამის ხელში ერთი კაცი ვეფიქვებოდა.

მამინ ოხელხან-ჯინი მოშორებით დააყენა, სიდაც მეჯლისში დიდებულნი ბრძანდებოდნენ—და ქუჩუკმა წარმოთქვა ის წარმავალი ტანჯვა რაც რომ ოხელხან-ჯინმა ქუჩუკს შეამთხვია და უდალსა მოგზაურობაში დიდ ოკეანეს ზღვის კუნძულსში. ყოველივე თარვან-დეუს, საჭმან-აღამზადს და სხვა იქ მყოფთა დეუთა. რა ამათ ამისთანა წინააღმდეგი საქმე და დადასტოვი შეისმინეს, უნდოდათ რომ ოხელხანის როგორც ერთი კვერცხი ისე შეეხვრიტათ. მამინ ქუჩუკმა უთხრა: ზეი შენ ოხელხან! ერთი ის მიბრძანე შენ ჩემგან რა შეცოდება გენახა, ანუ რა ავი საქმე მოგაკონდებოდა? რომ ვამომიშეკო და იმისთანა ტანჯვას მიშეცი და იმ თვალგადუწვდენულ ჭაღაკში დამკარგე! ან რას ფიქრობი რომ იმ უფსკრულიდამ ვამოსვლა ხორციელად აღამიანს განა შეეძლო? მე ერთი დღის განკებამ დამისხნა იმ ძნელს განსაცდელისაგან. ქუჩუკმა მეტი აღარა სთქვარა და მამინვე უბრძანა თავის კოჭლ-დეუს და სრულიად ლუკმა-ლუკმად აქცევინა და იმისი მურალი მძვარი ზღვაში გადაურყვინა.

რა ამისაგანაც მოიცალა, სალხინო სახლს შევიდნენ და ერთი კვირადიდი ღვინო გარდაიხადეს, შემდეგ ქუჩუკმა უბრძანა თავის ერთგულ მათუზ-კოჭლ-დეუს: ზეი ჩემო ერთგულა და ჩემთვის თავდადებულა! შენგან დიდი სიკეთეები მომგონდება და დიდი ამაგიც მოგიძღვის ჩემზედ, ამისთვის დიქსიცა ხარ და კიდევ მამობობის ეს მადრიბისტანი შენთვის, სუშვილის-შვილად;—მოყოფებულად ვიდრე ბნელეთის ქვეყნის კიდემდის და რეჰანბახტის სამზღვრამდის.

მამინ მათუზ-დევი მუხლზედ დაეცა დედაშიწას—და ისე მიტანლოვდა; მუხლთა აკრცა და მოახსუნა: ზეი ფაღვეანთა ფაღვეანო! მე ამდენს წყალობას არა ვდირსვარ თქვენგან! დიდათ დალოცა და მადლი მოახსუნა: ქუჩუკმა კვალად უბრძანა: ამ უამად შენ, შენთვის ერთი ნაიბი უნდა

ამიერიდან რადგანაც შენ კვალად ჩვენ უნდა გამოგვეყვე, ისე რომ ვიდრე ღვთიით უმანგონათში არ მივალთ, თქვენ უკან ვერ დაბრუნდებით. კატკლმადეკმა ნაიხათ ერთი დიდებულთაგანი განაწესა იმ ახლად შექნილ არქიმარქში. შემდეგ აქედამ აიყარნენ და ინდოეთისაკენ წამოვიდნენ. რა ინდოეთს დაუახლოვდნენ მაშინ რუიზანმა რამდენიმე ფერები გაგზავნა სხჩქაროდ თავის დიდებულებით, ქუჩუკისა თავისი და რეჟმანბასტის მისულა, აცნობა. რა ეს ანბავი ინდოეთის დიდებულთა შეიტყეს, იმ უამად ვისაც კი სიარული შეეძლოთ, მთელი ინდოეთი, ქალი თუ კაცი ემარწვილი თუ შობუცი, სუვეკლა ერთიანად მოიგლიჯნენ და წინ მოსაკებებლად წამოვიდნენ. რომელსაც რეჟმანბასტის ტანტი ებარა, მაშინვე რეჟმანბასტის სასახლე, უცხოელ შესამკობინა და რამდენიმე ცეცხლით სათამაშოები გამართეს. მაშინვე ორსი ვეზირი, ათასი დიდებული თავიანთ ჯალათებით და ასი ათასი ინდოეთის ჯარით წინ მოსაკებებლად გამომართნენ, რამდენიმე დღე იარეს და ერთ უცხო და სასიამოვნო, წელიან და უკავილკან მინდრეს ჩამოხტნენ—და იქ მიეგებნენ, დიდის აღტაცებით და დიდძალი თვალ-მარკალიტი გადააყარეს თავს ქუჩუკს, რეჟმანბასტს და რუიზანს, ისე რომ თვალ-მარკალიტი აღარა სჩანდნენ, მაშინ ჯალათნიც მოეგებნენ და ზირმიწავკურთებით ღმერთს მადლობას სწირავდნენ, როდესაც თავიანთ მოწუაღე ქუჩუკი და სხვანი დაინახეს მშვიდობით. დიდის ხმით ულოცავდნენ მშვიდობით განთავისუფლებას იმ უზარმაზარ ხალხის შეუბრალებელ, სისხლის მსმელ ზარბაქ-დევისკან. ხალხსა და მოქალაქეთა ისეთი სიმხიარული მიეცათ რომ ენა ვერ წარმოხტქვამს.

რა იქილამ წამობრძანდნენ. ხალხის სიმრავლისკან კაცი ფეხს ვერ აუქცევდა, ყოველი სული, დიდი თუ ზატარა, დიდის ხმით შესძახდნენ, რომელიც უერთა სმენა აღარ იყო. „მშვიდობა თქვენი. გამარჯვებით. მობრძანება, ფაღვანთა-ფაღვანო და გმირო საპურიანო და ჩვენო მხსნელო!“ ამისთანა სიხარულით და აღტაცებით შემოვიდნენ ინდოეთში. იქ უცხოთ მომზადებულ სასახლეში ჩამოხდნენ. რასაკვირველია სასახლის წინაც დახვდნენ უცხოთ დართულნი ნაზირ-ვეზირნი და სასახლეში შეიყვანეს დიდის ყოფით და დიდებით, რომელნიც ნაზირ-ვეზირნი ზრდილობანად და მოწიწებით ექცეოდნენ, რომელთაც მშვენივრად შეეძლოთ რეჟმანბასტის ტანტი და ათასი ვერცხლის და ოქროს სკამები დაეღვათ. როდესაც მობრძანდნენ სასახლეში, ყოველნი თავთავის დირსეულ ალაგს დასხდნენ და რეჟმანბასტიც თავის ტანტს დაბრძანდა და თავის სახელმწიფო გვირგვინი თავს დაიდგა, აგრეთვე რუიზანი თავის დედოფალი გვერთ მარსო თავის გვირგვინით. იმათთან მარჯვნივ მხარეს საპურიანობის სკამზე ქუჩუ-

გი დაბრძანდა, ქუჩუკის ზირდაზირ ფარვან-დევი, ფარვანის გვერდით სსჰ-მან-ადამზადი, სსჰმანის გვერდით ამბირ-დევი, ამბირთან, აფთარ-ზანგი-დევი, და მეორე მხარეს ზოკაბ-შაჰა, იმის გვერდით ზოკაბ-დევი. მერე ჩამოკრიგებით სხვა ფაღვეანნი და დიდებულნი. რა უფაღვეანი დასხდნენ, მეჯღისი გაიმართა და დიდი სიხარული შეექმნათ უფაღველთა იქ მეოფთა, მხოლოდ ქუჩუკს ხშირად თავის გულიჯანი აკონდებოდა და წარბებს შეიკუმუხენიდა ხელზე. ბოლოს და ბოლოს ცოტათი მოიწყინა და ფიქრში შევიდა, იმ დროს თავის დამ რუიზანმა შეამჩნია ძმას, მაშინვე მოახსენა: ჩემო თვალის სინათლე, საუვარელო ძმაო და ჩემო მხსნელო, რაზედა ხარ მოწყენით? მე უკეთ ვიცი თქვენს მოწყენის მიზეზი, რომელიც შენი მარად საფიქრებელი გულიჯანია, იმასაც დავითმ მალე ნახავთ. ქუჩუკმა უპასუხა: ცუდი საუვარელო ჩემო დეო! თუმცა ათხუთმეტი წელიწადი მკვითმიხე მავრამ თქვენ რომ ჩქარა წასვლას მშინდებით ეკ რა გვარი მასპინძლობა? მე მსურს თქვენს სახელმწიფოში ერთს წელიწადს დავეყო. ამ სიტუვასე რუიზანი წამოხტა და ორსავ თვალში აკონდა, მერე რაგუშან-ბახტიც ადგა და ტახტიდამ ძირს ჩამოვიდა და ქუჩუკს მოახსენა: დიდს წყალობათ მივიღებთ მავ თქვენს სურვილსაო, მიუახლოვდა და ბიხს აკონდა ისე რომ ქუჩუკის ერთი წელიწადი იმათთან დგამა დიდათ სასიამოვნო იყო. მაშინ ხელმეორეთ გამართეს მეჯღისი და დიდი ღვინი გადაახადეს, მრავალი სათამაშო ჩრადლები, უახსებზე ჯირითი და სრულა გაიმართა, ფაღვეანთა მღერა და შექცევას კარდაიხადეს, ერთი სიტუვით იმათ სიხარულს ენა ვერ მოსთქვამს და გონებაც კი ვერ მისწვდება, ქუჩუკის იმათთან უფენაც ერთი წელიწადი შესრულდა რომ უფაღველთვის ამისთანა დროს გატარებით შეექცეოდნენ.

ერთხელ რუიზანს მოაკონდა ადამ-ხანი და მუშთარ-ხანი, ამათზე დაიწყო ღამააკვი როგორც ისინი სმეტრად მოესივნენ თავიანთის ჯარით, რაგუშანბახტის სახელმწიფოს ასაკლებათ და რუიზანმა როგორი ოსტატობით და მოტუეებით შეიზურა ივინი, და იმათ ხაზინა როგორ წაართვა და მათი ღამქარი როგორ ამოწყვიტა და იმ ორივესი ტუსადათ შენახვა: ეს უფაღველივე ამბავი უანბო თავის ძმა ქუჩუკს, ფარვან-დევს, სსჰმან-ადამზადს და სხვა მრავალ ფაღველებს. ამბავად შეტად გავეირვებულნი დაჩნენ იმის ასეთ მხნეობაზედ, როგორც თავის ზამა ყარამანის შეშთაიბარზე შემჯდარიყო, ციხიდამ როგორც გამოსულიყო და ის ჯინისტინის ხელმწიფეები როგორ დაეპარცებინა, იმათი ჯარი და ორმეტი ათასი ჯადოს ღამქარი როგორ ამოწყვიტა. ამ რუიზანის გმირობა ადამ-ხანთან და აფიუ-ხანთან წინა წიგნშიც გვეჩინდა მოხსენებულად, ის ამბავი მოკლებთ უანბო რუიზან-

მ. ამ ამბავზე ფარვან-დევი და საჭმან-ადამზადი ასეთი გახდნენ იმათის
ჯავრით რომ კინადამ დაისოცნენ, ქურუკი ხომ უშეტესად.

მაშინ მოასსენეს: დედოფალ, თქვენ ასეთი მამაცობა და მხნეობა
მეგობრებთან რომ მეორედ მოსვლამდის დაუვიწყარი იქნება.

აქ ეს ამბავი დაუტეოთ და კვალად ქურუკის ამბავი მოიხსენიეთ.

იმ ვამად ერთი წელიწადი შესრულდა ქურუკის იქ ყოფნა თავის დას-
თან და სიძესთან. შემდეგ ქურუკმა რამდენიმე წიგნი დასწერა: ერთი შაჰ-
ზადი-ფერიას მისწერა თავის სიმამრს, მეორე თავის სიმამრიშვილს ბა-
რამ-ჯიბილს, მესამეც თავის დედ-მამას, თავის ინდოეთში მშვიდობით
დაბრუნება და იქ ყოფნა, ერთი წიგნიც ცალკე არდევან-შაჰს და თავის
მისვლის დრო დაუნიშნა, რა ესე წიგნები დასწერა, მაშინვე თავის ერთ-
გულ მათუხ-დევს მისცა და გაისტუმრა. თვითონ კი ისევ ღებინსა და
შექცევასში დროს ატარებდა. მას შემდეგ ერთი კვირა კიდევ დარჩა შექ-
ცევასში, — შემდეგ ფარვან-დევი მოიხმო თავისთან და უთხრა: ფარვან, აწ
დროა ჩვენი წასვლისა და უნდა მზადება იწყეთ, მაშინვე იწყეთ ფარვან-
დევმა თადარიგის დაჭერა, ფარვანმა მოიწვია საჭმან-ადამზადი და ათი
კარგი ტასტის შეკვრა უბრძანა: რა ტასტები მოამზადეს და შეამკეს, რფ-
შანბასტმა თავისი საჯარო (ხაზინა), გახსნა და იმოდენი ფეშქაშები მი-
ართო ქურუკს რომ წადებათ უშიძიდათ. — შემდეგ ფარვანს, საჭმანს და
თავის ათერთმეტს დევთა საჭმანის ამხანაგებს, ზორობ-დევს, ზორობ-შა-
ჰს, ამბირ-დევს, აფთარ-ხანკს და სხვათა მრავალი დაურვიცა, ისე რომ
ერთი საჯარო სულ დევთა და ფერიას ჯართა გასცა. რა ეს საჩუქრები
დაურიცა, თავის ქვეყანა ვისაც წინად ებარა იმასვე ჩააბარა, ხაზირ-ვეზი-
რი დაუწესა და შემდეგ უბრძანა: ასი ათასი კარგი მეომარი დაშქარი შე-
ეყარათ თავის სარდლებით. როდესაც ჯარები შეყარეს, მეორე დღეს კიდევ
აიყარნენ და უშანგბათისაკენ გაემგზავრნენ, უფიქლი თავის შესაფერს ტასტ-
ზე ისხდნენ და ისე მიემგზავრებოდნენ.

ესენი ამ ბრძოლაობაში დაუტეოთ და კოჭლი-მათუხ-დევის
ბრძოლაობის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც კოჭლი-დევმა წიგნები ჩაიბარა ქურუკისგან წასაღებად,
მსწრაფად ჰქერში აღიწვია, ფრთა-ფრთას შემოჭკრა, დღე და ღამ მყო-

სვენრად იარ და შეეჭვსე კვირას უშანგბათში მივიდა, რა ჩამოხდა მაშინვე ნარძინის სასახლისაკენ გასწია, ამ დროს შეხედეს ნახეს რომ ჰყარდამ ერთი საშინელი დევი ჩამოხდა და პირ-და-პირ ნარძინის სასახლისაკენ მოდის, დარაჯთა რომ შეხედეს მაშინვე იცნეს რომ ქუჩუგოს ერთგული კოჭლი დევია, დარაჯნი მიემშვიდობნენ მათუზ-დევის და ტკბილის საუბ. რით შეიყვანეს სასახლეში.

ეს ამ მიძავლობაში დაუტეოთ და ნარძინის აძბავი მოის-
სენიეთ.

როდესაც კოჭლი-დევი სასახლეში მიიყვანეს, იმ უმად ქუჩუგის ხსენებაში იყო ნარძინი, და ანგარიშობდნენ რა ხანიც გასულიყო ქუჩუგის ზარბაქ-დევზე წასვლა, ანგარიშეს და თხუთმეტ წლამდის გამოიყვანეს და ამ დროს განმავლობაში არაფერი ცნობა არ ჰქონდათ და ამასეც ნარძინი დიდათ სწუხდა: შეორე მსკითაც თავის მამა ურამან-სააპვირანის დაკარგვა და სად უოფნის აძბავი ვერა გავგოთრა, ამასეც დიდათ მწუხარებდა ნარძინი. როგორც მესამე კარში მოვიხსენიეთ, ურამანი რაც თავახანის მთაში წავიდა უდაბნოში სალოცავათ მას აქეთ ათმა წელიწადმა განულო და არც სიცოცხლისა იცოდა, არც სიკვდილისა და ამ ორ საქმესეც დიდად მწუხარებდნენ მთელი სასახლე, მეტის სამწუხარისაგან სარვინურამანი ურამანის ცოლი. ძლიერ მოუძღურდა. იმ დროს ნარძინა, ჰუსნიარა, სარვინურამანი, გულიჯანი, შავაღ-შავა და ბარამ-ჯიბილი ერთად შეურილიყვნენ და მათ საქმესეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ იმათში გულიჯანი უფრო დიდათ იყო მოწვენილი და უოველთვის დადგრემილა! სწორედ ამ დროს შევიდნენ დარაჯნი ნაზირ-ვეზირნი და ხელმწიფე ნარძინს მოახსენეს: „ტეი ხელმწიფე! ვახარებთ თქვენს დიდებულებას, რომ თქვენი საუვარელი შვილის ქუჩუგის ერთგული კოჭლი-დევი გაიხლართა!“ იმ დროს მათუზ-დევიც შეიყვანეს ნარძინთან. მათუზ-დევმა შეხედა ნახა რომ ეველანი ერთად შეურილიყვნენ და რადახედაც ლაპარაკობდნენ, კოჭლი-დევა თიცხლავ ნარძინისაკენ წავიდა მუხლთ მოიდრიკა და მუხლს აკოცა, და შავაღ-შავას კალთას, ბარამჯიბილსაც მიესალმა, სარვინურამანსაც სალაში უძღვნა, ჰუსნიარას და გულიჯანსაც. როდესაც ნარძინმა და კრებამ მათუზ-დევი იხილეს, ერთხმით შესძახეს, მშვიდობა შენი მოსუჯა და ნახვა, მათუზ-დევა!.. ეველამ პირში ცქერა დაუწიეს და ელოდებოდნენ თუ ნუ ტარ რა აძბავს გვეტყვისო. კოჭლი-დევმა ზრდილობიანად მოახსენა: მოგლოცავთ ხელმწიფეო და დედოფანო, ქუჩუგ-ურამანისაგან, ზარბაქ-

დევის სიკვდილი და იქიდან მშვიდობით დაბრუნება ინდოეთში და მრავალი მოკითხვა ქუჩუკისაკან. მაშინ ამოიღო უბიძამ წიგნები და ზარველად ხელმწიფე ნარიმანს მიართვა და შემდეგ სხვეებს. ერთი წიგნიც საკუთრივ ბურჯ-ვეზირს მიართვა, რა წიგნები მიიღეს, ოთხსაფ-კუთხიდან იმდენს თვალ-მარგალიტი გადააყარეს თავს რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. ხელმწიფე ნარიმანმა საკუთრივ ერთი სახელმწიფო ხალათი უბიძამ ძვირფასი და ერთიც სოფელი. შემდეგ ამ საჩუქრებისაკან რომ მოიცალეს, დასხდნენ და მათუხ-დევი ზირდავირ დაისვენ და სხვა და სხვა ამბავს ჰკითხუდნენ, მადუხ-დევიც მოჰყვა და რა ხანიც ქუჩუკი მათ გაჰყარდა და რაც თავს გადახედოდა, ანუ ოსელების-ჯინმა ჭალაკში და ბნელს საკანში როგორ დაჰკარგა, ან ჯინისტნის ხელმწიფეები როგორ დაამარცხა და რაც გადახედოდა ქუჩუკს თავს უფულოდ უკლებრივ მოასხენა მათ უფელას.

მაშინ ბურჯ-ვეზირმა გაკვირვებით სთქვა: მე რომ მაშინ მრამდი ვყარე და მისი ეტლი ვნახე, იმისაკან საკვირველი არ არის, მე რე უთხრა: ჭე მათუხ-დევი! ქუჩუკს სად დანებე თავი? მათუხ-დევიმ მოასხენა: ბურჯ-ვეზირი, მე რომ გამამისტუმრა თვითონ სამის დღის შემდეგ უნდა წამობრძანებულყო — მე ის დავტოვე ინდოეთში. მე რე გულისჯან მა ჰკითხა: მხიარულის კილოთი, მათუხ შენ რამდენი დღე იქნება წამოსულხარ? — მათუხმა მოასხენა: კეკლუტთა დედოფალი და მშვიდნიერებით უნაკლო, ჩემა წამოსვლა ინდოეთიდან, დღეს შექვეს ვვირა განლავსით. მაშინვე ერთი წიგნი მისწერეს და უათრანი მოიწვიეს: მეორე წიგნიც არდეგან-მაჰას და ხოსროვირს, მესამე წიგნი დასავლეთის ხელმწიფეს უფლისბან-შირვანს და საჩქაროდ წამოსვლა სთხოვეს და თვითონ წასასვლელად მზადება იწვეს; ახლა ნარიმანმა გამოიკითხა: ქუჩუკს თან ვინ მოსდევს? — მათუხმა მოასხენა: ხელმწიფე, ქუჩუკს მოსდევს თქვენი სიძე ინდოეთის ხელმწიფე როფშინბახტი და თქვენი ასული რუიზან დედოფალი, თარვან-დევი, იმასთან საჰმან-დამზადი თავის ათერთმეტ ამხანაგებით, იმათთან ზორაბ-მაჰა, ზორაბ-დევი, აგრეთვე ახლად შექენილნი ფალეუანნი ამბირ-დევი და აფთარ-ზანგი-დევი. ნარიმანმა ეს უცხო სახელეუბი გაიკვირვა და ჰკითხა: მაგ სახელების ფალეუანნი ჩვენ არა გველდა და ვინ არიან? კოკლმა-დევიმ მოასხენა: დიდებულ ხელმწიფე, ესენი განლავან ზარბაქ-დევის ზირველი სარდალნი, რომელნიც ქუჩუკმა დაიმარცხილა და ახლა ქუჩუკის სამსახურში იმყოფებიან.

ესენი ამ მსიარულობის ამბავში დაუტეოთ და ფაღვევანთა
ფაღვევების ამბავი მოისვენეთ.

რადესაც ნარიშანმა წიგნები დამზადა, მოხმობ თავის სარდალი და უოველ გმირთან გაგზავნა და აცნობა რომ ქუჩუკი მადის მშვიდობით და გამარჯვებითაჲ, ამიტომ ჩვენ უოველსა გვმართებს მივეგებოთ გზასა ზედა თავის შესაფერად, და ვუცხადებ უოველსა ჩემსა მკეთესა და მეკობარს რომ მიიღონ სიხარულში მონაწილეობა. გწერთ ქუჩუკ-ყარაშანის მამა ნარიშანი. სარდალმა უოველი წიგნები წაიღო და უოველ გმირს მართვა. შირველი წიგნი უოვლიბან-შირვანს მართვა, რა უოვლიბანმა ქუჩუკის მშვიდობით მომკლობა გაიგო დიდს სიხარულს მიეცა და წიგნის მომტანს მრავალი აჩუქა და მზადება დაიწყო მისაკებებლად, ასი ათასის ლაშქრით. მეორე წიგნი უათრანს მართვა და უათრანიც ხუთასის რჩეულის ფაღვევანით დაემზადა მისაკებებლად. მესამე წიგნი არდევან-შაჰას. მართვა და ხოსროუშირს, ამით ისე გაიხარეს რომ მეტი აღარ შეიძლებოდა, მაშინვე ესენიც წამოვიდნენ დიდის დიდებით და უოფა-ქცევით. ესენი უოველნი ნარიშანის სსახლესთან მოვიდნენ და ქალაქში ჩამოხდნენ. ნარიშანმა თავის ჯარები განაწყო და მისაკებებლად გზას გაუდგინა, ამითი უეკლანე უმეტესად გულიჯანი ხარობდა და ნავარდობდა, რომელსაც თხუთმეტის წლის უნახავი სავჯარელი ქუჩუკი უნდა ენახა და მით დამტკბარიყო.

აქ ქუჩუკის ამბავი მოისვენეთ.

იმ დროს რადესაც ქუჩუკმა თავისი ერთგული მათუზ-დევი გამოისტუმრა მესამე დღეს თვითონაც აიყარნენ და დიდის დიდებით და ჯარებით გაემგზავრნენ ინდოეთიღამ, იარეს ხან ხმელეთით და ხან ზღვით და უშანგბათს მოახწიეს, მხოლოდ სამის დღის სავაჲს ჩამოხტნენ და იქ შეიცადეს. იქიღამ უოვლიბან-შირვანიც თავის ლაშქრით მოვიდა უშანგბათში. მაშინვე ნარიშანს მოხსენდა რომ თქვენი ბიძის ძე უოვლიბან-შირვანი მოხრძანდაჲ, იმ უამად ნარიშანი წინ მიეგება ერთმანერთს გადაეხვივნენ ეამბორნენ ხელი-ხელთ მისცეს და სსახლესი შევიდნენ, ვიდრე ესენი დასხდებოდნენ, არდევან-შაჰა, ხოსროუშირი და უათრანიც მოვიდნენ თავიანთ სარდალებით და ფაღვევებით, უოველნი ერთად შეიყარნენ რადესაც ფაღვევანთა და სარდალთა, არდევან-შაჰა იხილეს, უეკლანი. წინ მიეგებნენ და შირდამხობით სალაში ჰკადრეს და ერთმანერთს შირსა აკაცეს,

და უოველინი თავთავის ალაკს დასსდენ. ზირველად არდეჲან-შაჰამ მიუღო-
 ცა ნარმანს ქუჩუკის მშვიდობით განთავისუფლებს და სოქვა მადლობა-
 დმერთს რამ თქუენი შვილი და ჩემი ძმა ქუჩუკი მშვიდობით უნდა ვი-
 ხილოთო. მერე ჰუსნიარას და გუელიჯანს მიუღოცა, ბანოვანნი მაშინვე
 ფესზე წარმოსდგენ და არდეჲან-შაჰას ხელს აკოცეს, შემდეგ გაიმართა
 დიდი ღვინი და შეჯდისი, ისეთი რამ იმისთანა ღვინი დასასამიდამ აქ-
 ნომამდე არ მომხდაროო. შემდეგ არდეჲან-შაჰამ ბრძანა ქუჩუკის კოჭლი-
 დევის მოყვანა, მაშინვე კოჭლი-მათუზ-დევი შემოიფანეს, რა კოჭლი-
 მათუზ-დევი არდეჲან-შაჰა დაინახა გაქანა ფესთ აკოცა მობრუნდა და
 ყოფლიბანს, ხოსროჲმის და ყათრანს სალამი უძღვნა, ამათაც მშვიდო-
 ბით მოიკითხეს. შემდეგ ერთი სკამი მოადებინა არდეჲან-შაჰამ და ზირ-
 დაზირ დაისვა და უბრძანა: მათუზ ჩემს მზესა ყოფელივე უნდა დაწვრი-
 ლებით შიამბო, რაც ჩვენ გავგუროა, რაც ამბავი გადახედია ქუჩუკს.

ამ დროს კოჭლიმა ჩანხველა ხმა გაიწმინდა და მოჰევა, ვეველათო
 წვრილად უაძობ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ქუჩუკის ამბავი და თავ-
 გადასვალი. ამისი მსშენელნი დიდათ ჰკვირდებდნენ ქუჩუკის ფაღვანობას,
 შემდეგ კვალად მოახსენა: ჭეი მადლო ხელმწიფეო! ზარბაქ-დევის ძლიერ-
 კების თქმის ჭკუა ვერ მისწვდება მაგრამ დუთის ძალით იმის ტყავი გუ-
 დათ ამოდებულნი მოაქვთ ერთ ტახტითო. როდესაც ესე გაიგეს დიდათ
 გაოცდნენ, მაშინვე არდეჲან-შაჰა ტახტიდამ ჩამოვიდა დაინახა და სთქვა:
 „ჰი, საბაოთ დმერთო! ვმადლობ შენს მოწყალებას რამ იმისთანა უმაწვალს
 ისეთი ძლიერება მიეცით რამ ამდენი დევი, ჯინნი და ქაჯნი, ამოსწვდი-
 ტაო; უმეტესად რომელნიც ქვეყნის მავნებელნი იყვნენ და იმ ბილწოვან
 ძლიერი ვნება ჰქონდათ ადამიანთ ტომთა. კვალად მადლობას გიძღვნი
 უფალო რამ ის ერთი სჩაგრადა მთელ ქვეყნიერობას და არა ქვეყნიერ-
 ცობა იმ ერთს. ამისთვისაც გწირავ მადლობას შენ მეუფეო რამ კაცთა-
 განაც დაჭბადე იმის მოზირდაზირე და მოეცი ჩემს ტახტს საფერი სააბ-
 უირანი ყარამანის ნადვალად“. რა ესე ლოცვა დაასრულა, მაშინვე ბრძანა:
 გვმართებს დღეს კარგი მეჯდისი გადავიხადოთ და ხვალ უეჭველად გზას
 გაუდგეთო. ბარამჯიბილმა იმ წამსვე უბრძანა სამეჯდისიოდ მომზადება, აკ-
 რეთვე ტახტების დამზადება წასასვლელად. შემდეგ გაიმართა დიდი მეჯ-
 დისი და ღვინი და იქვე კარდაიხადეს დღესასწაული. რა დილა გათენდა
 და ქვეყნის დამამშვენებელმა მხემ თავის ბრწეინვალება მოჰფინა ქვეყანას,
 ახსენეს დმერთი და ერთი ტახტი რომელიც უფრო უკეთესი იყო, არდეჲან-
 შაჰასთვის დაამზადეს, მეორე ტახტი ჰუსნიარასთვის და გუელიჯანისთვის;
 მესამე ნარმანისთვის, მეოთხე ყოფლიბან-შირვანისთვის და სხვებისთვის.

ესენი უოველნი თავთავის დამზადებულ ტახტებზე დასხდნენ; მაშინვე რჩეულნი, კარგათ დართულნი ფერიები მოვიდნენ, აწიეს ამათ ტახტები და ქუჩუკისაკენ გამგზავრნენ წინ მისაკებებლად. რა ნახევარ გზა გაიარეს; იმ დროს კოჭლი-დევი მოვიდა დიდებულთა მიძიდ თავი დაუკრა და გამოეთხოვა, რათა აღრევე ქუჩუკს აცნობოს იმათი მობრძანება, კოჭლმა მაშინვე ჭყერით მსწრაფად იარა თავის მანქანებით და მეორე დღეს ქუჩუკის წინაშე გაჩნდა, რა უცხოთ მორთულ კარავში შევიდა ქუჩუკთან, ნახა რომ დაბრძანებნი სხედან და უცხოთ შექტევნიან, მსწრაფად ქუჩუკისკენ გასწია მდებლად თავი დაუკრა და მუხლს აკოცა, მოახსენა: ფაღუვანო მიხარებია, დიდი ხელმწიფე უშანგის შვილი არღევან-შაჰა, მათთან მამა თქვენი ნარიმანი ქაბულის ხელმწიფე; დასაუფეთის ხელმწიფე უოველიბან-შირვანა, ყათრანი, ბარამ-ჯიბილი, ხოსროვირი, შაჰზადი-ფერი, დედოფალი საჩვიხურამანი, დედოფალი ჭუსნიარა დედა თქვენი — და დედოფალი გულიჯანი, მობრძანებნიან თქვენს მისაკებებლად. რა ქუჩუკმა შეიტყო ესეთი სასიამოვნო ამბავი, მაშინვე სამხიარულად ნაღრას დაკვრეინა.

ქუჩუკი ამ სიხარულით მიგებებამი დაუტეოთ და არღევან-შაჰის და მეფეების ამბავი მოიხსენიეთ.

იმ ჟამად როდესაც კოჭლი-დევი ნახევარ გზადამ ხელმწიფეებს გამოეთხოვა და ქუჩუკისაკენ გამოეშურვა ამბის მისატანად, მათ მომავლობისა, მაშინვე არღევან-შაჰა თავის ლაშქრით, ნარიმანი და სხვა მთავარნი უოველნი მის კვალს გაჭევირნ და მსწრაფის სიარულით მივიდნენ შორიანხლო ქუჩუკი სადაც იყო ჩამომხდარი, ესენიც იმ მთის ძირში ჩამოხდნენ. იმ დროს ქუჩუკმა რომ გაიგო მათა მობრძანება გუფმა ვეღარ მოუთმინა ამხედრდა თავის სამცხენაზე და მიესწრაფებოდა მათ სახანავად. მეორე მხრიდამ აგრეთვე ამათაც გუფებმა ვეღარ გაუძლეს და რა არღევან-შაჰა და თავიანთ ლაშქარი დაბანაკეს, ამათაც მოაწადინეს მსწრაფად ქუჩუკის მისაღება: ამხედრდნენ ცხენებზედ, ხოსროვირი, ყათრანი, კარდანქეშანი, რომელიც იმ ჟამად შარიბ-შაჰას ახლდა და ბარამ-ჯიბილი და დაწინაურდნენ. რა დაუახლოვდნენ ერთმანერთს ქუჩუკი ერთ მხრიდამ მომავალი და დიდებულნი მეორე მხრიდამ, კარდანქეშანმა შეხედა ნახა რომ დიდადი ჯარი დგას დევთა, ჯინთა და ქაჯთა. რა ქუჩუკი დაუახლოვდა დიდებულთა, მაშინვე ჩამოხტა თავის სამსურ ცხენიდან და წინ მიესწრაფა, მკლავება გაშალა აღტაცებით და ხოსროვირს მივარდა, კარდანქეშა და ერთ

ყამამდე ერთმანერთს ლაშნიდნენ, შემდეგ უათრანს, ბარამჯიბილს, კარ-
დანქეშანი მიუახლოვდა და კალთას კოცნას უზიარებდა, მაგრამ ქუჩუკმა არ
გაუშვა, ხელი სტაცა ააყენა და ზირსა აკოცა, აგრეთვე ფარვან-დევისა და
საჰმანს; უფველ დიდებულს თავმდაბლად მიესალმა ხელი ჩამოართვა და ზირსა
აკოცეს ერთმანერთს და ისე ეალერსებოდნენ. რა ქუჩუკის მისალმებისაგან
მოიცალეს, მობრუნდნენ და როგონბახტი და რუიხანს მიესალმნენ—დი-
დებულთა მიულოცეს ქუჩუკის გამარჯვება სარბაქ-დეგზე და მის მშვიდო-
ბით ხილვა, ამათაც მადლი გადაუხადეს.

რა დროსაც ხოსროუშირი, უათრანი, ბარამჯიბილი, კარდანქეშანი და
სხვანი წამოვიდნენ წინ მისაკებებლად, მაშინ ადარც არღევან-შაჰს დარჩა,
ესენიც აიყარნენ და წამოვიდნენ, რა ესენიც მიუახლოვდნენ, მაშინვე ქუ-
ჩუკი, ხოსროუშირი, უათრანი, როგონბახტი, ფარვან-დევი და საჰმან-ადამ-
ზადმა გასწიეს დიდის ნავარდობით და არღევან-შაჰს წინ მიეგებნენ. არ-
ღევან-შაჰამ რომ ქუჩუკი ქვევითად მომავალი იხილა, თვითონაც მსწრაფლ
ცხენიდან ჩამოხტა. ქუჩუკი მივარდა და მუხლთა კოცნას უზიარებდა, არ-
ღევან-შაჰამ არ გაუშვა, ხელი სტაცა ააყენა და შუბლს აკოცა და დიდხანს
ერთმანერთს ეხვევოდნენ. მერე ნარიმანი მოვიდა, ნარიმანიც დიდის სი-
ყვარულით მოექცა თავის საყვარელ შვილ ქუჩუკს და გულში ჩაიკრა და
მიეალოცა. ქუჩუკმაც მძიმედ ხელს აკოცა და სიყვარულით მოიკითხა მა-
მა თავისი ნარიმანი. შემდეგ არღევან-შაჰამ ერთი ხელი ქუჩუკს გაუყარა
მკლავში და მერე ხელი ნარიმანს, ისე წამოვიდნენ კეთილის საუბრით
კარავში. რა კარავში შევიდნენ ეგელანის თავთავის შესაფერ ადგილს
დასხდნენ. ერთი ჟამი არ გასულიყო რომ ჰყარში ნახეს რამდენიმე ტახ-
ტი გამოჩნდა და ეს ტახტები სწორედ იმ ადგილს ჩამოეშო სადაც ქუ-
ჩუკის კარავები იდგნენ. ქუჩუკმა შეხედა ნახა რომ თავის სარვიხურამანი
ბებია, დედა ჭუსნიარა და თავის სატროფო გულიჯანი იუვნენ; ქუჩუკი მა-
შინვე ამათ წინ მიეგება, სარვიხურამანმა როდესაც ქუჩუკი დაინახა, ვიდ-
რე იგი ახლას მივიდოდა, სარვიხურამანმა დაიჩქა და ღმერთს დიდი მა-
დლობა შესწირა იმის ცოცხალ ნახვისათვის, ვიდრე სარვიხურამანი თავის
ღვთის ვუდრებას დაასრულებდა, გულიჯანმა ვეღარ მოითმინა, კანჯარივით
გარდახტა და მსწრაფლ ქუჩუკს ეელს მოეხვია, მაშინ გულიჯანისა და ქუ-
ჩუკის სინარულს სამზღვარი ადარა ჰქონდა, ხან ერთმანერთს ლაშნიდნენ
ხან ტიროდნენ და ხანაც იცინოდნენ, სინარულისაგან არ გაეკებოდათ თუ
რასა შერებოდნენ, ამ გვარად ერთ ჟამამდე ტკებოდნენ ერთიერთმანერთით,
მერე ქუჩუკი მოუბრუნდა თავის ბებია სარვიხურამანს მუხლს აკოცა და
შემდეგ თავის დედა ჭუსნიარას ხელსა, ერთ მხარეს სარვიხურამანი ლა-

შნისა და მეორე მხარეს ჰუსნიარა. დიდი სისარული მიეცათ; შემდეგ კარვისაკენ წამოვიდნენ, იქიღამ ახლა როგომანბახტი და რუიზანი მოკეპებენ წინ, როგომანბახტი თავის სიმაძრს ხელს აკლცა და აგრეთვე სიდედრს, რუიზანმაც რა თავის დედა, ბუბია და რძალი იხილა, ორთა ხელსა აკლცა და გულიჯანს პირსა, ისინიც სიუვარულით მიესალმნენ. რა სალაში კათავეს, ქუჩუკის კარავში შევიდნენ, რომელსაც ზარბაქ-დევის კარავი ედგა, ისეთი დიდი იყო რომ ორი ათასი კაცი დაეტეოდან, აგრეთვე იმისი ტახტიც ფარვან-დევის ისე მშვენიერად დაემზადებინა რომ მეტი არ შეიძლებოდა, სხვა ტახტებიც მოემზადებნა, ერთი უცხო ტახტი არდევან-შაჰსთავის მოემზადებინა, მეორე ტახტი ბანოვანთათვის, ამ ტახტების გარდა, საფალეუნო სკამები კარიკებით დაეწყო. ყოველნი დიდებულნი და ბანოვანნი შებრძანდნენ და დაბრძანდნენ, მარჯვნივ მხარეს საპვირანობის სკამზედ ქუჩუკ-ყარამანი დაბრძანდა, იმის პირ-და-პირ ყოველიბან-შირვანი, ყოველიბანის გვერდზედ ხოსროვირი, ხოსროვირთან, ყათრანი და ბარამ-ჯიბილი, საჰმან-ადამზადი, შაჰზადი-შაჰი, არდევან-შაჰი, ზევით ქუჩუკის გვერდით ხარამანი, ხარამანთან ბურჯ-ვეზირი, როგომანბახტი, ფარვან-დევი, ამბირ-დევი, აფთარ-ზანგი, და კარდანქეშანი თავის ამხანაგებით, ასიმ-აიარით, შირფანჯა-აიარით, მხოლოდ ეს აიარნი, ხელთ ნაჯახ-პურობილნი არდევან-შაჰს თავს დაადგნენ, აგრეთვე კოჭლი-დევიც ქუჩუკს დაადგა. ამბირ-დევა და აფთარ-ზანგმა რომ ამისთანა წეს-წყობილობა და ამოდენა გმირები იხილეს, ძლიერ გაუკვირდათ და იმათი ვინაობა გამოიკითხეს: კოჭლი-დევმა ყოველნი გაცნო ვინცა ვინ იუვნენ.

მაშინ ამბირ-დევმა და აფთარ-ზანგმა სთქვეს თავიანთში: ძმავე დევინიც ესენი ყოფილან და ფალევანნიცაო, ამათი ჯინშის ქაღნიც და კაცნიც ყველანი გმირნი ყოფილან! ამათ ან რა დევი გაუძლებთ ან რა ჯადო, მეტადრე ხარამანს, ანუ ყოველბან-შირვანს და ხოსროვირს. რა კარვით დასტქერდნენ იმათ სახის მრისხანებას ვერ გაუძლეს და პირა მოარიდეს. მეორე მხარეს ტურთად შემკულ ტახტზე დამსხდარიყვნენ—სარვინურამანი, ჰუსნიარა, რუიზანი და გულიჯანი, ქუჩუკის სატრფო, ქუჩუკი თავის სატრფო გულიჯანს რომ შეხედავდა, სიუვარული ერთი ათასად უცხოველდებოდა. შემდეგ მოიღეს უცხო ზარი-ზარბაბის სუფრანი გაშალეს და ზედ უცხოთ მომზადებული საჭმელ-სასმელი დააწესეს, შექმნეს უცხო მეჯლისი და ლხინი, სამი დღე და ღამ ლხინობდნენ ყოველნი, ამ ლხინში და სიხარულში თან ქუჩუკი თავის თავგადასვალს უამბობდა და ზარბაქ-დევის ომებს. დარბაისელნი ჰკვირობდნენ ქუჩუკის მოქმედებას და ღმერთს მადლობას სწირავდნენ ქუჩუკის მშვიდობით გადაჩენისათვის.

სამი დღის ქეიფის და განცხრომის შემდეგ აიყარნენ და უშანგბათისაკენ წამოვიდნენ; რა მოუახლოვდნენ სატახტო ქალაქს, მთელი ინდოეთის ერთი მოკეცბუნე დიდის ამბით და ქუჩუკს თავს ტახტებით თვალმარგალიტს აყრიდნენ და ფეხთ ფიანდაზს უშლიდნენ—და ჭევიროდნენ! ყოველი დიდნი ზატარანი ქალნი თუ მოხუცნი! „მშვიდობა შენი მოხრისნება ფალეკანთა-ფალეკანთა და ჩვენთა მხსნელთა ყოველ გაჭირვებისაგანო!“ ქუჩუკ-ყარამანი სიხარულით ყოველს მადლს უხდიდა თავმდაბლად და თავის სამსურ-ცხენით ნავარდობდა მშვენივრად და ცქვიტად, ისე შემოვიდა ქალაქში, მთელი ერი გაკვირვებულნი უყურებდნენ აგრეთვე ქუჩუკის საფლამ სამსურ ცხენს და ჭევირობდნენ თუ ამისთანა ცხენი საიღამ ეშოვნა ქუჩუკს!? რომელიც იმ გვარი ცხენი არავის ენახა თავის დღეში.

როდესაც უშანგბათის ქალაქში შევიდნენ სასახლის წინ ჩამოხტნენ. მასინ უშანგის ქვრივი დედოფალი დიღშადი მოკეცა ქუჩუკს წინ, ქუჩუკმა რომ დიღშად დედოფალი დაინახა, მასინვე გაექანა მუხლზედ დაემხრა და მუხლს აკოცა; დიღშად დედოფალმა აყენა, შუბლსა და ორსავე თვალს აკოცა, შემდეგ ტახტის ალერსით შევიდნენ და ტახტს დასხდნენ, მასინვე მეფლისი გამართეს, დიდი სიხარული და დიდი მხიარულება გარდაინადეს. მთელ ერთ თვეს ქალაქ უშანგბათში შეეჭტოდნენ.

ერთ უამად ყოველი გმირი და ფალეკნები მეფლისში ისხდნენ შეუძრავნი, რომელიც ზევით დაგვისახელებია, ამ დროს არდევან-შაჰა ადგა ფეხზე და ძირს ჩამოვიდა ტახტიღამ, მივიდა ქუჩუკს ხელი ღაუჭირა და დალოცა გულმხურვალეთ, მიიყვანა და ყარამან-სააზერანის სკამს დასვა და მიულოცა, რომელიც წინად თავის ზაზა ყარამანს ეკუთვნოდა იგი დიდებული ადგილი მისცა, რამდონივე იულიმი ქალაქით. იმ დროს ყოველი იქ მყოფნი ხელმწიფენი და დარბაისელებიც წარმოსდგნენ ფეხზე მივიდნენ ქუჩუკთან და სააზერანობა მიულოცეს, თავის ზაზა ყარამანის შემკვიდრეობა. რაღა გავაგრძელოთ ამ კრებამ შვიდთა იულიმთა ხელმწიფეებმა დაულოცეს და სააზერანობის ჯიღა თავს დაადგეს და ხმალი წელთ შემოატყეს. მერე დასხდნენ და დიდი მეფლისი გადაინადეს და ის დღე იდღესასწაულეს. მას შემდეგ ერთი წელიწადი დარჩნენ ვიდრე ახალ წეს-კანონს დაამყარებდნენ. შემდეგ იქიღამ აიყარნენ და ყარამანია ქალაქს წამოვიდნენ, აქაც მოკეცბუნე იქაურნი დადებულნი და მოქალაქენი, ქუჩუკს ფიანდაზებს უშლიდნენ და თავს მარგალიტს აყრიდნენ. შემდეგ ყარამანის სასახლეში ჩამოხდნენ და ერთი თვეც იქ განუტყვეს სულ ღზანში და განცხრომისში.

მისცეს ერობას შუება და კეთილ-დღეობა, გლახკათა მოწყალება, ქვრივობოლთ შემწეობა, აყვავეს ქვეყანა და ხარობდა ყოველი სული და ადი-

დებდნენ ღმერთსა და ქურუკის სახეობას. შემდეგ იქიდანაც აიყარნენ წამოვიდნენ და ქაბუჯის ქალაქს მოვიდნენ, ნაწიმანის სახელმწიფოში, ჩამოხტნენ ნაწიმანის სასახლეში, იქაც დიდის პატივით დაუხვდნენ ერობა. ექვსი თვეც იქ განისვენეს ღზინში და განცხრომაში. ქურუკმა ზარბაქ-დევის ცინე რომ აიღო იმ დროს ექვსი დატუვეკებული დიდებულების ქალები განთავისუფლდა, რომელნიც თან მოიყვანა ქაბუჯის ქვეყანაში და უკვლავ თავიანთ მშობლებს ჩააბრუნა და იმათგან დიდი ღირსება-კურთხევა მიიღო.

ერთ უამად ამ მშვიდობიან დროს, ქურუკმა მოიხმო თავისთან ფარვან-დევი და საჰმან-ადამზადი, სთხოვა რომ ერთ განშორებულ მოედან ადგილს ერთი კარგი მინარეთი დაეღვათ და ზარბაქ-დევის გატუვეკებული ტყავი ბალახებით ამოეგსოთ და ზედ დაეყენებინათ ვით ცოცხალი, მხოლოდ ვიდრე არ დაასრულებდნენ ამ საქმეს, არავისთვის შეეტულობინებიათ ეს განზრახვა. მაშინვე ფარვან-დევი და საჰმან-ადამზადმა თავი დაუტოვეს ქურუკს და წავიდნენ სიცა რომ ქალაქის თვალსაჩინო ადგილი იყო იქ მინარეთის მოსამზადებლად. მაშინვე ერთი კარგი კაშკა შაკეს მარმარილოს თლილი ქვისგან, ხალსი მიდიოდნენ ხედავდნენ და ჰევირობდნენ, იძახდნენ, ნეტა ვიცოდეთ, ფარვანი და საჰმანი რას აკეთებენ! რა დაასრულეს მინარეთი, მივიდნენ და ქურუკს მოახსენეს: ფაღუვანო რაც რომ გვიბრძანე მზათ განსავითო. დიდი მადლობა მოახსენა და მერე უთხრა ქურუკმა: ახახლა ზარბაქ-დევის ტყავი აიტანეთ მინარეთზე და ისე უნდა დაადგინოთ ვითარ ცოცხალი დგას, მაშინვე როგორც ქურუკმა უბრძანა ისე დაასრულეს, ვინცა ვინ ნახავდა შიშით გულები გაუსკდებოდათ იმის შესაზარ შეხედულობისგან.

რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავის ბრწყინვალეობა ქვეყანას მოჰფინა, ქურუკი ძალით ადგა ილოცა ღმერთი და არდევან-შაჰსთან მივიდა და უთხრა: „სწეი შვიდთა იუფიშთა მხერობელს ხელმწიფეო! თუ თქვენი ნებაც იქნება, დღეს სადილი ქაბუჯის მოედანზედ მიირთვიოთ. არდევან-შაჰმ ნება დართო ქურუკის თხოვნას. ჯერეთ წავიდნენ ქაბუჯის ქალაქში სანადიროთ, რა ინადირეს სადილობის დროს დაბრუნდნენ და მოედანთან მივიდნენ, ნახეს რომ უცხო სალაფარდები და ტახტები გაემართათ და საფაღუვანო სკამები დაეწყოთ. მაშინ არდევან-შაჰმ მიბრძანდა, როდესაც ცხენიდან გადმოხტა, მარჯვენა მხარეს შეხედა, ნახა რომ ერთი უშველებელი დევი დგას მინარეთზე, შვიდი თავი აბია, ექვსი ფეხი, თრმოდდა ათი ხელი, ყურებში ხუთ-ხუთ ლიტრიანი ლაჰვარდის ფერი საყურეები უჭრია და დგას; ამაზედ დიდათ გაცოცდა და შეეზა-


რ მისი შეხედვა, რ სხვათა ფაღვანთაც იხილეს, ეკელას გაუგვირდათ
ვისაც არ ენახა, ნახვის მსურველები სელმწიფენბ უფრო ახლეს შივიდნენ
და კარგად გაშინჯეს, რ კარგათ გაშინჯეს მაშინვე არღევან-შაჰა დაემხო
მუხლზე და წარმოსთქვა უფლის დიდება: „ჰო, შენ მოწვეალო უფა-
ლო! ვმადლობ შენს განგებულებას, რომ ეს ერთი მუცა მიწა და თვითონ
უმარწვილი ამ უშველებელის მხედისაგან დაგიფარავს და დაგიხსნიაო, მე-
რე ლოცვისაგან წარმოსდგა და შეხედა, შეხედაც კი შეჭზარდა, უოველები
შესტკეოროდნენ და ქურუკს დიდ ქებას შეასხავდნენ, მერე ქალები მობრ-
ძანდნენ და ეურება დაუწვეს და ამათაც დმერთს მადლობა შესწირეს, ამის-
თანა მხედის დაბადებისათვის ქვეუანაზუდ კაცთ მომშობი შემადრწუნებელი.
მერე გამობრუნდნენ დასდნენ და უცხო ღზინი გადაიხადეს, ექვს დღეს
დიდ ღზინში და შექცევაში იევენენ! შემდეგ ქურუკმა ნარიმანს მოასსენა:
ხელმწიფეო მამავ, რაც ჰანაშიეში სალოცავად წარვიდა უდაბნოში მის აქეთ
მის ამბავი რ იდითო?..

ნარიმანმა უთხრა: შვილო ქურუკ! მრავალი ვაძებინე მაცრამ ვერა
გავიგეთრა იმის კვალი. მაშინ ქურუკი ძლიერ შესწუხდა ამაზედ, ფარვან-
დევს და საჭმანს სთხოვა ყარამან-სააჰეირანის მონახვა ან ცოცხლისა ან
კვდრისა. მაშინვე ფარვანი და საჭმანი წარვიდნენ, რამდონიმე თვე იარეს
უოველი მთა და ბარი გაასწორეს, ექებეს და ერთს დიდ მთაში ჰზოვეს,
ნახეს ერთი ქვა აუუდებული და საფლავიც გათხრილი და შიგ ასვენია უა-
რამანის გვამი, იმ გვარათ იწვა რომ მანამ ხელი არ შეახეს ვერ შეიტ-
უეს მკვდარი იყო თუ ცოცხალი, კაცი იტყოდა თუ სძინავსო, ათი წლის
მკვდარსა. მაშინვე ფარვანმა რამდონიმე დევი აფრინა ნარიმანისაკენ და
ქურუკთან ამბის საცნობლად, თვითონ კი იქ დადგნენ და უცხო კუბო შე-
უკრეს და მშვენიერათ მორთეს, ერთი დიდი ტახტი შეუკრეს და ზედ
გამართეს და დაასვენეს.

აქ ფარვან-დევი და საჭმან-ადამზადი ყარამან-ყათილის კუ-
ბოსთან დაუტეოთ და ქაბულის ხელმწიფის ნარიმანისა და
ქურუკის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ქაბულიდამ ფარვან-დევი და საჭმან-ადამზადი წავიდნენ ყა-
რამანის გვამის საქებულად თავჯანხნის მთისაკენ, მაშინ რამდონიმე ხვადი
დევი თან წაიყვანეს. როდესაც იზოფნეს გვამი, მაშინვე გამოგზავნეს ეს
წყოლილი დევი და ნარიმანს და ქურუკს აცნობეს, რომ იზოფნეს ყარამან-

უათილის გვამი, თაჯახანის მთებში. ეს გამკვსაენილი დეგები ჭკერით წა-
მოვიდნენ და პირ-და-პირ ნარიმანთან და ქუჩუკთან ჩამოსდნენ, ნარიმანს
და ქუჩუკს მუხლს აკოცეს და ფარვან-დევისა და სანჯმანის გამკატანებულად
წიგნი მიაბრუნეს. ქუჩუკმა რომ გახსნა და წაიკითხა, დიდათ ეწეინა მისი



სიკვდილი, აგრეთვე ნარმანს და სარვიხურამანს, მხოლოდ ერთიდაც გაიხარეს რომ გვამი მაინც იხრეს და არ დაიკარგა. მაშინვე წასასვლელად მიემზადნენ, ვინც რომ ტახტის დიხსნი იყვნენ ტახტებზე დაბრძანდნენ, ვინც რომ არა და მშვენიერ ბედაურებზედ ამხედრდნენ და ერთობ ყოველნი გაემგზავრნენ. რამდენიმე დღე იარეს და სადაც უარმანის გვამი იყო იქ მივიდნენ და ჩამოხდნენ. როდესაც ნახეს უარმანის გვამი თითო ჰინი იტორეს და მოიგონეს იმის ყოველი კეთილი, ნახეს რომ ათი წლის შვიდარს სასე შეუცვლელი ჰქონდა, ვით სძინავს. შემდეგ ღმერთს მადლობა შესწირეს და იმის სულისთვის ილოცეს იმ დროს ვეღარ მოითმინა სარვიხურამანმა მივიდა და გულზედ დაეკრა და დიდხანს მოთქმით ტიროდა; მერე დეკებს უბრძანა ასწიეს და წაიღეს იქ სადაც ფარვან-დეგს სსაფლავ და ბაღი გააკეთებინა უარმანმა თავის სიცოცხლის დროს. იარეს მძიმედ—და სამს თვემდის მივიდნენ. ადრევე სსაფლავს კარი გააღეს და ვიდრე მიცვალებულს მიასვენებდნენ, ფარვან-დეგმა ასი დევით საჭმანი გაგზავნა; ფარვანმა ერთ ადგილას ერთი უცხო და დიდი მარმარილოს ქვა იცოდა, ის გამოატანა ზღვიდამ, შემდეგ ერთის კვირისა, ხელმწიფენი და დელოფაზნი მობრძანდნენ და რა ის სსაფლავ და ბაღი ნახეს, დიდათ მოიწონეს, მაშინვე შეასვენეს უარმანის გვამი და თავის მამა თახმურად ხელმწიფის გვერდით დაკრძალეს. მერე ხელმწიფენი მივიდნენ იმ მარმარილოს ქვის სახსავად რომელიც ფარვან-დეგმა მოატანა უარმანის ძეგლისთვის, ის ქვაც გაშინჯეს და მოიწონეს. დიდი მადლობა უფხრეს ფარვანსა და საჭმანს. ქუჩუკმა სთხოვა ფარვან-დეგს რომ რაც უარმანს თავს კარდახედოდა სიცოცხლის დროს, ყოველი შემოკლებით ზედ დაეწერა. ფარვანმა მის თხოვნა აღასრულა, მიიტანეს დევებმა და ზედ დადგეს. მაშინ დიდალი სამღვთოები დაჰკლეს მის სულის მოსახსენებლად, მოვიდნენ შრავაზნი გლახაკ-ლატაენი, ქვრივ-ახერნი და ვეკლამ შენდობა უთხრეს, გმირთა-გმირს და ქვეუბნების ამუყაყებულს საუკუნოდ დაუვიწყარს უარმან-ყათილს. ამითაც დასრულდა იმის ცხოვრება ამ წუთს-სოფელს.

როდესაც უარმანის ძეგლის დადგმასაც მორჩნენ, ქუჩუკმა მოხმობა ფარვან-დეგს კრებაში და უთხრა: „წესი ფარვან, ჩვენც ერთგულად და თავდადებულად! თქვენის ამოდენა ღვაწლისთვის და თანავრძინობისთვის, მეტადრე ამ ბაღისა და სსაფლავს გაკეთებისთვის მე და ჩვენი ჩამომავლობა გუჯითადის დიდ მადლობას გიძღვრით, რომელიც ამით დამტკიცდა თქვენი ერთგულობა და ღვაწლი, ამიტომ დაუვიწყარი იქნები ქვეუბნის დასასრულამდე“. ფარვანმა მდაბლად თავი დაუკრა ქუჩუკს და ვეკლამ კრებას მადლობა მოახსენა: შემდეგ სთხოვა ფარვან-დეგმა რომ შიგნითაც შე-

ბრძანებულებები ბაღში და იმის ხელფურთხი მოწყობილებანი ენახათ უკუ-
ლას. მაშინვე ფარვან-დევი გაუძღვა დიდებულთა და დედოფალთა—წინ
არღვევან-შაჰას, ბურჯ-ვეზირს, გარდანქეშას და სხვათა. რა შიგნით წალ-
კოტს შევიდნენ, ნახეს რომ ტურფად იყო მოწყობილი როგორც რომ
სამოთხე, ჭეჭავრდა უოველი ხე და მცენარე, რომლის სურნელებით კაცი
დაიბნიდებოდა. რა ესე იხილეს ძლიერ მოეწონათ, რომელთაც არაოდეს
არ ენახათ იმ მაგვარი ბაღი და სასაფლაო! უკუამ გაიკვირვეს და ქება
შეასხეს ფარვან-დევს. მერე მინარეთზე ავიდნენ და იქ დარჩნენ ორი დღე
და ღამე. (როგორც წინა წიგნში მოგახსენეთ), ფერიები იდგნენ და სუ-
ფრას შლიდნენ და ერთ მხარეს საკრავებს უკრავდნენ სხვა და სხვა ხმე-
ზედ და მღეროდნენ. ფარვან-დევმა ჰკითხა—გარდანქეშას: გარდანქეშა-
ნო! შენ სულეიმანის ბაღი გინახავს, რომ შეადარო ესა და ის როგორ
მოვა ერთიერთმანერთთან? ან როგორ მოგწონს? გარდანქეშანმა მოახსენა:
ფარვან-დევს და არღვევან-შაჰას; ამ ბაღში რაც მე საკვირველი სანახევები
ვნახე მე გარწმუნებთ რომ ამისი მეათედი იქ არ იყოს, თუმცა ისიც კი
კარგია მაგრამ, რაც აქ მინარები ვნახე ამ მინარების მზგავსი იქ არა-
არისო. შემდეგ ბაღიდან გამოვიდნენ უკუასანი და დაიკეტა ბაღი.

მერე ფარვან-დევმა სთხოვა არღვევან-შაჰას და სხვათა დიდებულთა
რომ იმის საკუთარ ქალაქში სწვევოდნენ, რომელიც ძლიერ შორს არ იყო
იმ სასაფლაოდან, სულ ორას ალაჯზე იყო შორს. ხელმწიფე და დიდ-
ბუღნი დასთანხმდნენ მიწვევად. როდესაც ფარვან-დევმა შეიყვანა თავის
საკუთარ ქალაქში, იქაური მოქალაქენი წინ მოეკებნენ დიდის უფოთით და
ამბით შეიყვანეს ქალაქში და სასახლეში ჩამოხდნენ. ექვსი თვე გაუმასპინძლ-
და და მათი ღირსების საკადრისი ზატრივი სცა; მორთვა დიდი თავანები,
ხელმწიფე არღვევან-შაჰას, უფლიბანს, ხოსროჟშირს, გარდანქეშანს, ბურჯ-
ვეზირს, ყათრანს და დედოფლებს. ამათ დიდი მადლობა გადუხადეს, ფარ-
ვან-დევს და საჰმან-ადამზადს, თავიანთ ამ დიდებით და ზატრივით მიღუ-
ბისათვის. შემდეგ აიყარნენ, ახლა შაჰზადე-ფერიის ქვეყანაში მივიდნენ,
იქაც ერთ წელიწადს გაუმასპინძლდა შაჰზადე-ფერია ამათ და სულ ნადი-
რობაში და შექცევაში იყვნენ, შემდეგ წამოსვლის დროს დიდი თავანები
უძღვნა უკუასს. მერე იქიდანაც აიყარნენ და უფლიბან-შირვანმა მიიზა-
ტრია, რა იმის სამეფოში მივიდნენ, იქაც დიდი ზატრივით დახვდნენ ერობა,
იმის ქვეყანაშიაც დაჰყვეს ერთს წელიწადს და დიდი ზატრივი მიიღეს. იქი-
დან დაბრუნდნენ ქიშმირში ყათრანთან, ყათრანის ქვეყანაშიაც დიდის უფ-
ოთით მიიღეს ესენი. შემდეგ დაბრუნდნენ უშანგატაში, არღვევან-შაჰასთან
და ხოსროჟშირთან, სადაც ერთი წელიწადი დაჰყვეს და მგლფიარობა გად-

იფიქრეს. შემდეგ უფველნი თავთავის ქვეყნებისაკენ წავიდნენ. უნდა მოგახსენოთ მკითხველნი რომ, ამ ხელმწიფეებსა და სარდლებს უფველთვის ერთი სული და ერთი გული ჰქონდათ ერთმანერთში; უუვარდათ ერთმანერთი, ერთი ზირი და ერთი ძალა ჰქონდათ და ამიტომაც უფველთვის იმარჯვებდნენ თავიანთ მტერზე, იმათში არაოდეს არ იყო ესე თქმა (მხოლოდ მე ვიყო და მე ვარ).

შემდეგ უარამნის დაკრძალვისა და მომკლავიანებისა, არღევან-შაჰამ და ქუჩუკმა მოისურვეს თავიანთ შვილი იუღიმის დათვალიერება და სახლ წეს-წყობილების დაწესება, ამიტომ მცირე ჯარით გაემტაცაურენ, თავიანთ უფველ იუღიმში, დააწესეს უკეთესი კანონები, შეუმსუბუქეს უფველ ერსა მძიმე ტვირთი და ბეგარა, დიდი წყალთა გასცეს ერობას, ისე დაამშვიდეს უფველნი რომ — მტელი და მცხვარი ერთად სძლავდნენ. რა უფველივე ესე კეთილ წყობილება განაწესეს, დაბრუნდნენ თავიანთ სატახტო ქალაქში და დამშვიდებით იწიეს ცხოვრება.

რამდენისამე დროს განმავლობაში, ქუჩუკს მიეცა ვაჟი შვილი და სახელი უწოდეს სააღ და დიდი სიხარული სუფევდა იმათ ოჯახში, ეს სააღი რომ დაიბადა ძლიერ თმინი იყო, ზრძენთა მრამელი აყრევიანეს და თმინობისთვის უთხრეს მის ბედნიერობა. ეს სააღი იზრდებოდა კეთილად ვინც წლით იზრდებოდა ეს დღით იზრდებოდა და ეტუობოდა რა ვაჟიცინც დადგებოდა, გაიზარდა და დაქორწინდა სააღი, სააღსაც ვაჟი შვილი მიეცა ამასაც როსტომ-სააღი უწოდეს. ეს როსტომ-სააღი მამაზე უძლიერესი ფაღვეანი შეიქმნა, ისე რომ უარამანზედაცა, ქუჩუკზედაც და სააღზედაც უძლიერესი. ამ როსტომ-სააღის აზბავი დიდი მოთხრობასა და ლექსათაც არის გამოყვანილი.

ერთ უამად არღევან-შაჰამ და ქუჩუკ-უარამანი, მეჯლისში ისხდნენ და მხიარულობდნენ, მაშინ მოაკონდათ თავიანთ კეთილის მსურველნი ძველი ფაღვეანნი და ხელმწიფენი: უფვიბანი, ხოსროფშირი, უათრანი, ბარამჯიბილი, ნარიმანი და სხვანი. ქუჩუკმა მოახსენა არღევან-შაჰას: „სწეი ხელმწიფეო! თუ თქვენი ნებაც იქნება ამათ ხილვა დიდათ მომსურდა“. არღევან-შაჰამაც ისურვა იმათი ხილვა. მაშინვე წიგნები დასწერეს ვეჯლასთან და აიარის ხელთ გატეზავნეს და მოიწვიეს. რა წამსაც ამ ხელმწიფეებმა და ფაღვენებმა წიგნები მიიღეს არღევან-შაჰასაკან და ქუჩუკისაკან, მაშინვე დიდის სიამოვნებით წამოვიდნენ, არღევან-შაჰასს და ქუჩუკის სახასავად.

აქ ეს დიდებულნი ამ მიძავლობაში დაუტოოთ და არღევან-
მაჭასნი, ქურუკისა და ნარიძანისა მოიხსენიეთ.

როდესაც წიგნები მიადეს ამ გამაჩინებელ ფაქეელებსა და სარდ-
ლებსა თავიანთ ხელმწიფე არღევან-მაჭასისაგან და ქურუკისაგან, მაშინვე და-
ემზადნენ ყველანი ერთად შეიყარნენ და წამოვიდნენ, უოჯიბან-შირვანი,
ნარიძანი, უთრანი, ხოსროფშირი და სხვანი, მტირე ჯარებით. რა მოას-
ლოდნენ უშანგბათს და ურამანია-ქალაქს მაშინვე კაცები გაგზავნეს არ-
ღევან-მაჭასთან და ქურუკთან, აცხადეს თავიანთ მისულა. რა ამათ შეიტყეს
იმათი მისულა მაშინვე მეჯლისი გამართეს და მოელოდნენ. ამ ღოდინში
სასახლის აიარებმა შეხედეს ნახეს რომ აღმოსავლეთის მხრიდამ დიდი მტკე-
რი გამოჩნდა, რა მტკერი გადიურა, გააჩიეს ნახეს რომ აღმდინთ ჯა-
რი მოვიდოდა თავიანთ ამალით, მაშინვე აიარნი შევიდნენ და მოახსენეს:
ხელმწიფეო და სახეირანიო, აღმოსავლეთის მხრიდამ ჯარები გიანსებინაო,
გამოვიდნენ და დურბანდით შეხედეს ნახეს რომ აღმდინთ ჯარები იყვნენ.
მაშინვე თქვეს არღევან-მაჭამ და ქურუკმა, ესენი ჩვენი სარდლებისა და ფა-
ქეელების ჯარები არიანო, კარგათ დარწმუნებისათვის ქურუკმა აიარები გა-
გზავნა შესატყობლად, აიარნი მაშინვე წინ მიეკებნენ ნახეს რომ უოჯი-
ბან-შირვანი, უთრანი, ხოსროფშირი და სხვანი არიან თავიანთ ჯარებით
და ამალით მდღიან სტუმრათ უშანგბათში, არღევან-მაჭასთან და ქურუკთან.
რა ესე გაიგო მაშინვე უკან დაბრუნდა და არღევან-მაჭასთან შევიდა, მო-
ახსენა რომ ჩვენი ერთგული სარდალნი და ფაქეეანნი არიანო თავიანთ
ჯარებით და ამალით მობრძანდებიანო. როდესაც არღევან-მაჭამ და ქურუ-
კმა დაიდასტურეს დიდ სიხარულს მიეცნენ. მაშინვე თვითონაც წინ მიუ-
კებნენ. ცხენებიდამ გადმოხტნენ და ერთმანერთს მიესალმნენ, არღევან-
მაჭა და ქურუკი, სტუმართა სარდალთა და ფაქეეანთა დიდის სიხარულით
მიეკებნენ, ხელი ხელი დაუჭირეს და სასახლისაკენ წამოვიდნენ. როდესაც
სადგომს მიუახლოდნენ, მაშინვე ბანოვანნი, არღევან-მაჭას დედო-
ფალი, გუჯიჯანი და სარვიხურამანია, წინ მიეკებნენ და დიდის სიხარუ-
ლით დაუხვდნენ, მერე სასახლეში შევიდნენ და ყველანი თავთავის ალაკას
დასხდნენ, ბანოვანთა სიყვარულით მოიკითხეს, ხოსროფშირის დედოფალი
გუჯიჩინი. ხოსროფშირმა დიდი მადლობა უძღვნა ბანოვანთა. შემდეგ გაი-
მართა დიდი მეჯლისი, როდესაც ეს გმარნი ერთად შეიყარნენ, ამათ სი-
ყვარულსა, ერთგულობას და ერთსულობას სამზღვარი აღარა ქქინდა. რა
ერთმანერთის ხილვით და სიამოვნებით გაძდნენ, შემდეგ სახადიროდ წა-

ვიდნენ. ხან ბურთაობდნენ, ხან ჯირითობდნენ და იუვნენ ამ სიამოვნებაში. ჯერ-ჯერობით მტერი არსაიღამ ჰქვანდათ გამოჩენილი და თავისუფლად ნაყარდობდნენ რადგანაც მეტი საქმე არაფერი ჰქონდათ.

ესენი ამ ლხინში დაუტოოთ და სხვა ამბავი მოისსენიეთ.

იმ დროს როდესაც ქუჩუკმა ზარბაქ-დევი დამარცხა და იმის ძლიერი ფაღვანნი და სარდალნი დაიმორჩილა, მერე იმისივე ქვეუნი იმის სარდლებსვე უწყალობა, აფთარ-ზანგს, ამბირ-დევს და სხვას. რამდენიმე ქალაქის მეპატრონენი განდნენ ესენი. ამათ აქ თავი დავანებოთ და ამათ ამბავს სხვა დროს მოგაზსენებთ.

როდესაც ურამან სააპეირანმა და ქუჩუკ-სამსურმა ქვეუნიც ბურგზე მოსპეს და სახსენებელი გაუწვიტეს, ამისთანა ქვეუნიც მანუ და ამარბებელ დევებს, რომელნიც იუვნენ, ჰზარბაქ-დასტო, ზარბაქ-დევი და სხვა მრავალნი. მას შემდეგ შიში არსაიღამა ჰქონდათ და მთელი ერთობა სცხოვრობდა კეთილდღეობაში და ჰქვავოდა უოველი ქვეუნიც როგორც ველის უვავილი თავისუფლად, ისე რომ თხა და მკელა ერთად სძოვდნენ. ამ მშვიდობიან ცხოვრებაში რომ იუვნენ. ამ უამდ თურმე ოკეანეს ზღვაში სცხოვრობს ერთი საშინელი დევი, რომელსაც სახელი ეწოდებოდა, ბაუბაუ-დევი. თურმე ამისთანა საშინელი დევი ერთიც დაჩენილიყო. ამ დევს თურმე შვილი თავი აბია, თორმეტი ფუხი და სამასი ხელი, ოთხსი მწურთა სიმაღლე ჰქონდა და ორასი სიგანე. ამას ორი მთავარ-სარდალი ჰყვანდა, ერთს სახელად ეწოდებოდა ხაზარან-დევი და მეორეს შავი-დევი, ესენი ძლიერ ოსტატნი და მჭევრ-მეტყველნი იუვნენ თავიანთ ხელმწიფე ბაუბაუ-დევისა და ფაღვანნი უოველ საქმეში. ხაზარან-დევს სამი თავი ება, და ორასი ხელი, ორას ორმოცდა ათის მწურთის სიმაღლის მქონებული. შავ-დევს ოთხი თავი ება, სამასი მწურთის სიმაღლე, ორას ორმოცი ხელი. — ეს დენი დიდ ოკეანეს ზღვის ძირში იმყოფებოდნენ. როდესაც ქუჩუკმა ღვთის შეწევნით ზარბაქ-დევი დამარცხა, მაშინ ამ ბაუბაუ-დევის სარდლებს სმენდათ იმის დამარცხება და სიკვდილი. ესენი წასულიყვნენ და ბაუბაუ-დევისთვის უოველივე მოესხნებოთ, თუ როგორ დამარცხა ან როგორ გაკუდა, ან იმის ნაქები ფაღვანნი და სარდალნი როგორ დაიმორჩილა, ერთი სიტყვით რაც რომ ქუჩუკს ზარბაქ-დევისთვის საქმე დაემართა უოველივე წვრილად უამბეს.

თურმე ეს ბაუბაუ-დევი, ზარბაქ-დევის ბიძის ძე უოფილა. როდესაც თავის სარდლებისაგან იმის დამარცხება და გატყავება შეიტყო დაწვრი-

დებით, ერთი ასეთი დაიდრიალა და გაშოგოდა რომ ზღვაში დეჟვა და-
 იწყო და დიდრონი ტალღები ჰქრა აქეთ-იქით, ისე რომ ხმელეთი რამ-
 დენიბე ადაჯი სულ წყლით მოიცვა და ზღვის ნიანგნი და მხეცნი სულ
 გარდაიხვეწნენ. ისე განრისხდა რომ ცხვირ-პირიდან ჯოჯოხეთის ცეცხ-
 ლი ადაგზნო, და ის დიდი თქანეს ზღვა ცეცხლით ავსო.

რასაკვირველია ეს ამბავი ბაუბაუ-დევის რაჯაბ-ეშმაკისაც ესმა აღრევე,
 რაჯაბი მაშინვე ბაუბაუ-დევთან განხდა და უთხრა: „წეი ბაუბაუ ჩემო მო-
 ნავ და დიდო დევთა ხელმწიფე! აქნამამდე ხომ მარტო დევთა მხერო-
 ბელი იყავ—ახლა მიბოძებია შენთვის ხელმწიფობა სსვათა ზედაც: ქაჯთა,
 ჯინთა და ადამიანთა, მთელ ზღვათა და ხმელეთ შუა, ამიტომაც მომიცია
 შენთვის შემწეთ—ეს ორი დევი, ხაზარან-დევი და შავი-დევი, ამით გარ-
 და მაზარანის კუნძულში ერთი ჯადო არსებობს, რომელიც ჩემი მონაა
 ისიც. იმას სახელად ეწოდება უულუნ-ჯადო, ის ისეთი ჯადოა რომ იმის-
 თანა ჯადო მთელ დედამიწის ზურგზე არავინ იქნება, იმასაც შენ შემ-
 წედ გაძლე, რა წამსაც ხმელეთზე კახვიდე, მამინვე იმას კაცი გაუგზავნე
 შუატუბინე და დაიბარე, რომლისთვისაც მე მიბრძანებია შენი შემწეობა,
 ის უულუნ-ჯადო რომ მოვიდეს შენ შემწედ, მაშინვე მრავალი დევთა ჯა-
 რი შემოიკრება, აგრეთვე ჯინთა და ქაჯთა. სანქაროდ თიცხელი ბრძანე-
 ბები გაეცი ზარბაქ-დევის საბრძანებულში, რომელიც არიან ქურუკისკან-
 იქ გახელმწიფებულნი ორნი დევნი, ერთი ამბირ-დევი და მეორე აფთარ-
 ზანგი-დევი, ეს ორნი ძლიერნი არიან, დაიბარე შენთან და უთხარ რომ
 დაგმორჩილდნენ, თუ არ დაგმორჩილდნენ, მაშინვე მიუსიე ჯარი და ათ-
 ხრებიც იმით დაპატრონებულნი ქვეყნები და ისინიც მაშინვე დახლდე, მე-
 რე მიდი და იმთ ქვეყნებში დაჯექი. მე რე ეს რომ გათავო, იქ არის
 ერთი ჯადო სახელად სამანდუზ-ჯადო ეწოდება, ისიც ძლიერი ჯადოა, ისიც
 შეიბუარ და თუ ვერ შეიბურო, უულუნ-ჯადოს უთხარ და ის შეიბრძებს
 ძალითა ჩემითა და თვისითა, ისიც ცოდნალი არ დასტოვო. როდესაც
 იმასაც ბოლო მოუღო, მიდი და ზარბაქ-დევის ცხე-ქალაქი კარგათ გა-
 ამაგრე, მაშინვე ოთხსავ მხარეს ბრძანება გაეცი და ჯარები შეკრიბე და
 ხაზინაც დაიბარე, თუ არ დაგმორჩილდნენ უველა მოსრე და მიწასთან გა-
 ასწორე.“

როდესაც ამ ბილწმა ბაუბაუ-დევმა ამ რაჯაბ-ეშმაკისკან ესეთი იშუ-
 დები გაიგო, ძლიერ იამა და მაშინვე თავის ორი სარდლით, ხაზარან-დე-
 ვით და შავი-დევით, ორასი ათასი გამოჩენილი ცეცხლის მფრქვეველი-
 დევთა ლაშქარი შეიყარა და ხმელეთზე გამოვიდა, მაშინვე კაცობი გაბ-
 ზავნა მაზარანის კუნძულზე უულუნ-ჯადოსთან და დაიბარა.

იმ დროს რომ ფაშკუნჯი მოვიდა და მეჯლისში იხსდნენ, მაშინ ქურუკს ჰკითხა ფაშკუნჯმა: ცეი სააბუირანო! ეს ამოდენა ჯარი რომ შეგიყრიათ და ეს უცნა გამოჩენილნი ფალეგანნი, თქვენი საწადელი რა არის?—და მეც რომ დამიბარეთ. მაშინ ქურუკმა ბაუბაყ-დევის ამბავი ყოველივე თვითთუფლად უამო. როგორც ზევით მოგხსენდათ. ისიც რაც ფარვან-დევისთვის დღეები დაუეუბებინა. მაშინ სიმრულ-ფრინველმა თავი ძირს დაჰკიდა, ფიქრში შევიდა და დიდად ეწვინა. მერე თავი მადლა აღდო და უთხრა ფარვანს: განა ის წყუელი ბაუბაყ-დევი გამოჩენილა? თუ ხმელეთზედ გამოსულა მართლა, ქვეყანას გაახსრებს. ან იმას ვინ უნდა შეგებს, ის ერთ დიდ მთას ემზგავსება, მეორეც ესა რომ, იმას ადამიანის ხელით სიკვდილი არ უწერია. მაშინ ქურუკმა მოახსენა გუდმესისხელთ:

ტეი ფრინველთა ხელმწიფე! თუ ღვთის ბრძანება იქნება. ვგონებ რომ ჩემგნითაც აღუსრულდეს იმას სიკვდილი. აბა ნახავთ თქვენის სიცოცხლით და უფლის შეწევნით თუ იმას რა დავმართო. მაშინ სიმრუდმა უთხრა: შაბაშ შენს გაბედულობას და გუფს—რომ იმის მძვირდაპირობა შეგიძლება! მაგრამ უნდა მოგახსენო რომ, დიდი სიფრთხილე კი გმართებს, უნდა იცოდეთ რომ იმისთანა დევ-გმირი და ვეშაპი, ქვეყანაზედ არც გამოსულა და არც გამოვა, მეორეც ესა; საძნელე აი რა არის შენი, ხაზარან-დევი და შავი-დევი იმის ჰირველი სარდლები არიან, რომელნიც ისინიც თითო ბაუბაუ-დევს არ ჩამოაჩნებიან.—ქუჩუკმა მოახსენა: ხელმწიფე სიმრუდ! ფაღვანი თუ ფაღვენობს, დევის სიდიდით არ უნდა შეკრთეს. დევების ჯიბი და ჯილაგი ყოველთვის დიდია, წყლანაც მოგახსენე ღვთის ძალით და ჩემი მოძიე ფაღვენებით, ნახავ რა დღე დავაყენო! მაშინ ფაშკუნჯი მივიდა და შუბლს აკოცა ქუჩუკს და უთხრა: კიდევ გაკამეორებ, შაბაშ შენს გუფობობს! რომ მაგისთანა ვეშაპის ომზე ეგრე გუფობობით ისწრაფო! მაშასადამე მეც ვეღარ მოკშობდები, ამისთვის რომ როგორც შაბითქვენისთვის მიმსახურნია, უნდა შენც უმეტესად გემსახურო. ქუჩუკმა ამისთანა გუფწრთველ თანაკრძობისთვის დიდი მადლობა მოახსენა.

ქუჩუკი ამის მადლობაში დაუტყოთ და ბაუბაუ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

მაშინ ბაუბაუ-დევმა თავის ლაზარაკი რომ გაათავა თეთრ-დევთან. მაშინვე აურა უბრძანა: აიყარენ და წამოვიდნენ მადრიბისაკენ დიდძალი ჯარით რომლის სიმრავლედ თვალგადუწვდენელი იყო. იმ აურებულ ჯარის წინ რომ შეესდნა კაცს, ბაუბაუ-დევისთვის, შავ-დევისთვის და ხაზარან-დევისთვის, ამას იტყოდით რომ დიდგონი მთები მიგოკრავენო, ერთი სიტყვით ამის ჯარის სიმრავლე იმ არე-მარეს აბნელებდა.

აქ ავთარ-ზანგისა, სურსარაბ-დევისა და ანუბაუზის ამბავი მოიხსენიეთ. იმ უამად რომ იდუმალ სამთავემ წიგნი მისწერეს ქუჩუკს და თავიანთ ამბავი აცნობეს, ბაუბაუ-დევისა და თეთრი-დევისაც, ჯერ ეს ამბის მომტანნი დევები არ დაბრუნებულყვნენ.

იმ დროს ქუჩუკმა რომ ფაშკუნჯთან ლაზარაკი გაათავა, მაშინვე ხარამჯიბილს და კარდანქეშანს უბრძანა: ხვალ უეტველად ლაშქარი მზათ იუოსო რომ უნდა წავიდეთ მადრიბისტანშიო. და საჭმანსაც უბრძანა ტახტების დამზადება და თვითონ არდევან-შაჰასთან შებრძანდა და მოახსენა: შვიდთა იუფიმა ხელმწიფე, დროა ბაუბაუ-დევზედ გალაშქრებისა. თო-

რემ აქეთ-იქიდან კიდევ ჯარებს შეიმატებს და იქ ახლად-მახლად ქაღალდებს დაეცემა და დიდ ვნებას დამართავს. ქუჩუკმა კი ის არ იცოდა თუ ის უკვე მადრიბზე წამოსულიყო, რომელიც მთელი ინდოეთი იქ მკვიდრად და ქუჩუკი რომ არღვეან-შაჰას ელამარაკებოდა, იმ დროს საჩქაროთ ის გაგზავნილი სამნი დევნი მოფრინდნენ და როგონბახტის სასახლესთან ჩამოხტნენ და ქუჩუკი იკითხეს, მაშინ კარდანქეშანი დაუხვდა და ჰკითხა: ჭეი დევნო—უნა ხართ და საიდან მოდიხართო? დევნებმა მოახსენეს: ფალეგანო, იმოდენა დრო არა გვაქვს ლამარაკისა, სწორად წიგნი გვაქვს, აფთარ-ზანგისაგან, ანუბუზისაგან და სურხარაბ-დევისაგან. კარდანქეშანი შევიდა და ქუჩუკს მოახსენა: სააბურანო! სამნი დევნი მოვიდნენ საჩქაროდ და—ესე მოგახსენებენ, აფთარ-ზანგისაგან, ანუბუზისაგან და სურხარაბ-დევისაგან წიგნი გვაქვსო, ყოვლად საჭირო საქმისთვისო.

ქუჩუკმა მაშინვე შემაჯავანა იგინი, წიგნის მომტანი დევნები დევნებმა რომ ქუჩუკი იხილეს, წინ წარსდგნენ და პირმიწავაერთებით თაყვანი სცეს და წიგნი მიართვეს. ქუჩუკმა საჩქაროდ განსნა და წაიკითხა და ყოველი ვითარება გაიგო. მაშინვე დაიძახა ჯარების დამზადება იმის გამოკლავება რომ სცნო მადრიბისტანისკენ,—და თეთრი-დევის იქ დატოვება. უფრო აჩქარდა. ამ წიგნის მომტან დევნებმა პირათაც მოახსენეს მათი შემოთვლილება. ქუჩუკმა ჰკითხა დევნებს: დევნო, რამდენი დღეა რაც თქვენ იქიდან წამოსულხართო? მათ მოახსენეს: მეხუთე დღე განსვითო. ახლა თვითონ ის ბილწი ბაუბაყ-დევნი, სად იმყოფება, ან როდის უნდა გამოკლავებო მადრიბზე?—მათ მოახსენეს: ჯარებიც გამოისტუმრა და თვითონ თავის სარდლებით წინ გამოუძღვნენ, ვეჭობთ რომ მეოთხე დღეს, მადრიბს მივიდოდნენ. ქუჩუკმა მაშინვე თავისთან მოიხმო, ზორაბ-დევნი, ამბირ-დევნი და ზორაბ-შაჰა და უბრძანა: თქვენ ახლავე უნდა წახვიდეთ თქვენის ჯარებით მადრიბში, მათუზ-დევთან და ჩვენს მოსვლამდე იქაურობას გაუფრთხილდეთო. და თუ იმათ შეუსწვრიათ ქაღალქში, თქვენ იცით როგორც ეწინააღმდეგებით. იმათში იმყოფებიან ჩვენი სამი სარდალი თავის ჯარებით, აფთარ-ზანგი, სურხარაბ-დევნი და ანუბუზ-ნარა, რომელიც ტყვედ არიან ჩაცვიფრულნი. რაკი ისინი გნახვენ თქვენ, მაშინვე თავიანთ ლაშქრით გადმოვლენ თქვენკენ. და ჩვენც საჩქაროდ მოვდივართ. ესენი გაისტუმრა დიდის სიჩქარით.

—რა ესენი გაისტუმრა, ქუჩუკმა ჰკითხა ფარვან-დევს: ჭეი ფარვან! მე ერთსა კკითხავ: თეთრი-დევს რომ ამბობენ, რომელიც იქ დაუგდია ბაუბაყ-დევს, ზარაბაქ-დევის ქაღალქში—და მეორეც ახრი-ჯადო, ესენი ვინ არიან, ან შნო აქვთ რამისა?—ფარვანმა მოახსენა: სააბურანო უნდა

მოგახსენო რამ, თეთრი-ღვეი მართლა ძლიერია და ნაქები, დიდი ჯარების პატრონი. ის ერთ უამად ხმელეთზე გამოვიდა და სუჯეიმან ხათს ოცი წელიწადი ებრძოლა; ბოლოს დიდის ჭინხაუღით, სუჯეიმანმა შეიპყრო და დაატუსაღა იგი. შემდეგ მავ წვეულმა დრო დაიცვა და გაეპარა და გაიქცა, მას შემდეგ არავინ იცოდა თუ რა იქნა, ან სად გადისკარგა. ახლა კი გამოჩენილა ის წვეული იმისაგან დიდი სიფრთხილე გვმართებს. — ახრი-ჯადოც საშინელი და საძაგელია, ის ოჯელი-ჯადოსაგან არის დახელოვებული. ახლა გთხოვ რამ მე ნება მიბოძოთ წასვლისა, ვიდრე თქვენ წამობრძანდებოდეთ, ვაი თუ შემასწროს ბაუბაუ-ღვემა მდრობში თქვის სარდლებით. ბარუულ-ჯადომ და უულუნ-ჯადომ, იქნება დიდი ვნება მიყენოს. — ქურუკმა ნება დართო, ფარვანმა მადლობა მოახსენა. ფარვან-ღვეი მაშინვე მოემზადა თავის ჯადოს ლაშქრით და ჩქარა წავიდა.

ფარვანი ამ მსწრაფლ მიმავლობაში დაუტოოთ და ისევ ქურუკისა მოიხსენიეთ.

როდესაც ქურუკმა ზორობ-ღვეი, ამბირ-ღვეი და ზორობ-შაჰა გაისტუმრა მადრიბისაკენ, ბოლოს ხომ ფარვან-ღვეიც გამოეთხოვა და თავის ჯადოს ლაშქრით გასწია. შემდეგ ქურუკმა საჭმან-ადამზადს ჰკითხა: ჭეი გორობო საჭმან! ტახტების მომზადება რომ გთხოვე მზათ არის თუ არა? საჭმანმა მოახსენა მზათ გახლავითო. მაშინვე ერთად შეიყარა: არღვეან-შაჰა, უოჯლიბანი, მამა ნარამანი, ხოსროჰშირი, უათრანი, ბარამჯიბილი, გარდანქეშანი, ასიმი და შირფანჯა. უცხო მეჯლისი გამართეს და დიდი ნადიმი შექმნეს. მეჯლისი რომ დასრულდა, ქურუკმა გეგმი (შლანი) განაწესა: უოჯლიბან-შირვანს უთხრა, თქვენ თქვენის ჯარით და ასი ათასის კარგი მეომარი ღვეით, მარჯვენა მხარეს უნდა მოექცეთ, ხოსროჰშირს უბოძანა: თქვენ თქვენის ჯარით და ასი ათასის ღვეით მარცხნივ მხარეს წახვალთ. უათრანს და ბარამჯიბილს უბოძანა: თქვენი ჯარებით და ორი ათასის უცხო მეომარი ღვეების ჯარით მოწინავე რაზმით უნდა იმოქმედოთ. რა ესენიც განაწესა, როჰმან-ბახტს უბოძანა: მხოლოდ თქვენ აქ უნდა დარჩეთ თქვენის ჯარებით და ინდოეთი შეინახოთ. როჰმან-ბახტს ორასი ათასი კარგი ჯადოს ლაშქარი დაუდგინა და ასი ათასიც ხვადი ღვეის დამტვეული ჯარი, და უთხრა: როდესაც ჩვენი გამარჯვების ხმა შეიტყოთ მაშინვე შენც ჩვენკენ წამოდი, შენის ჯარებით და სარა ვიპოვებოდეთ იქ შეგვიერთდი. ესლავ გაგწესებდი ჩვენთან წამოსასულიად მაგრამ ვაი თუ ინდოეთს მტერი მოაწუღეს და დაიპყროს. ქურუკმა როგორც განაწესა უკე-

ლანი, ისეც აღსრულეს. იმ დროს რუიზანმა მოახსენა: ჩემო ხელმწიფე! მეც ნება მომეცით რომ დიდიდელა სარგისურამანს, დედამე ჭუსნიარას თან გავეყუე. ქუჩუკმა უარი ვეღარ უთხრა და ნება მისცა. რაღა გავაგრძელოთ მას შინვე ერთობ გამოვიდნენ მოართვეს ერთი უცხო და დიდი ტანტი, ზედ ბანოვანნი დასხდნენ. სარგისურამანი, შაჰნაზდუხტი, ჭუსნიარა, გუღინი, რუიზანი და გუღიჯანი. მეორე ტანტზედ, ხელმწიფე არდეგან-შაჰა და ნასრიმანი. მესამე ტანტს უოვლიბან-შირვანი და ხასრთვიძირი. მეოთხეზედ უათრანი და ბარამჯიბილი. მეხუთეზე გარდანქეშან აიართა უხუცესი, ასიმი და შირთვანჯა დასხდნენ. მასშინ დევები მოვიდნენ ტანტები ასწიეს და ჭურში აღიტაცეს და მადრიბისაკენ გასწიეს. ფაშკუნჯმაც ქუჩუკი შეისვა, ქუჩუკის სამცხენა სპჰმანმა იტვართა, ქუჩუკის საომარი იარაღის ზანდუკი სპჰმანის ამხანაგებმა ათერთმეტ დევებმა აიღეს და უარამანის შეშოთაბარი. ასხენეს მადლი ღმერთი და გაუდგნენ გზას, მადრიბისაკენ. იმ დროს როდესაც ქუჩუკი ინდოეთიდან აიყარა, თავის საუფარველი ხელმწიფე არდეგან-შაჰით და თავის მოძმე ფაღვანებით, რამდენიმე დღე გზაზედ იარეს და გზასა ზედა მრავალი სანახაგები ნახეს და თავის ამბავს სარგისურამანს, დედას თავისას ჭუსნიარას და თავის ცოლს და უველა ბანოვანთა უამბობდა, სადაც რა შემთხვევოდ და იმ ალაგებს ანიშებდა ქუჩუკი.

ესენი ამ მიძავლობაში დაუტეოთ და ბაუბაყ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

იმ დროს ბაუბაყ-დევი თავის ლაშქარ-ფაღვანებით ჩქარის სიარულით მიდიოდა, ისეთი ამოუთ მიდიოდა რომ ქვეყანა ბუზათ აღარ მიანდა. იარა რამდენიმე დღე და მადრიბს მიატანა. ერთ დიდ გოქას და კარგ წყლიან ალაგს ჩამოხტა და ჯარიც ჩამოაჩდინა, უოველმა სარდალმა თავიანთ ჯარები დააბინაჟეს, მოვიდნენ და ბაუბაყ-დევის თავუანი სცეს. მივიდნენ და თავთავის ალაგს დასხდნენ. რა დალაგდნენ ბაუბაყ-დევი უბრძანათავის სარდლებს და ჯადოებს: გაგზავნეთ ჯარის კაცნი სანადიროთ, ცოტა რამ მოინადირონ სადილისთვის. მასშინვე დაუხატეს იმ ახლო მიდამოებში და მრავალი ქურციკი და ჯიხვი მოინადირეს—და მოიტანეს სადილისთვის და ვახშმისთვის მოამზადეს, შეიქმნა დიდი მეფეში და უცხოთ შეექცნენ. შემდეგ რამდენიმე აიარა ჯამუშათ გაგზავნეს მადრიბისაკენ, იმათ ამბის სარცობლად.

ესენი ამ ადგილას დაუტეოთ და ფარვან-დევისა, სორაბ-დევისა, ამბირ-დევისა და სორაბ-შაჰის ამბავი მოიხსენიეთ.

ემას წინად ქუხუკმა რომ საჩქაროდ გაისტუმრა სარდალნი მადრიბისაკენ, ამით ჩქარის სიარულით იარეს და მადრიბში ჩამოხტნენ. ამით მოქალაქენი მიეგობნენ და თაყვანი სცეს. ესენი დიდის ყოფით, კოჭლი-დევის სასახლეში მიიყვანეს. იმ დამეს დადალულებმა კარგათ მოსვლენეს. რა დილა გათენდა და ქვეყანა მზის სხივებმა დაამშვენეს, ესენიც ადგნენ წავიდნენ და სორაბ-შაჰასთან შეიყარნენ, სალაში ჰკადრეს და დასხდნენ, ცოტა რასმეს შეეჭტნენ. რა შეჭტევას მოჩნნენ, მაშინ სორაბ-შაჰამ უბრძანა რომ საცა მტრის შემოსასვლელი გზები იყო, ყოველი გაემგრებიანთ და ციხეებს თუ რამ ნაკლი ჰქონდა, სუუველა გაკეთებინათ, აგრეთვე ფარვან-დევმა თავის ჯადოებით განაგრა ყოველი საჭიროება. შემდეგ სორაბ-დევმა მოახსენა ფარვან-დევის: მეთილისმეთა უხუცესო ფარვან! საომარი მხარი შერჩის და არ ვიცი რა იქნებაო. ამ ლაშარაკში რომ იყვნენ, ორი მადრიბელი მცხოვრებნი შემოვიდნენ და თავიანთ ხელმწიფეს მითუბ-დევს მოახსენეს: ხელმწიფე, ორი დღის სავალს სანადიროთ ვიყავით, ვნახეთ რომ ერთ დიდ ტრიალ მინდორში დიდალი დევის ჯარი ჩამოხდა, ისე რომ ის არე-მარე დაშქარმა დაახნელა. ამითან ერთი დიდი ტახტი მოიტანეს რომელზედაც ერთი მთის ტოლა დევი იჯდა და ორას დევს მოჰქონდა იგი ტახტი. მოიტანეს და ერთ გოგონად ჩამოხდინეს, ისეთი საშინელი დევია რომ იმის შესდვას ვერა თაყვანი ვერ გაუძლებს. თავის მაგვარნი, ხუთი თუ ექვსი სარდალი-თაყვანი ჰყავს, ამით იმ ჰირველ მთის ტოლა დევს თაყვანი სცეს როგორც თავიანთ ხელმწიფეს.

რა მითუბ-დევმა და იქ მყოფ ჯადო-თაყვანებმა გაიგეს, სთქვეს: უთუოთ ის წყუელი ბაუბაუ-დევი იქნება თავის სარდალ-ჯაროებით. მაშინვე ფარვანმა სამანდუზ-ჯადო გაკზავნა გასაკებად და უთხრა: შორი-ახლო მიდი, დათვალიერე თუ ვინ არიანო? და დროით შეგვატყობინე. მაშინვე სამანდუზ-ჯადო უხილავათ მივიდა. ნახა რომ ბაუბაუ-დევი იყო თავის ლაშქარ-სარდალებით და სამას ათას ჯადოს დაჰქრით. — და იმ განზრახვაში არიან რომ ორიოდუ დღე შეისვენონ და შემდეგ მადრიბზე იერიში მიიტანონ. ეს ამბავი ყოველივე რომ შეიტყო სამანდუზ-ჯადომ, მაშინვე გამობრუნდა და აფთარ-ხანგს, ანუბუზ-დევს და სურხარაბ-დევს ძებნა დაუწყო მათში, მაგრამ ამ უთვალავ ჯარში ვერა ჰოულობდა ვერც ერთს. ამტონი უთვალ-

თვალს რომ ერთ ალაგას მიავნო, ნახა რომ ისინი იმ განზრახვაში იყუ-
 ნენ რომ იმ დამეს თავიანთ ჭაშქრით მადრიბში შესულიყვნენ და ბუბაყს
 გადაზღვროდნენ. სამანდუზ-ჯადო უჩინათ მივიდა და სმივეს სალაში
 ჰქადა: აფთარ-ზანგმა ხმაზედ იცნო. მაშინვე სამანდუზ-ჯადო მივიდა ახ-
 ლო კარდაეხვივნენ და ერთმანერთს ეაქერსებოდნენ, შემდეგ იმათ ქურუ-
 კის ამბავი იკითხეს, სამანდუზმა მოახსენა: ოჲი ფაქეჯანო! ქურუკი ინ-
 დოეთიდამ გამფიდა თავის დიდებულ-ჭაშქრით და ამ ორიოდ დღეში აქ
 განდგება მადრიბში. მადრიბშია ცა დგას დიდალი ჯარი ქურუკისა. აქ იმ-
 უოთებიან: ფარვან-დევი, ამბირ-დევი, ზოკაბ-დევი, ზოკაბ-შაჰი, თავიანთ
 ჯარებით. და დღე-დღეზე მოქლოდებიან ქურუკსა და იმის მოძე ფაქე-
 ნებს თავის ჭაშქრებით. ახლა კი მშვიდობით, დროა მე წავიდე მალე და
 შევატოვინო.—აფთარ-ზანგმა უთხრა: ამადამ ვაძირებთ თუ დმერთი შე-
 გვეწევა ჩვენის ჯარებით კადმოსვლას თქვენთან და გულისუური ჩვენკენს
 გქონდეთ.

სამანდუზ-ჯადო მაშინვე უხილავათ წამოვიდა და ყოველივე იქაური
 ამბავი ფარვან-დევს მოახსენა, ისიც უთხრა რომ ამადამ უნდა გადუღებენ
 ბუბაყ-დევს ჩვენი სარდლები თავიანთ ჯარებით და ჩვენ მხარეს კად-
 მოვიდნენ. ამათი კადმოსვლის ამბავი რომ გაიგო ფარვან-დევმა დიდათ
 იამა და მაშინვე ჯარები თავიანთ სარდლებით, მათ შემოსასვლელ გზაზედ
 დაყენა. თითონაც თავის ჯარით დადგა და ასეთი თილისმებით შეულოცა
 რომ არა ჯადო არ მიჰკარებოდა ბუბაყისა. ფარვანმა ერთი ჯადოთი წყა-
 ლი შეჰქმნა, ისეთი რომ თუმცა ბუბაყ-დევის ჭაშქარს გაემარჯვნა, იმ
 დროს იმ წყალს ჰაკრში აუშვებდა და იქილამ ჩამონადენი წყალი რა სულ-
 დებულსაც დასცემოდა დაუბრმავებელ არ გაუშვებდა. ამისთანა თილისმა
 ფარვანმა, ყოვლად გაჭირვებულ დროისთვის შეინახა ქურუკის მადლით.
 ფარვან-დევი ზედ მიწევნით ამბობდა და რწმუნდებოდა რომ ქურუკი ვერ
 გაუძლებდა ბუბაყ-დევს, და ქურუკის სიკვდილი ბუბაყ-დევისაგან ეგონა.
 ამისთვის ფარვან-დევი, თილისმის ყოველ საშუალებას ხმარობდა და ინა-
 ხავდა ქურუკის მადლით ყოველ შემთხვევისათვის. რადგან ფარვან-დევი
 დიდი ერთგული იყო ქურუკ-ყარამინისა და დიდი ღვაწლი მიუძღოდა მათ
 გვარზედ. ამიტომ ენახებოდა იმის ვაჟკაცობა. აგრეთვე სიმრულ-ფაშკუნჯ-
 საც არა ჰქონდა იმედი რომ, ქურუკი გადაჩენოდა ბუბაყ-დევს. როცა ქუ-
 რუკი მოკვდებოდათ ეკვლას გული უკვდებოდათ, როცა იმის გულგონ-
 ნობას შესედავდნენ, მაშინ ცოტათ იმედი ეძლეოდათ და ფაქრობდნენ,
 იქნება დმერთი შეეწიოს და სძლიოს.

ესენი ამ ფიქრში დაუტოოთ და ახლას ბაუბაყ-დევის ამბავი-
მოიხსენიეთ.

ბაუბაყ-დევი ერთი დღე იქ განისვენა, მესამე დღეს აურა უბრძანა, რომელიც უნდა მადრიბში შესულიყო და ციხეზე იერიში მიეტანა. მაშინვე წამოვიდნენ იმის სარდლები და ფაქელები დიდის ყოფით. ამ მიმავლობაში, აფთარ-ზანგი რომ დაუახლოვდა მადრიბს და ფარვან-დევის ჯარიც დაინახა. მაშინ კარგათ დაინახა რომ ზორაბ-დევი თავის ათი ათასის მეომარი ლაშქრით დგას. მარცხნივ შეხედა ნახა, ამბირ-დევი, ორასი ათასის კარგი მამაცი ლაშქრითა დგას—და შეაშინა მათუზ-კოჭლი დევი და ჯინისტინის სულთანი ზორაბ-შაჰა, ხუთასის ათასის ლაშქრით. რა ესე ნახა—დიდათ იამა და მაშინვე სურხარაბ-დევის და ანუბუხს ანიშნა, მაშინვე ამათ თავიანთ ორასი ათასის მამაცი ჯარით, ფარვან-დევისაკენ გადავიდნენ. რა ფარვანს მიუახლოვდნენ ისლამი უძღვნეს და სამთავემ პირს აკოცეს. შემდეგ მობრუნდნენ და ზორაბ-შაჰას თავიანი სტეს და ზორაბ-დევის, აგრეთვე, მათუხს და ამბირსაც მიესალმნენ. მაშინვე უკუიქცნენ და სდაც მარჯვე სამხარი ალაგი იყო თავიანთ ჯარი იქ დარაზმეს. და თვითონ ისევ გამობრუნდნენ და ფარვან-დევთან მოვიდნენ და ერთად შეიყარნენ. როდესაც ესენი ერთად შეიყარნენ, დიდათ ესიამოვნათ—რა ბაუბაყ-დევის ყოველივე ვითარება გაიგეს, მაშინ კი ცოტათ შეფიქრებდნენ. შემდეგ მეფლისი გამართეს და უცხო ნადიმი გადაიხადეს. რა ღვინიდან მოიცაღეს, მაშინ მოსვენებას მიეცნენ.

— დიდა რომ გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმან მხემ ქვეყანას თავის ბრწინავლებით დაამშვენა, ესენიც ძილით ადგნენ, ქუჩუკის დემართი ახსენეს და ყოველნი წავიდნენ თავთავის ალაგს და თავიანთ ჯარები დაათვალიერეს და დიდის ომების მომლოდინები დაემზადნენ.

ესენი ამ მხადებაში დაუტოოთ და ბაუბაყ-დევთან მოვიდეთ.

იმ დროს რა დროსაც ბაუბაყ-დევი მადრიბში მივიდა და დაბანაკდა, მაშინვე თავის სარდლები შეჰყარა და დარეგება მისცა, ისე რომ პირდაპირ უნდა ციხეზე მიეტანათ იერიში და სამათ გაყოფილიყვნენ. ამისთანა განკარგულებას რომ აძლევდა, ბაუბაყის ერთი აიარი შემოვიდა და მოახსენა: ხელმწიფე! აქამდის მადრიბის ციხესთან თუმცა ჯარი სუმბუქათ იყო, ახლა აკერ ფარვან-დევი, ამბირ-დევი, ზორაბ-შაჰა, მათუზ-დევი რომელიც

მადრიბის ხელმწიფეა. ესენი თხუთმეტი ასი ათასის ლაშქრით კამბიდგარან ციხესთან. რა აფთარ-ზანგმა, ანუაბუზ-დევი და სურხარაბ-დევი იგინი და იმათი ჯარები ნახეს, მაშინვე თქვენი გილალატეს და იმათკენ გადავიდნენ თავიანთი ორასი ათასის ჯარით და აარადებით.

ბაყბაყ-დევი რომ გაიგო იმათი ღალატი, ასეთი სახე დაეღო რომ ვის შეეძლო იმის სახის ყურება! უცებ ერთი ასეთი დაიდრიალა რომ იმის ხმაზედ დედამიწა შეიარა და რამდენიმე მთა გადმოინგრა, ამის დრიალზე. ისე რომ მადრიბიაც კი მიესმათ ამის ცის გრგვინასავით დრიალი, და ჰგვირგვინდნენ თუ რა დაემართათ და რა დრიალიაო. მაშინვე ფეხზე წამოდგა მთასავით ეს ბილწი ბაყბაყი და იმ თავის შვიდ თავიდან და შვიდ ზირიდან, ასეთი ცუცხლები გადმოჰყარა რომ თითქმის ათასი ჯარი სულ გადასწვა. რა ცოტა დაწინადა, მაშინვე ფიცხელი ბრძანება გასცა რომ ჯარები დაეკარა მათ საომრათ, მაშინვე ბრძანება აასრულეს და ჯარები და რაზმეს. მაშინვე თვითონ ბაყბაყმა, ფელადის ტანისმოსო ჩაიცვა, ფელადის ტანტზედ ავიდა და თავის გურსი გვერდ დაიდო და უბრძანა თავის სარდლებს რომ იმ წამსვე შეეტოთ და დიდად დედილიყვნენ რომ ეგები ანუაბუზი, აფთარ-ზანგი და სურხარაბ-დევი, კვალად ხელთ ეგდოთ და ცოცხლები მიეგვარათ იმისთვის. მსოფლიდ ჯერ შავი-დევი და ხაზარან-დევი თავისთან აყოფა. ამ მეორე სარდლებმა შეუტოეს ძლიერ მამაცათ და უიენა დასცეს ასე ეგონათ რომ ესეს არის ქვეყნის ავალბრებთო.

იქით მხარეს, ფარვან-დევი რომ ნახა ამათ შეტევა, იმანც ზორაბ-დეუს, ამბირ-დეუს და კოჭლ-დეუს უბრძანა, მათ წინააღმდეგობა. ზორაბ-შანამაც თავის სარდალ ნახუქ-ჯინს უბრძანა შეტევა. ეს ნახუქ-ჯინი ასეთი ფაქეჯანი იყო რომ, მამალ ვეშაშს გულ გაუზობდა. ამათ ამ წამსვე მარჯვენა მხარეს შეუტოეს, მარცხენა მხრიდანაც აფთარ-ზანგი, ანუაბუზი და სურხარაბ-დევი მიუსია. ისეთი ომი შეიქმნა რომ სისხლი მდინარესავით მიდიოდა. ამ უამად ფარვან-დევი და ზორაბ-შანა პერიდამ უმხერდნენ, ნახეს რომ საითაც ამბირ-დევი შეუტევადა, მეხის ზარს დასცემდა და პირს აბრუნებინებდა. იმ დღეს და იმ დამეს გათეხებამდის საშინელი სისხლის დვრა იყო, ისე რომ ამ უთვალავ დევთა ყვირილისაგან ყურთა სმენა აღარ იყო, ერთმანერთს შეჭვივროდნენ, ჰკარ, მკჰკალ, ერთსაც ნუ გაუშვებ ცოცხალსაო ხან ისინი წამოიღებდნენ და ხან ესენი. ამ დროს შეხედეს ნახეს რომ ერთ ორთავიან დევს, მარცხენა მხრიდან დევთა ჯარი გამოუტრიალებია და უკან ჩეხვით მოსდევს. ამ დროს ზორაბ-დევი და იენა და იფიქრა, დემერთო ჩემო, ეს ორთავა დევი ვინ უნდა იყოსო! კარგათ რომ დააკვირდა ნახა რომ ასოდის მწერთის მქონებელი შაქუტ-

დევი, ამას წინ წამოუყრია ზოგად-დევის ჯარი და უკან ხოცვით მოსდევს, ვისაც ხმაღას სცემს შუაზედ სწვევტავს, ვისაც შუბს აძგერებს ბეჭშიგან ახედებს, და თანდათან ნარასა სწევს. ამ დროს ზოგად-დევი, ღვთის სახელი ასხენა და შაქუტ-დევის მიუხტა, ხმა უეც! ზეი შენ წვეულო! მათ ხოცვისაგან ხელი აიღეო! რა შაქუტ-დევი შეხედა ნახა რომ ერთი უშველებელი დევი წინ დაუდგა, ასეთი რკინის კეტი უჭირავს რომ უაფის მთას რომ დასთხლიშოს იმასაც დაანგრევს. ამის ხმაურობაზე შედგა შაქუტ-დევი და უურება დაუწეო, რა ვერ იცნო, ჰკითხა: დევი შენ ვინა ხარ? ზოგად-დევი უთხრა: შაქუტ! შენ ჩემ ვინაობას რას კითხულობო?.. მაშინვე თავის მძიმე რკინის კეტი დასაკრავად მიუტანა. როდესაც შაქუტმა იმის კეტის შემადგება ნახა, მაშინვე თავისი გურზი თავს დაიდვა, ზოგადმა ასეთი ძლიერად დაჰკრა რომ ძვალმა და ხორცმა სულ განკალი დაუწეო, ამასზედ შაქუტ-დევი თავის გულში ქება შეასხა, მეორედ და შესამეც სცა, მაგრამ უვნებლად გადაურჩა. ახლა კი რიგი შაქუტ-დევის ერგო, თავის გურზი სამჯერ თავს შემოიფლო შაქუტმა და ისეთი დაჰკრა რომ ზოგად-დევი ძლიერ შეწუხდა. ამანაც ქება შეასხა მის ფაღვანობას.

ესენი ერთმანერთის ცემაში დაუტეოთ და ბაუბაუ-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

იმ უამად რა ბაუბაუ-დევი ნახა რომ თავის ჯარი შედგა, მაშინვე საშინელი ხმით წამოვიდა და არჯაუ-დევიც თან წამოიყვანა, ამ არჯაუ-დევის ამ რამში ახუბუზ-ნარა დევი შეხვდა, დაუძახა არჯაუ-დევი! ზეი შენ ზურმარდიის მკომბელი! ჩვენგან რა ცუდი ნახე რომ გაიძარე და გვიდალატე? ახა ახლა მიუურე შენ როგორ შეკანანია ჩვენი რაჯაბის წყალობით! ახუბუზმა ხმა არ გასცა და ერთმანერთს დაუბირდაპირდნენ და ერთმანერთს დაუშინეს სეტყვასაგით. მეორე მხარესაც საყანხუნ-დევი წამოვიდა. საყანხუნს ხელთ ასეთი გურზი ეჭირა რომ იაღბუზის მთისთვის რომ დაეკრა იმასაც შუა გააპობდა. მეორე მხარესაც ამ რეულ-დაწყულობაში, საყანხუნ-დევი შეხვდა, სურხარაბ-დევის, ამათაც დიდი რამი მოუხდათ ერთმანერთთან და ვერა რომელიმე აჯობა და შეხეჩებული თავგანწირულად იბრძოდნენ. ისეთი ხოცვა შეიქმნა ორსავე მხარეს რომ, დიდრონ მდინარეთ გარდაიქცა ამის ველი სისხლისა. სამი დღე და დამე განუწვევტელი რამი იყო, ამ ხანგრძლივ რამში ზირი არც ერთმა მხარემ არ იბრუნა და ვაუკაცურად იბრძოდნენ. მეტათ რომ გაგრძელდა რამი და ვერაფრით გადაწედა, დალგე

უძილობა აწიხებდათ ცალკე დაღაჯულ-დაქანტულობა, უგელა იარაღი დაუ-
ჩლუნგდათ ხლმები ხერხებს დაუმზავსდათ და ვერაფრით გაიყარნენ. მა-
შინ ფარვანმა უთხრა ამბირ-ღევს: აბა ამბირ, მიეშველე შენის დასტით
თორემ საქმე ძლიერ გაჭირდაო. ამბირი მაშინვე მარჯვენა მხარეს მიუხ-
ტა თავის მოწინავე დასტებით, მაშინ კი ცოტათ შეარყიეს ბაუბაყ-ღევს:
ლაშქარი და მარცხენა მხარეს ჰირი აბრუნებინეს და საშინელი უიჟინა და
სტეს, რომელიც მეორეთ მოსვლის ხმას ემზავსებოდა. ბაუბაყის ჯარის
უკან მიქცევა, შაჰ-ღევმა ძლიერ ითაკილა, — თავის ამხანაგს შესძახა! ბარ-
უულ-მეთილისმეს: აბა ახლა შენც მოგვეშველე შენი ჯადოს ლაშქრით და
მანქანებით. ბარუულ-ჯადოც წამოვიდა თავის ჯადოს ჯარებით, იმას ეგო-
ნა ფარვან-ღევს თილისმებს და ჯადოებს რასმეს დააკლებდა; ამან მრავ-
ლი ჯადოები შექმნა, მაგრამ ფარვანის ჯადოს ლაშქარს ვერა დააკლრა.
ამიტომ რომ ფარვან-მეთილისმეს სხვანაირათა ჰქონდა თავის საქმე მოწ-
უობილი, ისე რომ ბარუულ-ჯადოს თილისმები სრულად გაქანწილდებო-
და იმათ წინაღობდეც. ბარუულ-მეთილისმემ ნახა რომ ვერა გააწყო, მა-
შინ შეატყო რომ ფარვანის საქმე იყო. ფარვანმა შესძახა თავის ჯადო-
ლაშქარს, აბა ჯადონო ხმლმებს ხელი გაიკარითო! მაშინ უგელამ გაიკრეს
ხელი ხლმებს და დიდი უიჟინა დასტეს და ისე შემოუტიეს. ამასე ისე
ბაუბაყ-ღევს ჯარმა იბრუნა ჰირი და საშინლად მიესტეობდნენ. ფარვანი
თავის ჯარს ამხეგებდა და უევიროდა, არიქა დაჰკარით, შეჭკარით, ერთ-
საც ნუ გაუშვებთ ცოცხალსო!

ესენი ამ საზარელ ომში დაუტოვით და ქუჩუკის ამბავი
მოიხსენიეთ.

როდესაც ქუჩუკი აიყარა ინდოეთიდან და ფაშკუნჯზედ შეჯდა, წა-
მოვიდნენ თავის თანაგრძნობ უცხო ფალეგნებით. იმ დროს ასეთი გა-
ჯავრებულ-გატეცხლეიული მოდიოდა რომ იმის ჰირისახის შესედვას შვიდ-
თავიანი ვეშაზიც ვერ გაუძლებდა. რა მადრიბის მოახლოვდა რაღაც უიჟი-
ნის ხმაურობა მოესმა, საჭმან-აღამზადს უთხრა ქუჩუკმა: ჭეი საჭმან! ეს
რა უიჟინის ხმა ისმისო? საჭმანმა მოახსენა: სახუიროანო! ეს ხმა ღვეთა
ხმა არის, მე ისე ვგონებ რომ ბაუბაყის ჯარი მოუხტებოდა ციხეს და იმა-
თი უიჟინის ხმა უნდა იყოსო. მაშინ ქუჩუკმა სამანდუზ-ჯადოს უბრძანა:
შენ წახვალ შენის გრძილულობით შორიანლად და გაიკე რა ამბავია ეს ხმი-
ანობა. მაშინვე სამანდუზმა თავი დაუკრა გამობრუნდა და მადრიბის ბრძო-

ღის ველებზე მავიდა, ნახა რომ ასეთი საშინელი იმია რომ მეორეა მთ-
სვლას ემზავსება. ორივე მხრიდან დაკვირვან ერთმანერთს და ვერარა-
მედიმე სჯობნის, თავიანთ უფლები სარდალ-ფაქელები იბრძვიან და მხრ-
ლად კოჭლი-დევი დგას და რიკს უნახავს. მეორე მხარეს შეხედა ნახა
რომ ერთ გორასზე ტანტი დგას და ერთი მთის ტოლა დევი ზის, მარ-
ჯვნივ და მარცხნივ, ორი საშინელი დევები უსხედან და იმათთან უცხო
ფაქელები დევები არიან და ომს უჭვრეტენ. ესე რომ იხილა სამანდურ-
ჯადომ, მერე ზორობ-შაჰასთან და ფარვან-დევთან განხდა, მათ თავუანი
სცა და ქუჩუკის მობრძანება მთახსენა. იქიდან სანქარათ გამობრუნდა და
ქუჩუკს აცნობა უფლებივ ემათი ვითარება და უთხრა: სააზვიარსო ქუჩუკ!
ჩვენს ჯარს და ბაუბა-დევის ლაშქარს ერთმანერთზე იერიში მიუტანიათ
და ეს მეოთხე დღე და ღამეა თურმე განუწყვეტელი ბრძოლა აქვთ. მე-
ორე მხარეს ერთ ფოლადისაგან შექმნილ ტანტზე ზის ერთი უშველე-
ბელი მთის ტოლა დევი, რომელსაც შვიდი თავი აბია. და მარჯვნივ და
მარცხნივ ორი საშიში დევები უსხედან და ომს უჭვრეტენ; როგორც გა-
ვიგე თურმე იმ ტანტზე მჯდომი ზირველა ბაუბა-დევი და მეორეები თავ-
ვის სარდლები, შავი-დევი და ხაზარან-დევი.—ჯერ ამათ ჯარები კი არ
იბრძვიან და ჯერს უუჩრებენ. ბარუულ-ჯადოც თავის ჯადოებით მოქმედებს,
მაგრამ ვერაფერი გაუწყვიან ჩვენ ფარვან-დევის შემწეობით. რაც ენახა და
გაკოცო უფლებივ დაწვრილებით მთახსენა: ქუჩუკმა და ფაქელებმა რომ
გაიგეს ამისთანა განხეთქილება, მაშინვე დაეჩქარნენ და მეორე დღეს მი-
ვიდნენ ნახეს რომ მადრიბის იქით ერთი დიდი მინდორი, ბრძოლის ვე-
ლად გადაუქცევიათ და ისეთი საშინელი ბრძოლა აქვთ რომ მეორეთ მთ-
სვლას ემზავსება. ორივე მხრის ფაქელები და დევი ერთმანერთს და-
რევიან იბრძვიან თავგანწირულად და ვერა რომელიმეს უძლებს. მარჯვნივ
შეხედა ნახა რომ თავის კოჭლი მათურ-დევი, ორსი ათასის მამაცი ჯა-
რით, მებრძოლთ მხარეს უნახავს და დგას. ზევით ჰკერში შეხედა ნახა
რომ ზორობ-შაჰა და ფარვან-მეთილისმე თამაშს უუჩრებენ; დასავლეთის
მხარეს შეხედა ნახა რომ, ერთ მალა გორაკზედ ერთი ფოლადით შექმ-
ნილი ტანტი დგას და ზედ ერთი საშინელი და საძაგული დევი ზის შვიდ-
თავიანი, თითო იმის თავი აბანოს ეუმბათს ემზავსება და ერთი დიდი
მთის ტოლა ფოლადის ლახტი გვერთ უდევს, ამ დევს სამასი მწერთა
სამადლე აქვს, ექვსი ფეხი და თორმეტი ხელი, სამსამი მწერთა კბილე-
ბი ღორის ეშვებივით გარეთ უჭრია, თითო იმის თავი დიდი თაბის
ტოლა, თავლის კაკლები დიდრან სასამთრის ტოლნი, უფელ თავზედ
თითო რქა აბია და რქებ შუა ჯაჭვით ზარები უკიდია. ვეფხვის ტყავის

ტანისმოსი აცვია. თავის ცოტა მოშორებით, ერთი თავის შესაფერი სა-
ჯდომი მხეცი უბია. მარცხენა მხარეს შავი-ღვინე უზის და მარჯვნივ ხა-
ზარან-ღვინე, იმათაც ეტყობათ რომ დიდი ფაფგუნური შეხედულება აქვთ,
შავ-ღვინე თხი თავი აბია და ორასი მწურთა სიმაღლე აქვს, ექვსი ხელი
აქვს და მეტათ საშინელი შეხედულობის ღვინა. მარჯვენა მხარეს ხაზარან-
ღვინე, მეტად ბილწი შეხედულობისა, სამი თავი აბია და ცხრა ხელი და
ორას ორმოცდა ათ მწურთამდე სიმაღლე აქვს. ამათ გარდა წინ სკა-
მებით სხვა მრავალი ფაფგუნები და გმირები უხსედან და ესენიც ომს უუუ-
რებენ თამაშს. ქურუკმა და არღვენ-შაჰამ კარგა გაშინჯეს და დაზვერეს.
შემდეგ ხელმწიფე არღვენ-შაჰამ და ქურუკმა დიდი მადლობა შესწირეს,
ამისთანა აჩხუბების გაჩენისათვის ქვეყანაზე და ღვთის განგებულება აღი-
ღუს. მაშინვე ორთავებ დაინოქეს და ქურუკის თავი და სხვა ფაფგუნების
შეაჯდრეს რომ იმას ესხნა იმათ ხელიდამ. აგრეთვე მოვიდნენ ქურუკის
მოდძე ფაფგუნები და გმირები, ამათაც დიდათ გაუკვირდათ და დიქრთს
მადლობა შესწირეს.

შემდეგ ფაფგუნებმა ომს ეურება დაუწეს და ომის მომწადინენი
უგუჯას თავის ბაღანი აეშალათ და კბილებს დრტუნა დააწეებინეს. რა ქუ-
რუკის სამსურამ რაშმა ამოდენა ღვინა შეუკრილობა დაინასა და ომები, კი-
ნადამ ჰყერიდამ ძირს ჩამოხტა და საშინელის ხმით დაინიზინა და ტო-
კვა შექმნა, ისეთი ხმები ამოუშვა რომ ორივე მხრის მეომართა მიესმათ
და ომიდამ ხელი შეინახეს და ჰყერში ეურება დაიწეს. ამათ ნახეს რომ
დიდალი ჯარები მოდიან ჰყერით თუ აღამიანებისა თუ ღვეებისა და ის
საშინელი ათას გვარი ხმები იმათგან მოისმის. კარგა დააკვირდნენ და
ვისაც რომ ენახა, ქურუკის სამცხენა იცნეს და მტერთა დიდი შიშის ზა-
რ დაეცათ. ამისთანა შიშში და ზარ დატყმაში რომ იყვნენ. ბავაუ-ღვე-
თან ერთი ჯადო მივიდა და მოახსენა: დიდო ზღვისა და ხმელეთის ხელ-
მწიფე! ამ ჰყერით მომავალ ლაშქრის ამბავს თუ მოისენიებთ: ესენი
გახლავან მიწით ნაშობნი ქურუკ-ყარამანის ლაშქარი და თავის შვილთა იუ-
ლითა ხელმწიფე, უშანგის შვილი, არღვენ-შაჰამ და თავისივე ნაქები სარ-
დალ-ფაფგუნები და სიმრუდ-ფაშკუნჯიც თან ახლავთ. ფრინველთ ხელმწი-
ფე, საჰმან-აღამზადი და საჰმანის ამხანაგები ათერმეტი ხვადი ღვენი აქა-
ქუნ-ღვენი და სხვანი, რომელნიც ერთ დროს ყარუნ ხელმწიფეს შეეპურა
და დაემწევიდა საზურობილეს, რამდენი ასი წელიწადი. რომელნიც ამ ქუ-
რუკის ჰაჰამ ყარამან-უათილმა გამოიხსნა საზურობილიდამ და განთავისუფ-
ლა. მას შემდეგ ყარამანს ემონებოდნენ ეგენი და ახლა ყარამანის ჩამო-
მავლობას.

რ ბაუბაუ-დევის მოხსენდა უველა იმათ ვინაობა, იმ მთხრობელ ჯადოს უბრძანა: ახლავე წადი, დაფარულად უქეშიკე შენ ხელაფებით და რაც საქმემ გაიაროს უოველივე შეიტყე და მე მაცნობე.

ქუჩუკი არღევან-შაჭით და თავის დიდებულ ფაღველებით, კარკა ხანი ომის თამაშას უჭვრეტდნენ ჭყერით. შემდეგ განშორებით ჩამოხდნენ ქვეყანას და მაშინვე სსჭმან-აღამზადმა და თავის ამხანაგ ათერთმეტმა ღვებ-მა უცხო კარგები დასდგეს—ღობის სალაფარდები შემოაფლეს და შიგ უცხო ტახტები მომართეს. ბანოვანნი უცხო სინაზით შებრძანდნენ და დასხდნენ. აგრეთვე შვიდთა იუფიშის მპერობელი ხელმწიფე არღევან-შაჭა, დაბრძანდა და ზედ სახელმწიფო ქოლკა დაადგეს და შვიდ კუთხიანი თავი თავს დაიხურა. დასხდნენ აგრეთვე თავის დიდებულნი სარდალნი. იმ დღეს და ღამეს მგზავრობიდა მდალაფეებმა დაისვენეს.

ომი ბინდამდის გასტანა, სიბნელემ უსწროთ და თავის ბნელი ზეწარი ქვეყანას მოჰფინა, მეომარნი უკანასკნელად დაიდაღ-დაიქანცნენ; იარაღიც დაუჩუნებდათ. ორივე მხარეს, სისხლის რუებმა დაიწყო დენა, ჯარის კაცნი ვეღარ მოქმედებდნენ. ამ დროს ფარვან-ღვემა და ზორობ-შაჭამ გასაყარს ხაღარას შეაბერიეს და ორივე მხრის ლაშქარნი გაიყარნენ. გაბრუნდნენ და თავთავის ბანაკებში მივიდნენ.

როდესაც ფარვანმა და თავის სარდალ-გმირებმა შეიტყეს რომ არღევან-შაჭა, ხელმწიფე შვიდის იუფიშის მპერობელი და ქუჩუკ-ყარამანი, მობრძანებულან თავიანთის ხელმწიფე ფაღველებით და დიდის ლაშქრით,— ძლიერ გაიხარეს და სამხიარულად ხაღარას ჩააბერიეს. მეორე დღეს მოვიდნენ ციხე-ქალაქის მცველნი. ფარვან-ღვეი, ზორობ-შაჭა, ზორობ-ღვეი, ამბირ-ღვეი, აფთარ-ზანგი, ახუაბუზ-ღვეი, სურხარაბი და მათუზ-კაჭლი-ღვეი, მივიდნენ დიდის სიხარულით და აღტაცებით, საღამო და თავუანი სტეს. იმათაც გამარჯვება მიულოცეს. ამათ ადგილები უთავაზეს და დასხდნენ უველანი თავთავის ალაგას და დიდი მეჯლისი გამართეს. ბანოვანნიც მოვიდნენ და გამარჯვება მიულოცეს ამ ციხე-ქალაქის დამცველ გმირებს. ესენიც დასხდნენ და დიდი მხიარულება შეექმნათ.

აქ დაიწება დიდი ომები და სისხლის ღვრა, ბაუბაუ-დევის სარდალ-ფაღვეან ჯადოებისა და ქუჩუკ-ყარამანის დიდებულ-ხელმწიფე ფაღველებისა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, ქუჩუკის გამარჯვება და ბაუბაუ-დევის შეპყრობა.

მ უამად ჯერ სხვა ამბავი დავიწყოთ მკითხველ. წავიდეთ ზარბაქ-

დევის ქალაქში, რომელიც ბაუბაყ-დევი დაიბერო ციხე-ქალაქი და იქ თეთრი-დევი განაწესა და ჩააბარა რომ იმას დაეცვა ქალაქი თავის ჯარებით და თავის ახრი-ჯადოთი. რომელიც ეს ახრი-ჯადო, ოჭყალი-ჯადოს დახელოვნებული იყო, როგორც ზევით მოვიხსენიეთ. ეს ჯადო ისეთი წყველი რამ იყო რომ, ოჭყალი-ჯადოს გადააჭარბა. რომ მოქმედებინა თავის ხელოვნებით, ცილამ ვარსკვლავს მოჭკლეკდა. ერთხელ თეთრმა დევმა მოიხმო ახრი-ჯადო და უთხრა: ახრი, ახლა თქვენ რას უუბრებთ? ეს უნდა იცოდეთ რომ რაკი ბაუბაყ-დევი აღმინათ სამეოფის წავიდა ის ქუჩუკ-უარამანს ვერ გადაჩნება. თუმცა ქუჩუკს გადაურჩეს, იმას ასეთი ფაქტები ჰყავს რომ ისინი მოუკლავს არ გაუშვებენ. მერე შავ-დევისად მოჭკლეკენ და ხაზარან-დევისად. თუმცა ესენიც ძლიერი დევები არიან მაგრამ ქუჩუკს უფრო მძლავრი დევ-გმირები ჰყავს, იმის ფაქტს დევებმა რომ მოისურვონ უკლავ ქვეყნებს ერთ დღეს ახრებენ, ისინი ქეომარ თანმუკადის თესლისანი არიან, მათზე დევთაგან გამარჯვება არაოდეს არ იქმნება. ახლა მე და შენ ეს სახელმწიფო კარგათ უნდა გავამაგროთ და შენც შენის ხელოვნებით ისეთ რიგათ უნდა შეჭკრა გზები რომ რაჯაბ-უმბასად გაუჭირდეს აქ შემოსვლა. მაშინვე ახრი-ჯადო შეუდგა საქმეს და თავის მანქანებით ისე გაწყო უკლავ გზები რომ ფრინველიც ვეღარ გაივლიდა, არამც თუ კაცი. ერთი თილისმა შეჭქმნა და ამ თილისმამ ისეთი სუნი დააუენა ერთი დღის სავალს რომ კაცს რომ ენოსა შის სუნი საწამლავად გარდაეჭვოდ. და უკლავ შესავალ გზებზე სულ ცეცხლის გარები დააუენა და დედამწა ისეთ ნაირათ გახურა რომ ვერა აღმინა—სულდგმული ვერ გაივლიდა. ამასთან თავის გრძიულობით სულ ვეშაბებათ გარდაქცის გზაზე დაერილი ქვა-კლდე. ისეთი თილისმები გაწყო გზებზედ რომ ზინდარ-ჯადოს, ნიშკალ-ჯადოს და სანგურ-ჯადოთაც გაუჭირდებოდნო. ამასთან ასეთი ნისლი და ღრუბლები შემოახვია იმ ციხე-ქალაქს რომ თვალთ ადარა ჩნდარა და თვითონ კი უკლავს ხედავდა. რა ახრი-ჯადომ ამისთანა თილისმები გაწყო, წავიდა და თეთრ-დევის მოახსენა: ხელმწიფე უკლავ საშუალება ვიხმარე და გზები დაჯაჯადოვე, აბა ახლა მობრძანდეს ფარვან-დევი და დაარდვიოს თუ შეუძლიან. როცა ეს თილისმები დასრულა, მაშინ უზრუნველად სცხოვრობდნენ თეთრი-დევი და ახრი-ჯადომხლოდ ბაუბაყ-დევის ამბვის მომლოდინენი იფუნენ და სამზადისში, რომელიც სამთავისის სულთანს უნდა გამხდარიყო მალე.

ეს თეთრი-ღვევი სამხადისში დაუტეოთ და ბაუბაუ-ღვევისა და ქუჩუკის ომის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც მადრიბის მიდამოში მივიდა და იქ ჩამოხტა ბაუბაუ-ღვევი თავის ლაშქრით და რამდენჯერმე ომებიც ხომ გადაიხდა ფარვან-ღვეთან და ვერა რამეღმა სძლია. შემდეგ რომ გაიგო ქუჩუკ-ფარვანის და არღუ-ფან-შაჰა თავის ნაქებ გმირ ფაღვანებით და ლაშქრით მოვიდა. მასინ ცოტა არ იყო ძლიერ შეფიქრიანდა ბაუბაუ-ღვევი და უბრძანა თავის სარდლებს, შავ-ღვესა და ხაზარან-ღვეს: ახლა კი დროა რომ თავი ვისასწავლოთ და თავგანწირულად ვიომოთ რომ მალე გადაწოდეს და დაფასდეს ჩვენნი აქ მოსვლა, თორემ რა გამოვიდა რომ ამოდენა ხანია აქ ვიმყოფებით და ვერაფერი ვერ გავაკრიგეთ. ამ ბრძანების ამსრულებლებნი შავი-ღვევი და ხაზარან-ღვევი მასინვე შეუდგნენ სამხადისს. მაგრამ უნდა მოკახსენოთ მკითხველთა რომ ეს ხაზარან-ღვევი, შავი-ღვევი, თუ არჯავ-ღვევი, ასეთი ფაღვანის იყვნენ და შეკმარნი რომ მთელ ფაფის მთაში არ გამოვიდოდა. რამეღიც ამათ ვაყვანობას და გმირობას, თვითონ ფარვან-ღვევი და ფაშა-ქუჩუკი ამტკიცებდა. ამ ბაუბაუ-ღვევის სარდლებმა თავიანთი ლაშქარი კარგათ განწიეს და დახელავნენ საომრათ. შაქუტ-ღვემა და სარვან-ღვემაც ჯადოთ ლაშქარი მოამზადეს. ასე რომ ამათი სიმრავლისაგან და უვირთისაგან დედამიწა იძრწოდა და ჰუკრი სულ მოიღვა იმათი ორთქლისაგან. მასინ ბაუბაუ-ღვემა უბრძანა რომ თავის ტახტი უფრო მაღალ ალაგს დაეკრათ. რა ტახტი დადგეს და დროები ამართეს, ბაუბაუ-ღვევი მიიყვანეს და დიდის დიდებით დასვეს და თავისი მხელიც გვერდ დაუყენეს. თორმეტმა მძლავრმა ღვემა ძლივას მოათრიეს ბაუბაუის ლახტი და გვერდ დაუდეს. მასინ ბაუბაუ-ღვემა თავი ზევით აიწია და თავის ლაშქარს შინჯვა დაუწყო. ამ ჯარის შინჯვაში რომ იყო, ის წყეული და ამა სოფლის მადური რაჯაბ-უმმაკი გაუჩნდა. — მიუახლოვდა და გვერდით მოუჭადა და უთხრა: „ჩემო მონაჟ და ჩემის გულის ნაწილთ! ახლა შენ იცი რაგორც გაიმარჯვებ, შენისთანა ჯარები და სარდლები იმათ არა ჰყავთ. ხვალ უპატივად ჩემი სახელი ახსენე, ომი დაიწყო და დიდათ გაიმარჯვებ. მასინ მთელი ხმელეთის და ზღვის ხელმწიფობა შენთვის მიბოძებოთ. მხოლოდ გმარტებს რომ შავი-ღვევი, ხაზარან-ღვევი და არჯავ-ღვევი კარგათ შეინახო და როცა დაიპყრო მადრიბისტანი, მასინ ჯილდოებათ თითო ქალაქი უწავლობე. ბოლოს არღვან-შაჰა, ნარიმანი, ქუჩუკი, ყოვლიბან-შირვანი, ხოსროვშირი და იმათი ყველა გამოჩენილი ფაღვანები სიმრულ-ფაშუკუნჯიც.

ამათ უველას ცოცხალ ნუ დაარჩენ. ესენი მისხნი მადლობის შუა ქალაქში ძეგლები აამართონე, ზედ ჩამოჭვიდე და ჩამოახე უველანი. ისე მოიქმდე საქმე რომ იმათი თესლი და სინსილა გაწყედეს. მაშინ არდევან-შაჰას ცოლს შაჰნაზდუხტს, შავ-დევის მისცემ, ქურუკის ცოლს გუელიჯანს არჯავ-დევის, ნარიშანის ცოლს ჭუსნიარას, ხაზარან-დევის და ხოსროვირის ცოლს გულჩინს, შაქუტ-დევის—და ინდოეთის დედოფალი სარვიხურამანი შენთვის მიცნა. და ამით გაწყდება იმათი სინსილა“.

რა ესე ლაუბობა გაათავა რაჯაბ-ეშმაკმა ბაუბაუ-დევთან, მერე უთხრა: მაგ საქმეებს რომ გარბე, შემდეგ მთელი ქვეყნიერობა მოიარე და შენი ხელმწიფობა უველას აჩვენე.

რაჯაბ-ეშმაკი ამისთანა რამეებს რომ არიგებდა ბაუბაუ-დევის, იმ უამად სამანდუზ-ჯადო იქ იყო მისული თავის გრძნებით და უურს უგდებდა ამათ ლაზარაკს. მაშინ სთქვა თავის გულში სამანდუზ-ჯადომ, ცოდონი არ არიან იმითანა ანგელაზის მზგავსნი დედოფალნი თქვენს ხელში ჩადვიდნენ?.. რა იმ წყუელმა ბაუბაუ-დევმა, ამისთანა სასიამოვნო სიტყვები გაიგო რაჯაბ-ეშმაკისაგან, მეტის-მეტო სიამოვნებისაგან კინადამ შუაზე გასკდა და ერთი ასეთი გადიხარხარა რომ ცის გრგუნას ემზგავსებოდა. მერე ფეხზე ადგა და თავის წყუელ რაჯაბ მაცდურ ღმერთს თაყვანი სცა და თავდაბლად მადლობა მოახსენა. იმ დროს რაჯაბიც უჩინო შეიქმნა.

აქ სამანდუზ-ჯადოს ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც სამანდუზ-ჯადო ფარულად მისულიყო და უურს უგდებდა რაჯაბ-ეშმაკის ღარიგებას, რომელიც ბაუბაუ-დევი სასიამოვნოდ ისმენდა, იქილამ მსწრაფად წამოვიდა და უოველივე გაგებული, ქურუკ-უარამანს მოახსენა: ქურუკმა სთქვა, მე იმედი მაქვს რომ ჩემ საბათ ღმერთმა იმის ხელში არ ჩამაგდოს. ქურუკი მაინც სამანდუზ-ჯადოს არ ენდო და გარდაჩქმანი მოიხმო და უთხრა: ზეი აიართა უხუცესო გარდაჩქმანო! თუ გიყვარვარ, შენის ხელაგნებით, ბაუბაუ-დევის ჯარში უნდა მიხვიდე და იქაური განზრახვა უოველივე უნდა შეიტყო, ან იმს რადის დაიწყებენ, ან რა სამზადისში არიან, უოველი მაცნობე. გარდაჩქმანმა მაშინვე თაყვანი სცა, გამოვიდა ასიმ აიარი და შირფანჯა თან წაიყვანა და აკრუთვე სამანდუზ-ჯადო, თავის კარავში შეიყვანა ერთი რადაც მჯუმი. გააკეთა და უველამ შეტამეს, მაშინვე სამნივე ორ-ორ თავიან დევებათ გადაიტყნენ, ისე დაემზგავსნენ დევებს რომ ვერავინ გაარჩევდა თუ ესენი დევები არ არიან

მაშინვე კარვიდამ გამოვიდნენ და არღვენ-შაჰსთან და ქუჩუკთან შევიდნენ, თავი დაუკრეს და წასასუფლად დაეთხოვნენ. მაშინ ქუჩუკმა ვერ იცნო და ჰკითხა, დევნა თქვენ რომელი მხრის დევნი ხართ? ან რომელი სარდლის ჯარის კაცი, ან სად მიხვალთ? მაშინ გარდანქეშანს გაეცინა და მოახსენა სააზვირანო! მე განლავარ თქვენი მონა გარდანქეშანი—და ესენიც ერთი სამანდუზია, მეორე ასიმი და მესამე შირფანჯა და თქვენის ბრძანების სამსახურის აღსასრულებლად გაიხლტებით. ქუჩუკს ძლიერ გაუკვირდა გარდანქეშანის იმ გვარი ხელაფურთი მოქმედება და მრავალი ქება შეასხა. მაშინ თავი დაუკრეს ქუჩუკს და იქ შეოფთა დიდებულთა და წავიდნენ. როდესაც გარდანქეშანი ბაუბაუ-დევის ლაშქარს მიუახლოვდა, ისე უჩინრად შეიარა იმათ ჯარში რომ სრულიად ვერავინ შენიშნა. ჯარს რომ გასცდა იმოდენა იარა რომ ძლივას მიაღწია ბაუბაუ-დევის კარავს, ჯარის სიმრავლისაკან, რა მიავიდა ახლო ნახა რომ ერთი უშველებელი კარავი დგას, ისეთი რომ ცელა ათი ათასი კაცი ხალგათად დაეტევა დასასხდომათ. ახლოს მიუახლოვდნენ და დევებში გაერივნენ, ისინი ვერავინ იცნო ამიტომ რომ იმ ლაშქარში ათასი მხრის დევნი ერივნენ, ისეთნი რომ ზოგს ერთმანერათს ენა არცკი გაეგებოდათ. იმ დროს მარჯვენა მხარეს შეხედეს ნახეს რომ ერთი მთის ტოლა დევი გამოვიდა კარვიდამ და შვიდი თავი აბია, ასეთს მოაბოტების რომ საცა ფეხსა სდგავს დედამიწა ირევა. როდესაც უეტრიწე შეხედა გარდანქეშანმა, მთავარი მცნება დაეთანტა და კინადამ გუჯს შემოეუარა, რა გონზე მოვიდა მაშინ სოქვა, ეს მუდრეკი სად გაზრდილა ამოდენა?.. ვაი შენი ბრალი ჩვენო მშვენიერო ქუჩუკო! ამ მურალ და ბილწ დევის ხელიდამ როგორ უნდა გადაჩე? ცოდო არა ხარ. ვინ იცის რამდენი ასმა წელიწადმა უნდა განუღოს რომ შენისთანა ფაღვანი აღარ დაიბადოს. ამ უშველებელ დევს, მარჯვნივ და მარცხნივ მოზღვედნენ აგრეთვე ორი დევნი, ესენიც იფენენ შავი-დევი და ხაზარან-დევი, რომლებიც შეხედვაც საზარელი იყო. მერე ამათ რომ შეხედა სულ კანკალი დაწვეებისა და კინადამ გაგიჟდა, უკან მოსდევდნენ არჯავ-დევი და შაქუტ-დევი. გარდანქეშანი ღმერთს შეევედრა და სოქვა კვალად: ღმერთო შენ დაითარე ამათ ხელიდამ ჩვენი ფაღვანები. დიდათ დადონდა და თავმა ტვივილი დაუწყო, ისე გაბრაზდა რომ არ იცოდა რა ექნა და მერე სოქვა: მე რომ ახლა ქუჩუკისა და ფაღვანებისა არ მერიდებოდეს, ამ ბილწ ბაუბაუ-დევს, შავ-დევს, ხაზარან-დევს და არჯავ-დევს, ამაღამვე დავხრცავდი თავიანთ კარვებში, მაგრამ რაექნა რომ ქუჩუკი მაშინ მეც მომკლავს. ამიტომ რომ ქუჩუკს ძლიერ ეჯავრება მძინარის სიკვდილი, მაშინ დადგნენ და დააკვირდნენ. ასიმ იარმა და შირფანჯამ უთხრა

გარდანიქმანს: იცით ანართა უხუცესო, ამ ოთხის სიკვდილი ძალიან ადვილად შეიძლება — კაცმა რომ მოინდომოს, მოდა ნუ დავიშლით ამადამდე დავხრცოთ, თორემ ამათი ხელით დაიხრცებიან, ქუჩუკიც და უოკელი ჩვენი ფაქეუნებიც, ამათ ჯახტებს ხომ ხედავთ, ეშმაკიც კი ვერ გაუძლებთ... ჩვენ ესენი აქ დავხრცოთ რომელიმე დონისძიებით, ოდნებ ისინი გადაჩნენ. ჯახბას ჩვენი თავი თუ ჩვენც აქ დავიხრცებით, ჩვენი თავიც იმათ შეგწირათ. გარდანიქმანმა არა ჰქმნა ესეთი საქმე და უთხრა: თქვენ ამათ შეხედულბან და სიდიდეს რას უყურებთ, თუ ჩვენი დვთის კალთა ზედ აფარია ქუჩუკს და ჩვენ ფაქეუნებს ის დაითარავს. ჩვენ ასლა სხვა ფრიგ უნდა შოვიქცეთ.

ამ ჯახბაკში რომ იყვნენ, ერთი საშინელი ხმა მოვიდა ცის კრკუნასავით. ეს ხმა ბაუბაუ-დევის ხმა გახლდათ. იმ დროს თავის ბირველ სარდალ შავ-დევის შესძახა: ოჲი ფაქეუნბო! ხვალ უთუოდ ომი უნდა იყოსო, თქვენ როგორ ინებებთ? უკუღამ თქვენ თქვენი აზრი გამოსთქვითო. მაშინ ხახარან-დევმა მოახსენა: ხელმწიფე! ხვალ უკუღამ სარდალები ჩვენ ჩვენის ჯარებით შევებოდით თუ იმათმა ჯარმა გაგვიძლავ და შეგვაფერხა, მაშინ როგორც სჯობდეს ისე შევებოთ. ესე დასკვნეს სახვალდო ომი და მუქარება დაიწყო.

როდესაც გარდანიქმანმა და თავის ამხანაგებმა გაიგეს იმათი მუქარება და აზრი, მაშინ გარდანიქმანმა სთქვა: მე ისე მგონია რომ თქვენც და თქვენ რაჯაბ-ეშმაკსაც დასთგუნავს, — ჩვენი ტეშმარიტი დმერთი. იქი-დამ გამობრუნდენ და ახლა იმათ ჯარებს შინჯვა დაუწიეს, ნახეს რომ დიდძალი ჯარი იყო დამდგარი და დარაზმული, იმადენა იყო რომ თავი ვერ გადასწვდებოდა, ამათ გაივირყეს და ამბობდნენ, ნეტარ ამოდენა ჯარები საიღამ შეუერთაო!? იქიღამაც გამობრუნდნენ და კვალად ბაუბაუ-დევთან მოვიდნენ და ბაუბაუ-დევი კარგათ გაშინჯეს. გარდანიქმანმა დმერთს დიდი მადლობა შესწირა და სთქვა: ჳი დმერთო დამბადებელო! საქებია დიდათ შენი განება. მერე მუხლის თავებზე დაიჩოქა ილოცა და იღუმალ შესტირა და შეეკუდრა: შენ ისენ ჩვენი ფაქეუნბი ამათ ხელიდამ. მერე ფეხზე წარმოსდგა და ამხანაგებს უთხრა: მე მთელი დედამიწა და ზღვათა შუა მიკლია და ამისთანა არსება არსად შემხვედრია, მერე კვალად დმერთს მადლობა შესწირა იმისთანა დევ-გმირის კაჩინისათვის. გარდანიქმანი მაშინვე გამობრუნდა თავის ამხანაგებითურთ, თავიანთ ჯარში. მაშინვე ქუჩუკის კარავში შევიდა გარდანიქმანი და უოკელიც მოახსენარც ენახა და გაეგო ბაუბაუ-დევისა. რომელთაც მერე დღეს უნდა რაზმებით ეღმათ. რა ქალებმა ბაუბაუ-დევისა და უმეტესად იმ ბიჭვი დევების

სიდიდე და მძლავრობა შეიტყუეს, ქურუკისათვის და ფაღვანებისთვის დო-
დათ სწუხდნენ. გარდასქეშანმა კვალად მოახსენა: შვიდთა იუფითა მზერო-
ბელთ ხელმწიფეთა! მე რომ ის დევი ვნახე და იმის სარდლები, მას აქეთ
ჭკუაზე არა ვარ და თავის ტკივილი ვერ განვიშორე. სწორეთ მოკახსე-
ნო, თუ ქურუკისა და თქვენი არ დამრიდებოდა, მე წუხელისგე მოვინდო-
ბე ჩვენი ფაღვანების განთავისუფლება იმათ ხელიდამ საუკუნოდ, ანუ ნე-
ტარ ესეა მომცემდეთ ნებას, ამაღამვე წავიდე ჩემის ამხანაგებით და ბა-
ბაყ-დევისა და მის სარდლების თავებს აქ თქვენს წინ მოვიდებოდი.

ქურუკმა გარდასქეშანისაგან ესე რომ მოახსენია დიდათ იწყინა და
ასეთი მრისხანის თვალთ შეხედა რომ კინადამ გარდასქეშანს გულს შე-
მოკუარა და წაქცევას ღამობდა. მაშინ ხელი სტაცეს ამხანაგებმა და კარ-
ში გაიყვანეს. მაშინ ქურუკმა ბრძანა: უკეთუ ეგ საქმე, გარდასქეშანის
განზრახვით მომხდარიყო, დღეს ჩემის ხელით ოთხნივ დახობდებოდნენ.
ამ დროს უოფლიბან-შირვანმა და ხოსროვშირმა სთქვეს: განა იმათგან ვინ
ძრწის რომ ჩვენ მაგისტანა სირცხვილში ჩავფვივნუდგიუფავით და რაღა ფა-
ღვანობა იქნებოდა ჩვენი! საუკუნოდ საუვედურათ უნდა გამხდარიყო ჩვენ-
თვის და ასე უნდა ეთქვათ უცხო ხელმწიფეთა: ქურუკმა და თავის მოძმე ფაღვ-
ანებმა, მუხთლად დახობეს ბაბაყ-დევი და იმის ყველა სარდლებიო. მაშინ
ჩვენი თავის სიკვდილი უმჯობესი იყო.

მაშინ სიმრულ-ფაშკუნჯმა, ფარვან-დევის უთხრა: არ არის სათაკილო
რომ ქურუკი ამ ბაბაყ-დევის ომს გადაჩქეს თავის ფაღვანებით. მაგრამ
სახელის და ნამუსისთვის ვაღია ფაღვანობისა, რომ წინ მიეგებოს ვაჟა-
ცურად, ან მოჰკლას ან შეაკვდეს სახელით. ისეთ იმედგადაწყვეტილნი
იყვნენ ქურუკისაგან რომ მეტი არ შეიძლებოდა. — ფარვან-დევმა მოახსენა
ფაშკუნჯს, ზარბაქ-დევზედაც ეგრე ვეჭობდით და დიდათაც ვშიშობდით,
მაგრამ დმერთმა ისეთი შეძლება მისცა ჩვენ ქურუკს რომ დაიმორჩილა,
ანლაც იმას იმედი უნდა გვქონდეს. თუ არა და ჩვენც მაშინ ქურუკთან
უნდა დავიხობდეთ.

რა ესე გააკრძელეს ღამარაკი, მაშინ არდევან-შაჰამ წარმოსთქვა სიტყ-
ვა: „სახელოვანნო ფაღვანნო და სმასლარნო! ჩვენ მოკლედ გადავწყვი-
ტეთ ჩვენი საქმე. თქვენ ესა ბრძანეთ, ხვალის ომს ინებებთ თუ არა?
ეს უნდა იცოდეთ რომ მკლის შიშით ცხვარი არვის გაუწყვეტია.“ მაშინ
ქურუკმა გულუხვად წარმოსთქვა: ხვალ უთუოდ ომი უნდა მოხდეს, რაზ-
შებათ. ქურუკმა უოფლიბან-შირვანს უთხრა, ხვალ თქვენ, თქვენის ჯარით
და ასი ათასის რჩეული დევის ღამქრით, მარჯვენა მხარეს დადგებით.
ძმარ ხოსროვშირ, თქვენც მარცხენა მხარეს დადგით, შენის ჯარით და

ასი ათასის დევთა ჯარით. უთრანს და ბარამჯობილს სთხოვა, თქვენც თქვენის ჯარებით და ორასი ათასი კარგი დევის ლაშქრით წინ უნდა გაუძღვე. ანუაბუზ-ნარას, სურხარაბ-დევს და აფთარ-ზანგს თავიანთის ჯარებით სათადარიგოთ უნდა იდგეთ ყოველ შემთხვევისათვის.

ქუჩუკი შემდეგ გამობრუნდა და თავის მამა ნარიმანს მოახსენა: მამაგ თქვენ გთხოვთ რომ თქვენი მოწინავე ჯარებით და სარდლებით, ზორაბ-დევით, ზორაბ-შაჰით და ამბირ-დევით. ესენი თქვენთან იახლეოთ და მარცხენა მხარეს ზურგი შეუნახეთ ყოველ შემთხვევაში. მათუზ-დევს უბრძანა, ათი ათასის დევით ბანოვანთა ჩლება და დარაჯობა (ჭარემისა), აგრეთვე უბრძანა რომ ჭარემის ტახტები აეუვაგებინა სხვა და სხვა ყვავილებით და სურნელებით. არდევან-შაჰს მოახსენა: შვიდთა იელიმთა მშურბელთ ხელმწიფე! თქვენც ჰაერში ტახტს დაკიდებენ დევნი და ჭარემი დამ უჭვრატეთ ომსა. საჭმანსაც უბრძანა: ტყე გორაბო! შენც შენის ფრთის მთის დევებით, მარჯვენა ჯარს ზურგი უნდა შეუნახო.

რა ამ სარდლების განწყობილებას მოჩხა, შემდეგ ფარვან-დევს სთხოვა—ტყე ჩვენო ამგდარო ფარვან! შეიძლება რომ, ამ ჩვენს ჯარს ისეთი დონისძიება მისცე რომ ამათ ჯადოთაგან არა ვგნოთარა?—ფარვან-დევმა მოახსენა: სააზვიარანო! მაკახედ დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ რომ ჩვენი ჯარი ადრევე ერთობრივ შელტყვილია. იმათ მხრის ჯადოთ მანქანება ჩვენს ჯარს ვერას ავნებს. ამისთანა თანაგრძნობისთვის, ქუჩუკმა დიდი მადლობა გამოუცხადა. რა ესენი ესე გაწყესრიგა, შემდეგ მეჯლისის გამართვა უბრძანა. დიდი მეჯლისი გამართეს, შეიყარა თავის მოძვე გმირ-თა. ლეგნები თავისთან და დიდი სიხარული შეეკმინათ. მაშინვე ბრძანა რომ სიხარულის ნადარისთვის ჩაებრათ, მაშინვე ჩაჭბერეს ნადარას. ორი დღე და ღამე განუწყვეტელ მხიარულებაში იყვნენ. ამ მეჯლისში რომ იყვნენ ეს ხელმწიფე-თაღევანნი. ამ დროს ბანოვანთა წრიდამ სარგისურამანი წარმოსდგა და ქუჩუკს მოახსენა: საეგარელთ შვილო ქუჩუკ! თქვენ ყოველთა თაღევანთა და სარდალთა ჯარები ჩაბარეთ და ყოველ მხარეს განაწყესეთ. ჩვენ რადას გვეუბნები შვილო!? ჩვენ დაგვიწუნე თუ რა ამბავია? ჩვენ ყველანი გთხოვთ ბანოვანნი რომ ჩვენც მიგვადებინო მონაწილეობა თქვენს ტირშიაც და ლხინშიაც. მაშინ ქუჩუკმა მოახსენა თავის ბებია სარგისურამანს. იცით რა არის დიდიდღავ, მე არა ვარ დიქსი. თქვენის მშობლობისა. არამც თუ დაგიწუნოთ, თქვენ ყოველთა თაღევანთა უბირველესი ბრძანდებით მაგრამ, ვიდრე მე თავი ტანზედ მბია, თქვენ განა სამართა გარჯით! მაშინ ყველანი ბანოვანნი ფეხზედ წარმოზდგნენ, ჰუსნიარა, რუიზანი, გულბინი და გულიჯანი, მოახსენეს: ტყე ქუჩუკ! უკეთუ ჩვენ

სამრად არ გაკვაწესებ, იცოდეთ რომ თქვენს წინ თავებს დავიხრცავთ: ჩვენ გთხოვთ ომის ნება გვიბოძო რომ ბაუბაუ-დევის ლაშქარი გავაოხროთ.

როდესაც ქალებმა ერთ ხმათ სთხოვეს ქუჩუკს ომში მონაწილეობის მიღება, ქუჩუკმა მამინვე ნება დათმო. მხოლოდ ფარვან-დევი მოიხმო თავისთან და უთხრა: ფარვან, ჩვენი ბანოვანნი ომის მსურველნი არიან, და არ იშლიან. მე გთხოვ რომ ამათ იმისთანა ლოცვის ავკაროზი დაუწეროთ და მისცეთ ყველას რომ, ამათ არა ჯადო არ მიეკაროთ. რადგან არ იშლიან თავიანთ ნება აღსრულდეს.

ჭეი ჰატივცემულ მოითხველო ჩვენის უკამანიანისა, თქვენ წინა წიგნებშიაც მოგხსენებიათ, სარვიზუკამანისა, გულჩინისა, ჭუსნიაკასი, რუიზანისა და გუელიჯანის გმირობა ფაღვეუნობა, და მხნეობა რომელიც უოველთვის გამარჯვებულნი გამოსულან, უოველ ომებში.

ფარვან-დევი ქუჩუკის თხოვნა აასრულა და ისეთი თილისმის ქაღალდები შეუზავა ხათუმებს რომ მთელი ქვეყანა რომ ჯადოთ გადაქცეულიყო ამათ არა ევნებოდათ. ქუჩუკმა მსწრაფად დაიბარა საჭმანის ამხანაგი ათერთმეტი დევი, რომელნიც უკამანმა გამოიხსნა უარუნ-შაჭის თილისმიდამ. ამათ უბრძანა: თქვენ ასი ათასის დევის ლაშქრით ბანოვნებთან (ხათუმებთან), უნდა იმყოფებოდეთ. ხათუმნი რომელ მხარესაც გაილაშქრებენ თქვენ უოველთვის ზურგი უნდა შეუხანოთ. ფარვან-დევი და ფაშკუნჯი ძლიერ გაკვირვებულნი იყვნენ ამ ხათუმთა გულაფნობაზე! და იმედიცა ჰქონდათ იმათი.

როდესაც ქუჩუკმა უოველივე მოაწყო და გაარიგა, მეჯლისიც მადლე მოიშალა. იმ დამეს ყველანი თავთავისად წარვიდნენ და მოისვენეს. რადილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ ქვეყანა განათლა. მამინ ქუჩუკის მხრის ლაშქარმა დენა დაიწყო, ბრძოლის ველზე და რაზმებად გაეწივნენ. იქით მხარეს შეხედეს ნახეს რომ, ბაუბაუ-დევის ჯარებიც გამოვიდნენ და უოველნი თავთავის აღეს განწესდნენ და რაზმებად გაეწივნენ ბაუბაუ-დევიც ჩამოვიდა თავის ტახტიდამ და ჯარებს დაუახლოვდა. რაზმები დათვალიერა და განწესრიგა. ბაუბაუ-დევი როდესაც ეხებეს აბიჯებდა იმის სიარულისკან დედამიწა იძრვდა. სწორედ რომ მოგანსენოთ ამასაც უცნო ნაქები ლაშქარი ჭყავდა და უკეთესი სარდლები. მხოლოდ სიტყვა ბოლოა, ვინაოთ როგორ გათავლება ამათ საქმე და ღმერთი რა მელს გაუმარჯვებს.

აქეთ მხარეს ქუჩუკმა უბრძანა ბარამჯიბიდს, მოედანზე გასვლა და უოველიბან შირვანს, ესენი გავიდნენ თავიანთ საკუთარ ჯარებით და თავთავის დანიშნულ აჯაგას დადგნენ. ამათ თან მიჰყვნენ, ხოსროვირი, ნა-

რძინი და ყათრანი. ესენი უველანი გავიდნენ და დადგნენ თავიანთ გან-
წესებულ ადგილს და მტერს დაუპირდაპირდნენ, რომელნიც მტრის მუხის
დამცემნი იყვნენ. აი ახლა ქუჩუციც შეუდგა შეკაცმვას, მითხროვა თავის
შუბებიანი ჯაჭვის ტანისამოსი.—(რომელსაც ერთ დროს ბურჯ-გვეზირმა
უძღვნა). მოაყვანა თავის რაშა და ორსავე თვალებში ჩაჭკოცნა, ზედ შე-
ასტა და თავის გვირ ფაღველების წინ გაჩნდა უშიშრად, გაუარ-ცამუარა
ჯარებს და გამარჯვება მოახსენა: ამ დროს ქალებიც მოვიდნენ თავიანთ
ქალთა ჯარით და ასი ათასის, დევთა ლაშქრით, ესენიც თავთავიანთ ად-
გილებს დარაზმდნენ დიდის თავმოწონებით.

მეორე მხრიდამ ბაუბაუ-დევი ათვადიერებდა იმის ფაღველებს და თი-
თონ ქუჩუკს და თავის სამსურ რაშს—და დიდათ მოსწონდა ქუჩუკის ფა-
ღვესური და მამაცური ქცევა-მოქმედება, აგრეთვე ამის ფაღველებისა, ყოფ-
ლაბანისა, ბარამჯიბილისა, ხომარკშირისა, ნარძინისა და ყათრანისა.
მეორე შეხედა ბანკანთა ლაშქარს და ფაღვეან ქალებს, რომელნიც მუჰა-
სა ტანისამოსში იყვნენ გამოწეობილნი და ესენიც გვირუკად გაუქროლ-
გამოუქროლებდნენ თავიანთ ჯარის რაზმებს და აწესრეგებდნენ, მაშინ ბაუ-
ბაუ-დევმა უთხრა თავის სარდლებს: თუმცა ჩვენ დევება ვართ მაგრამ ესე-
ნი უფრო ჩვენზე დევნი და ქაჯნი უფოფილან. კვალად შეხედა ქუჩუკს და
კარგათ თვალი დააკვირვა დურბინდით, იმის მრისხანე სახე რომ იხილა,
არაფრად ესიამოვნა და თავის გულში სთქვა: ამის ომი ვის ძალეუძს? ოჲ,
ჩვენმა რაჯაბმა დმერთმა დაიფაროს, ჩვენი ფაღველები ამის ხელდასმ. ამ
ფიქრში რომ იყო ბაუბაუ-დევი, მაშინ უბრძანა სამარ სუფიურისთვის ჩაე-
ბერათ. ამათ რომ სამარ სუფიურის ხმა გაიგონეს, მეორე მხარესაც შეჭ-
ბურეს ნადარსა და ქამანჩას. იმ დროს ორივე მხრიდამ გამოვიდნენ შუა
მოედანზედ, იმათი მოწინავე სარდალი შაქურტ-დევი. შაქურტ-დევმა შემო-
უტია, ამასთან საუნჩუნ-დევმა, ამ ორთა მოწინავე სარდლებმა დასცეს ყი-
ჟინა! აქეთ ქუჩუკის მხრიდამ იყვნენ მოწინავენი: ყათრანი და ბარამჯიბი-
ლი, ესენიც მიეგებნენ მშვენივრად წინ—და ამათაც უიჟინა დასცეს და და-
ერკავნენ ერთმანერთს. შეიქმნა დიდი ომი და წადებ-წამოლეება, იმ დროს
განრისხებულა ყათრანი ვისაც ხმალსა სცემდა ცხენითურთ შუა სწვევტაფ-
და და ვისაც შუბს აძგერებდა უწყალოდ დაჭკოდდა და ქვემოდ დასცემდა,
ერთი სიტუვით ვისაც შეუტევდა დაჭოფანტავდა. აგრეთვე ბარამჯიბილის თა-
ვის მძიმე ლახტი ხელთ ეჭურა და რომელ დევსაც თავს დასთხლებავდა
მიწასთან გასწორებდა. ქუჩუკის ფაღველები ჯერ მამაცათ იბრძოდნენ და
ისინიც არ აკლებდნენ, შაქურტ-დევი და საუნჩუნ-დევი ასეთი მრისხანებით
ომობდნენ რომ მტერთა გულები უსკდებოდათ, ამ დროს საშინელი ომი

შეიქმნა. ხან ამათ წაიღეს და ხან ამათ წაშლიდეს, ბოლოს რომ არ იქმ-
ნა იმათ უუღუნ-ჯადო მოეშველათ და ცოტა არ იყოს შეაფერხეს, მაგრამ
რადგანაც ამათ ჯადოს მანქანებისა არ ეშინოდათ, ესენი გუჯადათ მიდი-
ოდნენ და ჯადოთ ლაშქარს ძლიერ სწევებდნენ, თუმცა ბევრი იქმნავეს
სხვა და სხვა თილისშებით, მაგრამ უათრანისა და ბარამჯიბილის ლაშქარს
ვერა დააკლესრა, ფარვან-დევის შემწეობით. იმ დროს როდესაც სამხედურ-
ჯადომ იმათ ჯადოთ ლაშქრის მოშველება იხილა, ამანაც თავის ლაშქრით
დასცა უიჟინა. სამხედურ-ჯადომ, ანუბურ-დეგმა და ქაბუნარა-დეგმა თა-
ვიანთის ჯარით შეუტოეს. იქიდამაც ბარუულ-მეთილისმე მოეშველა და
ორივე მხრიდან დაეკრიბნენ. ისეთი რამი შეიქმნა რომ ქვეყნის დაარსები-
დამ აქამდე არ მომხდარიყო. ერთი მეორეს შესძახდნენ! დაჭკარ მოჭ-
კალ, შეიზუარ. ერთიც არ გადავარჩინოთ ცოცხალი. მაშინ ცოტათ იბ-
რუნეს ზირი, ბუბაუ-დევის ლაშქარმა. ამათგანაც დიდი უიჟინა დასცეს,
მაშინ შავმა-დეგმა თავიანთ მხრის ჯარი რომ ნახა ზირნაბრუნი, მაშინ არ-
ჯავ-დევის ანიშნა და ის მაშინვე ორასი ათასის მეომარ ჯარით წამოვიდა,
დიდათ განრისხებულმა შეუტია და ჯარი გააბრუნა. უათრანმა ჯარი გამხ-
ნევა და ამათაც შეუტოეს. მაშინ ნარიმანს გულმა ვეღარ გაუძლო და ერ-
თი სამხედურ შეჭვირს და ხმაღს ხელი იკრა, ამბირ-დევიც თან მიჭევა,
მეითხველო მე მგონია რომ მოგესხენებათ ნარიმანის მოსისხლე გულის
ამბავი. მაშინვე არჯავ-დევის წინაშე გახნდა. გაცუცხლებული და ხმალი კი
ქარქაშს ჩაგო და ლახტი შესტურდნა, იმას ასცდა და იმის ჯგუფ ჯარს
ცდა, ამ ლახტმა ოცდა ათი კაცი ერთად გაიტანა. არჯავ-დეგმა რომ ესე
ნახა ზირდაზირ ხმაღ ამოწვდილი ნარიმანს მოუქნია, ჩარიმანმა თავის ხმა-
ლი მიაგება და იმის ხმალი ორათ გასწევიტა. ამ დროს ამ წეულ არჯავ-
დევის ბრახი მოუგადა და ხმლის ხატები ნარიმანს შესტურდნა, წარს-
ჭკარ და არა მცირედ დაჭკოდა, ეს ნარიმანმა დიდათ ითაკილა, როდესაც
წარბიდან მომდინარე სისხლი გულს ჩამოენთხია, მაშინვე ერთი შესძახა
და გულს ისეთი მუშტი დაჭკრა რომ იმ უშველებელ დევს გულში ნაფა-
ზი შეეკრა და უკან უკან წავიდა წასაქცევად, მალე სული მოიბრუნა და გონს
მოვიდა, და თავისი უშველებელი ლახტი მოუტანა დასაკრავად. ნარიმანმა
ნახა რომ ამ უშველებელ ლახტს დიდი გაძლება მოუნდებოდა, მაშინვე
თავის ფეხადით შექმნილი ფარი უფარა და ისე დადგა უშიშრად, წამო-
ვიდა იმის ლახტი ზურუნით და ისეთი ძლიერად მოხვდა რომ დიდი ძა-
ლა დააყენა და თავის საჯდომი მხეტი წელში დაიდუნა. მაშინ ნარიმანმა
თავის მხეცს ქუსლი ჭკრა და მოკს გადახატუნა და შესძახა: ჭეი შენ
წეულა! ახლა შენ გმართებს გაფრთხილება! ამ დროს ნარიმანმა თავისი

გურზი წელთაგან ამოდო და ათ მწერთაზე მიუახლოვდა, შეხტა და რა ლხისტის დაკვრა დააპიკა, მაშინ იმ წყუელმა არჯავ-დეგმა, ერთი დიდი ნიჟის ფარე თავს იფარა და გამოჭიმვით დადგა. ამ დროს გაჯავრებულმა ნარიმანმა საჩქაროდ ლხისტი მარცხენა ხელს მიიჭა და მარჯვენა ხელით ერთი ასეთი სილა შემოჭკრა რომ ცხვირ-შირიდამ რუსებო სისხლი წასქდა და თავი ველარ შეიმაგრა—და პირქვე დაეცა, ნარიმანმა მიინდომა მხეციდამ გამოხტომა და არჯავ-დეგის თავის მოკვეთა, მაგრამ ამ დროს იმისი აიარნი მოსწვივდნენ რიცხვით ორმოცნი,—გაიტაცეს და წაიყვანეს.

შემდეგ იმისმა ჯარმა ნარიმანს შემოუტოეს და შუაში ჩაიგდეს, მაშინ ამბირ-დევი ნარიმანის უკან იდგა და ზურგს უნახავდა, მაშინვე კიჟინა დასცა თავის მუცმარი ჯარით და შეუტოეს! წინ ნარიმანი იბრძოდა, იმის უკან ამბირ-დევი, მარცხნივ უათრანი, აგრეთვე ბარამჯიბილი და სხვა ფაქელები შეეხეთქნენ ერთმანერთს, ისეთი ომი შეიქმნა რომ მუკრეთ მოსვლას ემზავსებოდა. ისეთი სისხლის ღვრა შეიქმნა რომ სისხლის რუები მიდიოდა და სისხლის ტბებათ გადაიქცა ის არე-მარე და თეთრი ცხენი და შავი ცხენი არ ირჩეოდა, სისხლის ღვარები სალხს იტაცავდა, ბაუბაყ-დევის მხრიდამ კვალად ჯარი მოემატა, შეიქმნა შემდგარი ბრძოლა აუარებელი ჯარისა ისე რომ ერთმანერთს ველარა სცნობდნენ.

ამ დროს სარვისურამანმა ესეთი შეკრთებული ომი რომ იხილა თავის უმარწვილობა წარმოუდგა თვალ წინ და უბრძანა რუიზანს: გულჩინს, გულიჯანს და სხვათა თავის ქალთა სარდლები მხევალს. მაშინვე თავის ქრმის უარმანის შეშთაიბარს სამხედრდა და თან ქალები მიჰყვანენ თავის ჯარებით და ზოგაბ-დევი თავის დევთა ჯარით. დასცეს საშინელი ეიჟინა და გულფონად წაიწივნენ წინ. ასეთი ომი გადაიხადეს რომ, სმარსნი ამოტკიცებენ ქვეყნის დაარსებიდამ იმ უამამდე ისეთი ომი არავისგან არ მომხდარიყო. შემდეგ ძალა დაუენეს და ეს ზღვის ოდენა მუცმარი ჯარი თავიანთ ბანაკამდის მიჰყარეს ხოცვით, სარვისურამანმა და თავის ქალებმა დიდი სახელი დაიმსახურეს.

როდესაც ბაუბაყ-დეგმა თავისი ნაქები ჯარი და სარდლები, გამობრუნებული იხილა, მაშინ დიდის ხმით შესძახა ისეთის ხმით რომ ცა დედამიწაზე დაცემის ხმას ემზავსებოდა. ამ ხმაზედ ორივე მხრის ლაშქარნი შედგნენ და ერთმანერთს ურუბა დაუწიეს და ხან ცაში უფურებდნენ, ხან დედამიწას. იმის ხმისგან რამდენიმე ჯარის კაცნი ჭკუას შესცდნენ და ზოგს გულები შეუღონდათ და ძირს ფეხქვეშ ითულებოდნენ და იხოცებოდნენ. შესძახა თავის ჯარს. ბაუბაყ-დეგმა: „ტეი თქვენ წყუელნო! ეგ იყო თქვენი ვაჟკაცობა!? რომ დიაცებმა გაბრუნებინეს შირიო?“ მაგრამ

ბანკანთა ჯარმა არ დაიშალეს ბრძოლა და თავგანწირულად იბრძოდნენ. შიგ იმათ ურდოში ასეთი ომი გადაიხადეს რომ თვით ქუჩუკსაც გაუძნელდებოდა იმისთანა ურდოში ომი. ბაქაუ-დეგმა მოიხმო თავისთან შავი-დევი და ხაზარან-დევი, უბრძანა რომ თავის ჯარებით შეეტიათ ბანკანთა ჯარებისთვის. მაშინვე ბრძანება აღასრულეს და დიდი ყიჟინით მივიდნენ, ისე რომ იქაურობა ირუეოდა და კვნესოდა. იმათ ყიჟინისაგან უურთა სმენა აღარ იყო. მაშინვე წინ დახვდნენ შავ-დევს, და ხაზარან-დევს. სარვისურამანი, რუიზანი, გულიჯანი, გულჩინი და ჭუსნიანი. ესენი უშიშრად წინ დახვედრის უმაღვე ხელმეპს გაიკრეს ხელი და შეუტოეს საშინელი ყიჟინით და დასძახეს! ჭეი თქვენ ბილწონ! ვის უბედავთ ომს? გაჭკრეს და ღვთის რისხვა თავს დააყარეს. იმათ ისე შედგრად იომეს იმ დღეს რომ მრავალი დევთა ჯარი ამოუწვიტეს.

როდესაც ქუჩუკმა ნახა რომ ბანკანთა რაზმები იბრძვიან შავ-დევთან და ხაზარან-დევთან, დიდათ შესწუხდა, ამისთვის რომ შავ-დევსა და ხაზარან-დევს იცნობდა რა ძლიერნი იყვნენ და ამისთვის ითიქრა რომ არამც თუ აუტეხონ ბანკანთა რაზმი. მაშინვე ყოვლიბან-შირვანს და ხოსროვირს ანიშნა. მკითხველნო ახლა თქვენ უური უგდეთ ამ ორთა გმირთა მეომართა. მარცხნივ მხრით ხოსროვირი და მარჯვნივ მხრით ყოვლიბან-შირვანი მიუხდნენ, ზირველ მისვლასედევე ხაზარან-დევი და ხოსროვირი შეიყარნენ და დაუშინეს სეტყვასავით ერთმანერთს: გურზი, ხმალი, ლახტი, შუბი და ისარი, მკრამ ამ ორთა გმირთაგან ვერც ერთმა სძლია. მაშინ ხაზარან-დევმა თავის მრავალ ხელებით ერთი ლახტი აიღო და ხოსროვირს დასაკრავად მიუტანა, ორსავე მხრის სარდლებმა ხოსროვირისაგან უიმედონი შეიქმნენ. მაშინვე ყოვლად ძლიერმა ხოსროვირმა როდესაც ნახა რომ ლახტი გრგვინით წამოვიდა, მაშინ ხოსროვირმა ერთი საშინლათ შესძახა და ოც მწერთაზედ მადლა შეხტა და იმ წყუელს უშედეგებელ კლავებში თავის ბასრი ხმალი შემოჭკრა და ორი მკლავი მოსწვიტა. ვიდრე მეორეთ დაჭკრავდა, იმის ხმაღს გადუნტა და ხმალი მიწას მოხვდა და მიწა გააზო და ხმალი შიგ ჩაჯდა. მაშინ ორივე მხრის ჯაშკარმა ხოსროვირს იმისთანა მხნეობისათვის დიდი ქება შეასხეს. — მეორე მხარესაც შავ-დევს შეხვდა ყოვლიბანი. შავმა-დევმა ყოვლიბანს ლახტი შესტყურდნა, ყოვლიბანმა არათ მიიჩნია და ლახტი ფართო აიჭდინა. შავმა-დევმა რომ ნახა თავის ნასროლ ლახტს გადურჩა ყოვლიბანი, მაშინ საშინლათ შესძახა და ახლა ხელით შემოუტია. მაშინ ყოვლიბანმა უპასუხა: ჭეი შენ ბილწო დევო! რას ღრიალებ დახუდრეულ წისკვილივით? მე ეგრე არ გაღრიალებ ცოტა დამაცადე და გიჩვენებ ხმლის მოჭნევა რა-

გორ უნდა, ახსენა ღვთის სახელი და ისეთ ძლიერის ხმით შესძახა რომ იმოდენა დევთა ჯარი ერთმანერთს ეცა—და გაცეცხლებული უფლებიანი ვეფხვსავით შავ-ღვეს მივარდა. იმ ბილწს შუაში რომელიც უმთავრესი თავი ება იმ შუბლში ერთი ძლიერი მუშტი დაჭკრა. ამას ის ერთი თავი ზედ ტანზე მიაჭყლიტა და მერე ხმაღს ხელი გაიკრა და შემოჭკრა, მაშინ რამდენიმე მკლავიც მოსწყვიტა. მაშინ ერთიან დასცეს ყოყინა და დაეკოინენ—და ეს ზღვისოდენი ლაშქარი დაატრიალეს და უწყალოდ ხოცეს დაუწყეს, ვაი მოვიდოდა და წაიფანდა ვისაც უფლებიანის ლახტი მოხვდებოდა ანუ იმის მუშტი. ვისაც ლახტს დაჭკრავდა მიწასთან ასწორებდა, ვისაც ხმაღს სცემდა კაცსა და საჯდომ ცხენს ოთხათა ჰკვეთდა, ვისაც მუშტსა სცემდა, ტვინსა და ძვალს ერთად აურევდა. ხოსროვშირიც ამ გვარად მოქმედებდა, ეს ორნი გმირნი საითაც მიაწყდებოდნენ ბაჯახივით სთიბავდნენ. ამისთანა ომმა სამი დღე და დამე გასტანა. უსმელ-უჭმელნი და უძილონი ერთმანერთის სისხლის ღვრაში იყვნენ, ხან აქედამ კატრიალებდნენ, ხან იქილამ და არ იქმნა ჯარის სიმრავლისაგან ვერა რომელიმე აჯობა.

ქუჩუკმა რომ ნახა საქმე ძლიერ გამწვავდა, მაშინვე ერთ ხალვათა ჯარს მივიდა დაინიჭა და საბოთ დმერთს შეეკედრა თავის გამარჯვებისათვის. რა ღოდვას მორჩა გამობრუნდა და საჭმან-ადამზადს უთხრა: ახა საჭმან მომევი, იმ დროს ახსენა კვალად დმერთი და საშინელი ნარა გასწია და სადაც ჯგუფი ჯარი იყო მტრისა იქ განხდა და ეს ამოდენა მტრის ჯარი ერთმანერთსა ჰკრა, ახლა ქუჩუკის სამსურ ცხენი ნახეთ, კუდი წამოიჭანდრაკა და პირი დაადო, თავი დაიდუნა და სადაც მტრის უძრავი ჯარი იყო, იმათში გაერია და ისეთი მამაცად დარბოდა რომ თავალს ვერ მოასწრობდა კაცი და მრავალი ამოწყვიტა მტრის ლაშქარი. მეორე მხრილამ ქუჩუკი, მარჯვნივ და მარცხნივ, უფლებიანი, ხოსროვშირი, ნარიმანი, უთრანი, ბარამჯიბილი, საჭმანი და კარდანქეშანი თავისის ამხანაგებით და დევთა სარდლებით. ამათ ხმა მისცეს ერთმანერთს და ფიცხად შეუტოეს, ერთმანერთს დასძახდნენ: ზეი გმირო და ფაღვანო! ჰკარით, მოჭკალით, შეჭკარით. ერთსაც ნუ გაუშვებთ ცოცხალს!

მაშინ ბაჟაყ-ღვემაც ხმა მისცა თავის სარდლებს! ისეთი ომი შეიქმნა რომ ერთმანერთს ვეღარა სცნობდნენ. ჯერ ჰკერიდამ ფარვან-ღვეი და ფაშკუნჯი გაკვირვებული უყურებდნენ და ჰკვირობდნენ ამათ თავკანწირულ ბრძოლას. მაშინ ქუჩუკის ჯარმა შეზღუდა მტრის რაზმები, უეცრად დასცეს ყოყინა და ეს ამოდენა ჯარი კატრიალეს, ბაჟაყ-ღვეის ტახტამდე და სულ ხოცვით მიარეკეს. იქ ჯარი შეკრებდა და ეწინააღმდეგა ქუჩუკის

მწინავე ჯარებს—და დიდი სისხლის ღვრა შეიქმნა ისე რომ სისხლის რუბს ემზავსებოდა.

ბაუბაუ-დეგმა ნახა რომ საქმე ძლიერ გასაჭირს ადგილს მიეღწია, მას შინვე თითონ მობინდომა გასულა და შეტევა, მაგრამ თავის ფაქეჯანთა არ გაუშვებს და არ აკადრებს. ამაზედ ძლიერ შეწუხდა ბაუბაუი, ამასობაში ბინდ-მაც დაჭკრა. ამ დროს ხელმწიფე არდეჯან-შაჰმაც ბრძანება გასცა რომ გასსყარს ნალარისთვის შეებრათ. მასშინვე შეპბერეს და ორსავე მხრის ჯამ-ქარი ერთმანერთს გაეუარნენ და ყველანი თავთავის ბანაკს წავიდნენ. სა-ომარი იარაღი აიუარეს და სალხინოთ შეიმოსნენ. მასშინვე მოვიდნენ ომი-დამ დაბრუნებულნი სარვინურამანი და სხვა ბანოჯანნი, არდეჯან-შაჰის დე-დოფაღს შაჰნაზდუხტს და თვით არდეჯან-შაჰს, თავი დაუკრეს და გამარ-ჯვება მიულოცეს. მასშინ შაჰნაზდუხტმა და არდეჯან-შაჰმ დიდი მადლობა უთხრეს და თითო ისეთი ძვირთვისი ხალათები უბოძა რომ თვითო ქვეუ-ნის ფასად ღირდა. ამ დროს გმირ-ფაქეჯანნიც შემოვიდნენ: ქუჩუგი, ყოფ-ლიბან-შირვანი, ხოსროფშირი, უათრანი, ნარმანი, ბარაშჯობილი და სხვა-ნი ვინცა ვინ იყვნენ. ხელმწიფესა და დედოფალს თავჯანი სცეს. მასშინ არდეჯან-შაჰს წინ მოეკება და სიუვარულით პირსა აკოცა ყველას და გა-შარჯვება მიულოცა, მათაც დიდი მადლობა განუცხადეს. იმ დღეს არდე-ჯან-შაჰს რაც რომ სახელმწიფო სამოსი ეცვა, თავის ხელით გაიხადა და ქუჩუგს უძღვნა. სხვათა გმირთა და ფაქეჯანთა ყველას თითო ხელი ძვირ-თვისი სახელმწიფო ხალათები უბოძა. ქუჩუგმა პირველი გადაიარა და სააზ-ვირანობის ტახტს დაბრძანდა. სხვანი ფაქეჯანნიც თავთავის ადგილას და-სხდნენ. შემდეგ ფაქეჯანნიც შემობრძანდა, ბანოჯანთა და ფაქეჯანთა გა-მარჯვება მიულოცა და ბრძანა: „ღვი ბანოჯანთა უპირველესნო! მე დიდათ მოხარული ვარ რომ თქვენ დაგბადათ საბოთ ღმერთმა, მაგისტანა გმირ-ნი და გულოჯანნი! რომელნიც თქვენ დამარცხეთ ამისთანა მძლავრი მტე-რი. ამისთვისაც თქვენი სახელი მეორეთ მოსვლამდის იქნება სახსენებელი.“

მასშინ სარვინურამანი და ქალთა ფაქეჯანობამ დიდი მადლობა მოახ-სენეს და უთხრეს: ღვი „ფრინველთა ხელმწიფევი სიმრულ! ჩვენ აღმანანი არაფრის შემძლეებელი ვართ რომელნიც ერთი მუჭა მიწილამა ვართ შექმ-ნილნი, მხალად ყველა ღვთის ნებას. მერე ფარვან-დეგმა მიულოცა და სხვა დევთა გმირებმა. რა ბანოჯანთა მილოცვა გაათავეს შემდეგ მობრუნდ-ნენ და ხელმწიფე არდეჯან-შაჰს გამარჯვება მიულოცეს. არდეჯან-შაჰს ფეხ-ზე წარმოუდგა დევ-გმირთა და მადლობა მოახსენა: გადაიწვია და პირ-ველ საფაქეჯანო ადგილს დასხა და თითო ხელი ძვირთვისი ხალათები უძღვ-ნა გამარჯვებისათვის.

შემდეგ ფარვან-დევი ფეხზედ წარმოსდგა და მოახსენა დიდ სულთან-
ფაქეებს: ჭეი ფაქეანო! რაც რომ გუშინ თქვენ ბაუბაუ-დევის სარდ-
ლებს დღე დაუენეთ, მე მგონი რომ თავიანთ სიტყვებში არ დაავიწყ-
დეთ და სიზმარშიაც თქვენ ელანდებოდეთ. ფარვან-დევის სიტყვა მოუჭრა
არდევან-შაჰამ და დიდი მადლობა უძღვნა და უთხრა: ჯერ ღვთის შემწე-
ობა იყო და მეორე თქვენ დაგვეხმარეთ, უკეთუ შენ მანქანებს არ გაქაჩაწე-
ლებინა იმათი ჯადოები და ემეჩმედნა, იცოდეთ რომ დიდ ვნებს დაგვე-
მართავდნენ. ამიტომ უველა ფაქეანთა და დიდებულთა გვმართებს რომ
მადლობა გადავიხადოთ. მაშინვე ერთ ხმათ უველაძე ქება შესახეს და მად-
ლობა დასძახეს. მერე გაიმართა დიდი მეჯლისი და სინარულის ნადარს
დაჰკრეს და დიდათ იმხიარულეს. იმ დროს ქუჩუკმა მოიხმე სამანდუზ-
ჯადო და სთხვა: სამანდუზ, შენ შენის ხელფანებით უნდა წახვიდე ბაუ-
ბაუ-დევის ურდოში და იმათი უფველივე ამბავი უნდა დროზე გავცნობო.
სამანდუზ-ჯადომ მდაბლად თავი დაუკრა და წაფიდა. იმ დამეს თავის კარავს
მოისვენა და რა დილა გათენდა თავის გზას გაუდგა სამანდუზ-ჯადო.

ესენი ამ სალაშქოში და მხიარულებამი დაუტოოთ და მოვი-
დეთ ბაუბაუ-დევთან და ამის ამბავი მოიხსენიეთ.

რადესაც ამის ველზე ბინდმა დაჰკრა და ამის გასყარს ნადარს
ჩაბერეს, ორივე მხრის ღაშქარი დაბრუნდა და თავთავის ბანაკს მოვიდნენ.
მაშინვე ბაუბაუ-დევის ფაქეანნი მივიდნენ და ბაუბაუ-დევის თავიანთ სცეს.
იმ დროს ბაუბაუ-დევი უბრძანა: შავ-დევის, ხაზარან-დევის, არჯავ-დევის,
შაქუტ-დევის და საყანჩუნ-დევის. ჭეი თქვენ მხდალნო სარდალნო და ფა-
ქეანო! როგორ მოგვეწონათ იმათი ძალ-გული! იმ მიწით ნაშობებისა?
მაშინ შავი-დევი წარმოსდგა ფეხზე და მოწიწებით მოახსენა: ჭეი დიდო
ზღვისა და ხმელეთის ხელმწიფე! ჩვენ რომ გვეცოდნოდან თუ მაგ მიწით
შექმნილებს მაგისთანა ძლიერება აქვთ, ჩვენ თავათ არ გირჩევდით აქ გა-
მთლასქრებას. არამც თუ იმათი ვაჟკაცნი უფთილან ჩვენზე ძლიერნი და
გმირნი, არამედ იმათი დიაცნიც კი უფთილან გმირ-ფაქეანნი. ახლა ჩვენ
დიდი სიფრთხილე გვმართებს—და თქვენ დიდებულეზასცა. იცით რა მი-
ყო იმათ ერთმა ფაქეანმა სახელად ნარიმანმა! ერთი მუშტის დაკვრით
ერთი თავი ზედ მიმაჭყლიტა ტანზე და ხელმით მკლავებიც კი მომწიფიტა.

— ახლა ხაზარან-დევი წარმოდგა და მოახსენა: ჭეი ხელმწიფე! მე
ერთი ფაქეანი შემხვდა ბრძოლაში, რომელმაც დიდათ დამწვა; სახელად
ხოსროვირ წოდებულია, მე ის არათრად ჩავაგდე და მეგონა რომ ჩემს

ლახტს ვერ გაუძღვებდა, მაგრამ უეცრად შეხტა და ხელით რამდენიმე მკლავი მომწვევია. — ახლა სხვა დევთა სარდლებმა მოახსენეს: ზეი დიდო ხელმწიფე! ჩვენც იმან დაგვწვა გული რომელსაც ნარიმანს უხმობენ, ის შეგვხვდა, იმისთანა ძლიერ ფაღვეანს ახადეს არ შევეროდი, კინაღამ ერთი დაკვრით მიწასთან გამასწორა და მეც ერთი ძლიერი წიხლი მკრ და სამ- ჯერ უიარზე გადამატრიალა. ამ დროს ყოველმა თავისმა სარდალმა საჩი- ვარი განუცხადა. და უთხრეს რომ დევნი ჩვენ კი არა ვეოფიფვართ, დევ- ნი თურმე ისინი ყოფილან. მეტადრე იმათ ქალთა ჯარმა ხომ დიდი მ- მაცობა გამოიჩინეს და სულ გაგვწვალეს. ისინი გვართ ყოფილან ნაქებნი.

ბაუბაყ-დევმა უბრძანა მადლე ეანგარიშნათ იმ დღის ომში რამდენი დახტცილიყო. მაშინვე ბრძანება ადასრულეს წავიდნენ და იანგარიშეს, ნა- ხეს რომ მარტო ქალთა ფაღვენების ნახტცი, შვიდ ათასამდე ავიდა. მა- შინ ბაუბაყ-დევმა წარმოსთქვა ძალაუნებლიეთ, პირში ნერწვევ-გამშლადი. ბაღაქალა იმათ ფაღვენობას რომ ისე მხნედ მოქტეულან! მხტოდ ახლა ყოველთა ჩემთა ფაღვეანთა ამას გიბრძანებთ რომ ხვალის ომისთვის უნ- და კარგათ მომზადდეთ, რომელიც უკანასკნელი დღე უნდა იყოს ჩვენ- თვის და იმათთვისაც! ახლა ხომ შეიტყუეთ იმათი ძალდობე, აგრეთვე იმათ შეიტყეს თქვენი ვაჟაგობა! ჩვენ ყველანი უნდა დაუხვდეთ გულმეისისხლეთ ჩვენ მტერს და მეც თქვენთანა ვარ! ახლა თქვენ რომ ეგრე ლაზარაკობთ შე- თვითონ მცხვებიან და თქვენ როგორ არა ცცხვებიანთ. თქვენის განთქმუ- ლი ფაღვენობისა, რომ თქვენის პირით მატყობინებთ, შვიდ ათასამდე მარტო დიატთა ჯარის ნახტცია ჩვენ მხარესაც? და იმათი ზიანი კი მცი- რეაო. და იმათ ქებასაც მეუბნებით გულის საკლავათ. ეს პირველად მი- პატებიო და უკეთუ კიდევ ეგრე მფიქვით. ეს იტოდეთ რომ ერთსაც არ დაგარჩნთ ცოცხალს. ამ დროს ბაუბაყ-დევმა ისეთი სახე აჩვენა რომ ში- შით კანკალი დაიწყეს და სიტყვა ვერ უთხრეს. მაშინ სიბრძნე მოუვიდა ბაუბაყს და ერთი ასეთი დაიდრიალა რომ კაცს ეგონებოდა. მუხი გასკდა ცაშიო. მაშინ პირიღამ ცეცხლის ყრა დაიწყო. შემდეგ დასცხრა ამისთანა ჭეჭა-ჭუხილის-გან და ბრძანა: მე თქვენ ფიცხელათ გიბრძანებთ რომ ხვა- ლის ომისთვის ყველამ თქვენი ჯარები გააწყოთ და დაემზადოთ. მაშინვე შემატყობინეთ თუ ვის რამდენი მეომარი ჯარი გყავთ. ჯადოთ სარდლებ- საც უბრძანა: თქვენც თქვენი ჯადოს ლაშქრის ანგარიში მაცოდინეთ და ხვალისთვის მოემზადინეთ რომ ხვალ დიდი ომი უნდა მოხდეს და მეც თქვენთან ვიქნები ომში. და თუ ის დიატნი ომს გაგვიბედავენ, მე იმათ ჩემს თავს ვატნობებ. მაშინ თავის შიშიე გურუზი აიღო ხელში დაატრია- ლა და ძირს დასდო. აგრეთვე ყოველივე თავის საომარი იარაღის

ხმალი, შუბი, შვილდისარა, გურზი და ფარი. ეს იარაღი თან განგარჯი-
შა და თან ტახტ გვერდზე დანწყო; თავის საჯდომ მხეციც წინ დაიბა,
ერთი სიტყვით, მეორე დღის ამისთვის დიდ სამზადისში შევიდა. აგ-
რეთვე თავის სარდლები.

რა ესენი ვეველა გააწყო, მეჯლისის გამართვა ბრძანა. მეჯლისი რომ
გამართა დასხდნენ და ძალაუნებლიეთ ამხარულეს. მერე როდესაც მეჯ-
ლისი გათავდა, უფველმა სარდალმა თავის ჯარების ანგარიში წარუდგო-
ნა. მთასსენეს: ჭეი დიდო ხელმწიფევე! მარტივი გვაქვს მფასსენოთ თქვენ-
დიდებულებას, რომ თქვენი ლაშქარი არის გადაჩენილი რაცხვით. არასი-
ათასი და სამასი ათასიც ჯადოს ლაშქარია. ოთხასი ათასიც ჩემი და ხა-
ზარან-დევისა. სულ ცხრა ასი ათასი კარგი გავარჯისებული დევთა მამადი.
ლაშქარი გვეავს და ათასიც იმათი სარდალ-ფაღვეანნი. მაშინ კვლად გან-
რისხდა ბაუბა-დევი და უთხრა: თქვენ როგორ არა ცხხვენიანთ რომ მაგ-
ოდენი ლაშქრით დამარცხდით!? ისიც ვისაგან დიდთა რაზმებისაგან! და
შვიდი ათასი ჯარიც დაკარგეთ! ხვალინდელ ომში ვნახავ, თუ რომელიმე
მხნეთ არ მოქმედებს, მაშინვე წიხლებით გაუთვლავ.

სარდლებმა მაშინვე მიძედა თავი დაუკრეს ბაუბა-დევს და წამოვიდ-
ნენ თავთავიანთ ჯარებთან და გამოუცხადეს იმის სასტიკი ბრძანება. მა-
შინვე გაიფიცნენ თავიანთ რჯულზე და რაჯაბ-ეშმაკს შემწეობა სთხოვეს.

მაშინ ის მადღური რაჯაბ-ეშმაკი გაუჩნდა იმათ და უთხრა: „ნუ გეში-
ნიანთ მე უფველთვის თქვენთანა ვარ და ხვალ ვეველას დაგახრცინებთო“.
რა ესე უთხრა—მაშინვე უჩინო შეიქმნა. იქიდან ბაუბა-დევს გამოეცხადა
და უთხრა: „ჩემო მონავ და ჩემო ნაწილო! რას დაღობებულხარ? შენ-
ბევრს ნურას ჭეჭრობ, ბევრი ფიქრი გაწეეთ“. მაშინ ბაუბა-დევი მთასსენას
თავის რაჯაბ-ეშმაკს: რაჯაბ! ჩემი საქმე კარგათ ვერ მოიუვანე და გუშინ-
წინდელ ომში ჩემი სახელი შენ დაამცირე. მაშინ რაჯაბმა ერთი გულის-
ხად ჩაიხარხარა და უთხრა: შენ არ იცი ჩემი აზრი.—გუშინწინ რომ შენ
ჯარისთვის გამარჯვება მიძედა, ისინი ვეველანი გაიქცეოდნენ და მაშინ ვე-
ლარც იმ ქალებს იგდებდით ხელთ. ახლა კი ვეველანი აქ არიან მზათ. ხვალ
შენ თვითონ წინ გაუძედა და დიდი ომები გადაიხადე და ვეველანი ხელში ხა-
იკდე. მაგრამ როგორც გიბრძანე, ის ქალები ვეველას გაუნაწილე და და-
ნარჩენი ვეველა მოსრე და ერთიც არ გაუშო ცოცხალი. როგორც ქურუმი-
ზარბაქ-დევი გაატყავა, შენც ისე გაატყავე ქურუმი. აგრეთვე როგორც
ზარბაქ-დევის ჯადოები გაატყავა ქურუმს და გზებზე დაჰკიდა. შენც ფარ-
ვან-დევი დაიჭირე და ისე გუდათ გახადე“. მაშინ ბაუბა-დევი მთასსენას:
ჭეი რაჯაბ, ჩვენო ღმერთო! ეგ ვეველაფერი კარგი მაგრამ ჩვენი ჯადოს

ლოცვა რომ არ ეკარება რა ვქმნათ? — „მშინ რაჯაბმა უბრძანა: შენ მაგა-
ფედ ნუ სწუხხარ, ახლა მოკვიდება ჩემის შემწეობით.“ რა ესე უთხრა
მშინვე უჩინო შეიქმნა, მშინ ბაუბაყ-დევი დაფიქრდა და იმედი დაიღწა
რაჯაბ-ეშმაკისაგან და ისე აღფრთოვანდა რომ კინადამ ჭკუასე შეიშალა.
მშინვე დაიძახა აბა მეჯლისი გამართეთ და მხიარულობის საყვირს ჩა-
ბერეთ! მშინვე ბრძანება აღასრულეს. ბაუბაყ-დევი სიხარულით იძახდა,
ხვალ მე თვითონვე გავალ საომრათ ჩემი რაჯაბ-ეშმაკის შემწეობით, ქუ-
ჩუკსაც დავიჭერ, არღევან-შაჰსაც თავის ლაშქარ-ფაჯევენებით და იმ კეკ-
ლურ ქალებსაც. წამოვასხამ და მშინ მე შევიქმნები მთელ ინდოეთისა და
სხარსეთის თვით მხერობელი.

აქ ეს ბაუბაყ-დევი ამ ეშმაკის ფიქრში დაუტყეოთ და ისევე
ქუჩუკის ამბავი მოიხსენიეთ.

ქმას წინად ქუჩუკმა რომ სამანდუზ-ჯადო გაკზავნა ბაუბაყის ურდოში
რომელსაც იმათი ვითარება უნდა შეეტყო, ამ უმად იმის უკან დაბრუნებას
და ამბავს ელოდებოდა ქუჩუკი და თვითონ მეჯლისში იჯდა და დიდათ
შეექცეოდა. ამ დროს არღევან-შაჰს უთხრა ქუჩუკმა: დიდებულ ხელმწი-
ფევე, დღეს როგორღაც საომარი მხარი მერჩის, უთუოდ ხვალ დიდი
ომი მოგველისო. ამ ლაზარაკში რომ იყვნენ, მშინ სამანდუზ-ჯადოც შე-
მოვიდა და არღევან-შაჰს და ქუჩუკს თავიანი სცა. მერე დაიბრუნა და რაც
ბაუბაყ-დევისაგან გაეგონა და იმის ეშმაკ რაჯაბისაგან და რაც რომ აღუ-
თქვა ყოველივე მოახსენა. ქუჩუკმა მოახსენა: შეიდათ იულიმთა მხერობე-
ლო ხელმწიფევე! მე სრულიად იმედი მაქვს ჩემი საბაოთ დვთისაგან რომ
რაც ეშმაკს იმისთვის აღუთქვამს, ჩემი სიკვდილი და ფარვან-დევის გატ-
უვება, მე იმ მთქმელს აღუსრულებ, დვთითა და თქვენის კეთილი ღოც-
ვით. მშინვე მეჯლისი გააძლიერეს და უცხოთ შეექცნენ. რა ღზინისა-
გან მოიცაღეს, მოსვენებას მიეცნენ.

რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მცემე თავის ბრწინ-
ვალე სხივები ქვეყანას მოჰფინა, მშინვე აიშალნენ ყოველი სარდალ-ფა-
ჯევანნი და საომრის იარაღებით შეიკაზმნენ, მივიდნენ და არღევან-შა-
ჰის კარავთან დადგნენ. მშინვე გარდანქეშანი შევიდა მოახსენა: ხელმწი-
ფევე, საპყირანი ქუჩუკი და ფაჯევანნი გაიხლნენ, თქვენს თავიანის სა-
ცემლათაო. არღევან-შაჰამ რომ ესე მოისმინა, მშინვე ზეზე აღსდგა და
წინ მიეგება. ქუჩუკმა ჰირველად თავიანი სცა, მშინვე არღევან-შაჰამ ხელი
ჩამოართვა და ფაჯევანთაც სალაში უძღვნა ერთობ. მერე ყველანი შევიდნენ

და თავთავიანთ ალაგას დასხდნენ და მეჯლისი გაიმართა, ცოტა შარბათს და ტკბილუელ ნუელ შეექცნენ. შემდეგ აიშალნენ ყველანი და თავთავიანთ ხალვათს შევიდნენ და ღმერთი ილცტეს, შევედრნენ რომ ის დახმარება ბოდა ყოველ გაჭირვებულ შემთხვევაში. იქილამ რომ დაბრუნდნენ ყოველთა თავთავიანთ ჯარები გააწიეს. ამ დროს ქურუიცი მოვიდა და ჯარები დაათვალიერა. ყოვლიბანი თავისის მოწინავე ჯარებით და ფალევენებით, მარცხენა მხარეს განაწიეს, მასთან ამბირ-ღევი თავის დევთა ჯარით, მარჯვენა მხარეს ხოსროფშირი თავისის ფალევენებით და აფთარ-ზანგიცი ამას მიუჩინა თავის ჯარებით. მოწინავეთ უათრანი და ბარამჯიბილი, ზორაბ-ღევი თავის ჯარებით ამას მიუჩინა. ამათ გარდა ანუბოზ-ნარა, სურხარაბ-ღევი და თავისი კოჭლი-ღევი თავიანთის დაშქრით, ზურგის შესანახათ დანიშნა. მაშინ საფიხურამანმა უთხრა: შვილო ქურუი! ჩვენ რომელ მხარეს მოგვცემ წილად? ქურუიკმა მოახსენა: დიდო დედოფალო და ჩემო დედავ, დღეს თქვენ თქვენის ქალებით და პირის ფარეშებით, მოისვენეთ და ჩვენს ომს უჭვრიტეთო. ჭარში ავიყვანენ დგენი, რომელნიც სიმშრელი და ფარვან-ღევი თქვენთან იქმნებიან ერთად. მე ღვთისაგან იმედი მაქვს რომ ორი ამოდენა ჯარიც რომ ჭეგანდეთ ჩვენ ვერას დაგვაკლებენ.

ამ დროს ბანოვანთა კრებაც ფეხზე წამოდგნენ და ქურუიკს უსაყვედურეს და უთხრეს: ზეი ფალევანთა ფალევანო ქურუი! პირველად ღმერთსა ვთხოვთ რომ თქვენი ხმალი მჭრელი იყოს მტერზე—და ღმერთმა არ გვაჩვენოს თქვენი დამარცხება. მხოლოდ ამასა გთხოვთ რომ ჩვენც გულის არ დაგვაკლო და გავეიზიაროთ თქვენი მწუხარებაცა და სიხარულიც, მიგვადებინე თქვენთან ომში მონაწილეობა. აქნამამდე შაში და კრძალვა მათ ჯადოთაგან გვქონდა, რომ მუხთლათ არ წამხლარვიყავით, ახლა ღვთის შეწევნით და მერე ჩვენი ფარვან-ღევის მანქანების შემწეობით, ჯადო ხომ აღარ გვეკარება. გთხოვთ ახლა რომ ჩვენ კვალად მოწინავედ განგვაწიესო.

ამ ქალების თხოვნამ, არღევან-შაჰა და ქურუიცი დიდათ შეაწუხა და სთხოვა თვითონ არღევან-შაჰამ და დედოფალმა შაჰნაზდუსტმა, ქალების რომ, მოწინავეთ უათრანი, ბარამჯიბილი, ზორაბ-შაჰი და ზორაბ-ღევი ყოფილიყვნენ. და ქალები თავიანთ ქალთა ჯარით მარჯვნივ ყოვლიბანის მხრივ დამდგარიყვნენ და გაჭირვების დროს დახმარებოდნენ. ნარიმანმა უბრძანა: შვილო ქურუი! მე მსურს რომ მოწინავე რაზმებში უათრანთან და ბარამჯიბილთან გადმოვიდე. ქურუიკმა მოახსენა—ნება თქვენი აღსრულდესო. მაშინ ნარიმანი თავის ჯარებით და სარდლებით, უათრანს და ბარამჯიბილს შეუერთდა, ასი ათასი უცხო მემარ ჯარით. დედოფალი სარვიხურამანი მაშინვე მოემზადა თავის ქალთა ფალევენებით, რაზმები გააწიო და დადგ-

ნენ მშვენივრად, ადმოსავლეთის მხარეს ზურგის შესახად, ერთნის ბა-
კმიჯობილისა და ნარიანისა. ფარვან-დევიც თავის ჯადოთ ლაშქრით ჰა-
ერში დადგა უოველ შემთხვევისათვის. მერე ფერეებს ჰყარში, ერთი დი-
დი ტახტი აატანს და ზედ ხელმწიფე არდევან-შაჰა, დედოფალი შაჰნაზ-
დუსტი დაბრძანდნენ. და თავის სახელის მზიდავი ოცი ათასი მოდარაჯე
ჯადოს ჯარი ჰყარში ქეშიკად დაუენა.

შემდეგ ფაშკუნჯმა მოახსენა ქურუკს: სააზიერანო! რადგანც ფარვან-
დევი ჰყარში იმოქმედებს თავის მანქანებს, მეც იმასთან მამოყოფთ, მხო-
ლოდ იმ ადგილას უნდა ვიმოყოფოდეოთ სადაც თქვენ ომი გქონდეთ, და
გაჭირვების დროს გამოგადგეთ, თქვენცა და ფაშკუნებსაც. ფაშკუნჯი ამი-
ტომ ჰყოქრობდა ამას რომ, იცოდა ბაუბაუ-დევი და იმის სახელეები საქ-
მეს გაეჭირებდნენ ქურუკს. და თითქმის სიცოცხლის იმედიც აღარა ჰქონდა
ქურუკისა, ფაშკუნჯს. ქურუკმა უთხრა ფაშკუნჯს: ოჲი ფრინველთა ხელმწი-
ფავ! თქვენ უოველთვის ჰატვი გატვთ იქ დადგეთ სადაც გსურდეთ. შეი-
დეგ მობრუნდა ქურუკი და საჰმან-ადამზადს და იმის ათერთმეტ ამხანგ
დევებს და თავის კოჭლ-მათუზ-დეუს უთხრა: ოჲი თქვენ ჩემო ერთგულნო
და გაჭირვებაში დამხმარებულნო! თქვენ მე არ უნდა დამოხრდეთ. გარ-
დანიქმანს, ასიმს, შირფანჯას და სამახდუზ-ჯადოს უბრძანა: თქვენ თქვე-
ნის ათი ათასის ჯარით და აიარებით, ჩვენ ფაშკუნებსე თყაფურინათ
და ფხიზლათ უნდა იყოთ რომ ჩვენ ჯართაგანი იმათ მხარეს არავინ და-
გრჩეთ დაჭრილნი, თუ ვინიცობა იმათ ჯადოებით შეიპურონ ჯარის კაცნი
ეცადეთ რომ ფარვანს აცნობოთ.

მაშინ ფარვან-დევიც მოახსენა: სააზიერანო მაგაზედ თქვენ ხათრიჯა-
ში ბრძანდებოდეთ რომ იმათი ჯადოები ვერაფერს გააწყობენ, თქვენ და-
რწმუნებულნი უნდა ბრძანდებოდეთ რომ მე არც თქვენ სააზიერანობას ვა-
კადრებ და არც არდევან-შაჰის ხელმწიფობას რომ იმათმა ჯადო-თილის-
მებმა იმოქმედონ ჩვენ ჯარზედ და სხვაფრივ კი რა მოგახსენო! მე აქ-
ნამამდე თქვენი დიდი ხათრი მაქვს და მორიდება, თორემ დვითის მად-
ლით და თქვენის დეგრძელობით, ჩემის მანქანებით აქნამამდე, ბაუბაუს
ლაშქარს ეველას ქებათ გარდავაქტევიდი. ამიტომ ევალად გიმოხრებთ რომ
ჩვენ ლაშქარ-ფაშკუნებს ჯადოსაგან შიში ნუ ექნებათ. რა ქურუკმა ფარ-
ვან-დევისაგან ესეთი იმედი დაიდასტურა, დიდი იმედი და მხნეობა მიეცა
ქურუკს. მაშინ მთელმა სახელეების კრებამ დიდის ხმით დაიძახეს: „გაუ-
მარჯოს დემრთმა ქურუკს და იმის თანაშემწე ფარვან-დეუს“!..

რა ქურუკმა უოველიფე ესე საქმე განაგო, მაშინ შევიდა ერთ ხალ-
ვათში დანიქა და ხელეობ ადურობით დემრთს შეევედრა თავის თავისა და

თავის მოძმე ფაღვეან-სარდლების დაფარვა უოველ განსაცდელისაგან, სთქვა ესე: ჳი, ღმერთო ჩემო გამჩინო! ცისა და ქვეყნის დამმარსებულო, შენ გვიხსენ უოველ ბოროტისაგან და საშინელ ღვეთა და ქაჯთა საკანისაგან. ადგა წამოვიდა და მივიდა თავის სამსურ ცხენთან, ეაჯერსა და უთხრა: „ღეი ჩემო ერთგულო და გაჭირვებაში თავდაღებულო სამსურ! მე თვით საბოლო ღმერთმა მჩუქა შენი თავი, და ჩემი თავიც შენ—ხატრონათ მოგცა. ახლა ჩვენ მოვალეობა გვაქვს რომ ერთმანერთს გამოვადგეთ უოველ გაჭირვებაში და არ დავზოგოთ ჩვენა თავი ერთი მეორისთვის. ახლა შენ იცი და შენმა ღმერთმა რეგორც გარჯები და არ განმშორდები.“ მაშინ გადაეხვია ქუჩუკი და ორსავ თვალებში დაჰკოცნა—და უთხრა წადი ახლა ღმერთი იყოს შენი შემწე. მოითხოვა მაშინვე სამსურის ბარგისტანი და ჩაადგა. მოიხმო გარდანქეშანი, ასიმი და შირფანჯა აიარი, მაშინ დაახლოებით გაცნო სამსურს ესენი და უთხრა: სამსურ ამათ კარგათ იცნობდე რადესაც საჭიროებამ მოითხოვოს ამათ უნდა დამორჩილდე. იქილამ გამობრუნდა და ჯარს წინ გაუძღვა, რაზმები გაწყო მოედნის განაპირას და უოველი ფაღვეანი თავთავის ალაგს განაწესა და თვითონ რაზმების წინ დადგა შეიარაღებული და ტანთ ჩაცმული შუბებიან ჩაჩანით. იქ უოველნი გმარულად იდგნენ თავთავის ჯარებთან: ხოსროვირი, ნარიმანი, ყათრანი ბარამჯიბილი და სხვანი.

აქ ბაყბაყ-ღვეის ამბავი მოიხსენიეთ.

||მ უამად რომ ბაყბაყ-ღვეს დიდი იმედები მისცა რაჯაბ-ეშმაკმა, და თვით მწერობელობა ადუთქვა მთელი ქვეყნიერობისა, დიდათ გამხიარულდა, მაშინვე ბრძანება გასცა და მოედანზე გამოიყვანა თავის ჯარები და ამანაც რაზმებად დაწყო. იმოდენა ჯარები დაყენა რომ იქაურობას აბნელებდნენ და იმათ ორთქლს სრულიად ჰკერი შეეზღუდა.—აი ბაყბაყ-ღვეიც წამოვიდა თავის შვიდ რქიან თავით—რქებსა და რქებ შუა ზარებ დაკადებული. სადაც ფეხსა სდგამდა დედამიწა ზანზარებდა თავის სიმძიმისაგან და მთასავით მოვიდა სარდლების წინ დადგა. მაშინვე თავის სარდლებთან განკარგულება მოახდინა და ჯარები გაწყო რიგზე და გამარჯვება უთხრა. შემდეგ იმის ფოლადის ტანტი ორმოცმა ხვადმა ღვემა მოიტანეს და დადგეს ერთ მადლობ ადგილას, უშველებელი ბაყბაყ-ღვეი ავიდა და ზედ დაჰდა დიდ მთასავით,—გვერდს თავის საჯდომი მხეცი დააბმევინა და თავის უოველივე იარაღი გვერდით დაიწყო.

მეორე მხარეს, რადესაც ქუჩუკის სამსურ ცხენმა დაინახა ეს უშვე-

დებელი დეკო ტანტზედ ასული და გვერდითაც ერთი თავისავით დიდი მხეცი რამ დაიბა, მაშინ ზირი დაადო და საშინლად ათას ნაირი ხმები აღმოუტყვა, ისეთი ხმები რომ ცის ჭექა-ქუხილს უფრო ემზგავსებოდა. კული წამოაჭანდრაკა და იმის მხეცისაკენ გასწია, ქუჩუმა რომ დაინახა სამსურის წასვლა, მაშინვე ხმა მისცა მაგრამ ვერ მოაბრუნა; მაშინვე გაქანა ქუჩუკი და სკდებელი შესტეორცხა კისერზე მოზდო და დაიჭირა. იქილამ რომ მოიყვანა ბინაზე ქუჩუკი ძალაან გაუწერა და ორიოდე მათ-რახი დაჭკრა და უთხრა: მე შენ გთხოვე რომ არ მომშორებოდი. მაშინვე შეხსტა ზედ და მოედანზედ ნავარდობა დაიწყო. შესძახა! ჭეი დეგნო რას აზიკებთ! მოედანი ცარიელია. ჭეი ბაუბაუ-დეგო და დიდო ხელმწიფე! თუ საომრათ მოსულხარ გამოდი და ერთმანერთი გამოვცადოთ, ამას წინად ჩვენმა ფაღვენებმა ხომ ერთმანერთი გამოსცადეს, დეესაც რიგი ჩვენი იუას და თუ არ შეგიძლიან ჩემთან ომი, საბოთ დმერთი იწამე და განკდე შენი მაცდურნი რაჯაბ-ეშმაკი, მაშინ გაკანთავისუფლებ შენა ჯარებით.

როდესაც ბაუბაუ-დეგმა ქუჩუკის ამისთანა სიტყვები გაიგონა დიდათ იწეინა. მაშინვე წამოდგა და თავის მძიმე ლახტი ხელთ აიღო, ტანტი-დამ ძირს ჩამოვიდა და მოედანზე გამოსვლა დააზირა, რადგანაც ამის სიტყვები ძლიერ ითაკილა თავის სარდლებთან. მაშინ წინ აღუდგნენ თავის დიდებულნი და დიდის თხოვნით დაამშვიდეს და უთხრეს: დიდო ხელმწიფევე ჯერ ჩვენ აქ ცოცხლები ვართ, განა, თქვენ გეკადრებათ რომ იმ ბავშვთან იბრძოლოთ? მაშინვე უბრძანა, მამ ახლავ ასი ათასი მეომარი ხვადი დეგნი უნდა იყვნენ მეომარნი თავის სარდლებით მზათ, როდესაც მე ქუჩუკუს შევება, მაშინვე იმ ას ათასმა ერთიანად იერიში მოუტანონ და შუაში მოიმწყვდიონ. ესე რომ ნახოთ, თქვენც ოთხას ათასმა ზედ მოიტანეთ იერიში, ზოგი ლახტით, ზოგი სკდებლებით წაეხვიებით და ცოცხალი დაიჭირეთ რომ მე მიხდა აქვე მოედანზედ გავატყავო; ამათ იმიტომ ამზადებდა ისე რომ ქუჩუკის შიში გუდიდამ არა შორდებოდა ბაუბაუ-დეგს, და თავის გულში ამბობდა, თუ ამას ერთი რამ შეძლება არა ჭქანდეს, ეს ჩემთან ვერასოდეს ვერ გაბედავდა გამოსვლას. მეორედ ესა, მე რომ იმის ცხენს ვხედავ. რომ მოინდომოს ამ ჩემ ლაშქარს სულ გააწაფებს და ჩემ ტანტსცა! ჯერ ახლავე ომი არ დაწყებულა და ჩემ სარდლებს გულები დაუხეთქა. მაგრამ მე ჩემ რაჯაბ-ეშმაკისკან დიდი იმედი მაქვს რომ ის უოველთვის მეუოლება შემწედ. ამ ფიქრებით თავის მხეცს აძნედრდა. იმ ჟამად ფარულად სამანდუზ-ჯადო იქ იმყოფებოდა და რაც განიზრახა უოველივე შეისმინა მოვიდა და ქუჩუკს მოახსენა: ჭეი სააზვირანხო! თქვენ საომრად გახვალთ თუ არა, თქვენზე ხუთას ათასმა ხვადმა დეგმა

უნდა იერიში მოიტანონ და შევიპყრონ. ქურუკმა ესე რამ შეიტყო განინა და სთქვა: თუ ღვთის ნება იქნება მაგდონის იერიშის მოტანა, რა საჭიროა, ნუ თუ ხუთი კაცის იერიშით ვერ დამიჭერს! მე რა შემძლიან? ქურუკის ამისთანა ლაპარაკზე, ფაშკუნჯი და ფარვან-დეგი გაკვირვებულნი დარჩომილიყვნენ ქურუკის ამ გვარ თავმდაბლობაზე და გულგონობაზედ. სიმრუდმა უთხრა ფარვანს, თუმიცა ამის ჰანა უკამანისთანა ძლიერი ფა. ლევანი და თავმდაბალი, ღვთის მოყვარე, არავინ გამოსულა ქვეყანაზედ, მაგრამ ეს იმაზედ გადასამეტია. ახლა ჩვენ ამას უნდა ვეცადოთ რამე, რა დროსაც ბაუბა-დეგმა ხუთასი ათასი ხვალი დევის ლაშქარი შემანხვის, მაშინ ჩვენ ჩვენის ხუთი ფაღვანით. ქურუკით, უფლებანი, ხოსროვში-რით, უათრანით, ბარამჯიბილით და ნარიმანით, ჰაერში ავიწიოთ საჩქაროდ და ამით გადავარჩინოთ ამ ფათურაკს, თორემ სხვა საშუალები არაფერი აქვთ ამათ ჯერ-ჯერობით.

ესენი ამ სჯამი დაუტოოთ და კვალად ბაუბა-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

|| ამ უამად რა უამათაც ბაუბა-დეგი მოემზადა და თავის მძიმე ლანტი ხელთ აიღო მოედანზე გასასვლელად, მაშინ ხომ თავის სარდლებმა არ გაუშვეს; მაშინ ერთი საშინელი დეგი გამოგზავნეს და ქურუკს შემოუტია, ესე შესძახა ქურუკს! შენ რა ძაღლი ხარ რამ ბაუბა-დევისთანა სულთანს წინ უდგები!? წინ გადმოუხტა და დიდი რკინის კეტო შეუმადლა დასაკრავად, ამ დროს ქურუკს გაეცინა, და საჰმანი ქურუკის უკან იდგა, საჰმან-ადამზადმა რამ შეიტყო იმ დევის ამ გვარი უთავბლო გამორთვა, ჯავრი მოუვიდა და ლამის ჭიჭინაზე გასკდა, უნდოდა მისწდომოდა და დაეჭირა, მაგრამ ვიდრე საჰმანი ფეხს გადასდგამდა ქარის უმაღესად სამსურმა საშინლად შეკვირა, მისწვდა და რქაზედ აიგო, იქილამ წავიდა ბაუბა-დევის წინ თავი დაიქნია და ბურთივით წინ დაუხეთქა. ამის მხახველებმა უგეჯამ დიდი ქება შეასხეს. ქურუკიც ამ დროს ზედ იჯდა, მაშინვე უკან გამოიბრუნა და მოედანზედ დადგა.

ამ დროს საჰმან-ადამზადი მივიდა ქურუკთან და მდაბლად თავი დაუგრა და სთხოვა რამ იმ დღის რამი თავისთვის დაენებებინა. როდესაც იმ ბილწმა ბაუბა-დეგმა თავის ფაღვანი დეგი იმის მხედისაგან მოკლეული იხილა, მხედის ძლიერებას დიდი ქება შეასხა, მეტე შეხედა ნახარამ ქურუკმა გაიბრუნა წავიდა მოედნის შუა ალაგას და მეტი რამ აღარ იკადრა იმის ფაღვანებთან. მხოლოდ ქურუკის ალაგას ერთი ვიღაც

უშველებელი დევი დადგა. რომელსაც ხელთ ერთი რკინის დასტანები ეჭირა, ისეთი უშველებელი იყო რომ უაფის მთისთვის რომ დაეკრა იმასაც შუა გაჭკვეოდა. ბაუბაუმა მაშინ იკითხა ნეტარ ეს დევი ვინ არის!?' მაშინ შავმა-დევმა მოასვენა: ეგ დევი საჭმან-ადამზადია, რომელიც ვარუნ-შაჰის თაღისმაში იყო დიდხანს დაშწევდელი, ეგა და თავის ამხანაგი ათ-ერთმეტე დევი, რომელიც ურამან-უათილმა კანთავისუფლად ჰერობილ-ბილამაო. მაშინ ბრძანა, აბა მაგის მოხირდაპირე ერთი ძლიერი დევი გაგზავნეთ, მაშინვე აღასრულეს. ბრძანება და ერთი ძლიერი დევი გაგზავნეს საჭმან-ადამზადის მოხირდაპირეთ. საჭმანს რომ დაუახლოვდა ეს დევი მაშინვე შეურაცხყოფა მიაყენა და გინება დაუწყო. ამას ერთი უშველებელი კეტი ეჭირა ხელთა და საჭმანს დასაკრავად მიუტანა. მაშინ საჭმანმა ხელი მიაშველდა და მარცხენა ხელით კეტი წაართვა და მარჯვენა ხელით ასეთი მუშტი შემოჭკრა რომ თავის ძვალი და ტვინი ერთმანერთში აურია და მოკლა. ამასუდ დიდათ გაჭკვირდნენ და საჭმანს დიდი ქება შეასხეს. მაშინვე ერთი იმასუდ უძლიერესი სხვა დევი გამოგზავნეს, საჭმანი მაშინვე მივარდა ხელდახელ დაიჭირა, დედამიწას დასცა და თავი მოჭკვეოთ. დევის თავი ბაუბაუ-დევს შესტეორცნა. მოკლედ მოგახსენოთ შუადღემდის ასი გამოჩენილი დევი მოკლა საჭმანმა. ქუჩუკის მხრიდან ბარაქლის ხმამ ზეტამდის აღიწივა და კიუინის ხმამ. მაშინ შავი-დევი გაჯავრდა საქმე რომ იმ გვარად ნახა, ოც დევს ერთად უბრძანა გასვლა, ამდროს საჭმანმა დუთის სახელი ახსენა, იმ ოც დევს დაერია და ერთ უამში ის ოცივე მოსრა. მაშინ უმეტესათ დასცეს კიუინა და ამ კიუინასუდ ძლიერ ითაკილეს იმათ. მაშინ გაცეცხლებულმა ბაუბაუ-დევმა შესძახა! არა გცხვინიანთ რომ მაგ ერთმა დევმა მაგდენი ფაღუვანი დევი დაგიხრცათ?! გაჯავრებული ხუთასს დევს უბრძანა: ახლავ მიდით და ლუკმა-ლუკმა აეუწეთო. როდესაც ხუთასმა დევმა საჭმანისაკენ გამოსწიეს. მაშინვე ქუჩუკმა საჭმანის ამხანაგებს ათერთმეტთ დევთ უბრძანა მიშველება და ორას სხვა ხვად დევებს. მაშინვე ეს სისხლის მღვრეული დევნი დაერივნენ და ასეთი ომი შეიქმნა რომ სულ ერთმანერთი გაჟლიტეს, ასე რომ ამბის წამდე-ბიც კი არ გადაჩნა. მაშინ ათასი დევი გამოგზავნეს კვალად საომრათ. ქუჩუკმაც აქედამ მათუზ კოჭლ-დევს უბრძანა თავის ჯარით მიშველება. კოჭლმა-დევმა თავის ათი ათასის ლაშქრით დასცა კიუინა და მივიდა. ერთ უამამდე ისე გააწყაღეს ეგელანი რომ მკვდრის გორებათ შეიქმნა ომის ველი. ბაუბაუ-დევმა ესეთი საქმე რომ ნახა, ასეთი დაიდრიალა რომ ცის გრგვინს ემზგავსებოდა. მაშინვე პირველ სარდალ საუანუნ-დევს უბრძანა, თავის ასი ათასის ლაშქრით მისვლა. ეს მაშინვე გავიდა და კიუი-

ნით დაეცა ქუჩუკის ჯაშქარს, ისეთი ომი მოუხდათ რომ სისხლის ნიაღვრებმა დენა დაიწყო. ვაი იმათ ვინც ამ ომში სიჭმანს და იმის ათერთმეტ დევს შეხვდებოდა. ესენი დაუყონებლივ ხოცდნენ, ასე რომ იმათ ნაკრავს არა დევი ვერ უძლებდა. ამ დროს ქუჩუკმა ზორობ-დევის უბრძანა: თავისის ჯვართ მიშველება, რა ესეც მიეშველა, დასცა თავზარი და ერთი ვაი ვაგლახი. მერე შაჰბაჟ-დევიდამაც შაქუტ-დევი წამოვიდა თავის ჯვრებით. აქედამაც ამბირ-დევი, აფთარ-ზანგი, ანუბუზ-დევი და სურხანაბ-დევი თავიანთის ჯაშქრით. ეს ამოღენა ზღვის ოღენი ჯაშქარი ერთმანერთს დაერივნენ და ჰევიროდნენ! ჰეკალ, მოჰეკალ, შეჰეკარ, შეიბუარ და ერთსაც ცოცხალ ნუ გარდაარჩენთ! როდესაც საჰმე ძლიერ გაჭირდა მეორე მხრიდანაც ურიცხვი ჯარი მოაწვა და დიდი წაღებ-წამოღება შეიქმნა, ისე რომ კაცის თვალი ვერ უუჩრებდა საცოდაობით. ამ დროს ბაჰბაჟ-დევის ჯვრები გაიბრუნეს ალმები დალეწეს და ბაჰბაჟის ტახტამდე ხოცვით მიჰყვებენ.

ამ დროს არჯავ-დევი წამოვიდა დიდის დრიალით და თავის ჯვრებით მამაცურად მოაწვა და კარკა ხანს შეათერხა და ქუჩუკის ჯარიდამ მრავალი დახოცა, მაგრამ ვერაფრით ვერ გააბრუნა, წინ ზორობ-დევის შეხვდა და ერთმანერთს მიესალმნენ გურზით, ხლმით, ჯახტით და შუბით, მაგრამ ვერა რომელიმე აჯობა. ახლა საყანხუნ-დევი მოუხტა დიდის ჯვართ ზორობს. ამბირ-დევი რომ ესე ნახა ზორობზედ ორი ძლიერი დევი მოსული იმის შესაპერობლად, მაშინვე წინ გადაეღობა ამბირი, საყანხუნს და ასეთი ჯახტი ჰკრა რომ გულამა დაეცა და ფეხქვეშ გაქეჯეს. ამ დროს თავის მხრის დეგნი მოსცვივდნენ და აყენეს, უნდოდათ რომ გაეჭვიათ. ამაზედ კიჟინა დასცეს და არ გაუშვეს იმის გაქეგვა, ამაზე მიჰყვებენ აქედამ ხოცვით და იმოდენა ჯარი სულ იქით მიჰყვარეს. ახლა ხანანან-დევი და შავი-დევი წამოვიდნენ, თავიანთ მოწინავე ჯვრებით და შემოუტოეს; შეიქმნა საერთო არეული ომი ისეთი რომ ერთმანერთს ვეღარა სცნობდნენ. მაშინ უოვლიბანის გულმა ვეღარ მოითმინა, მარჯვნივ უოვლიბანი და მარცხნივ ხოსროვირი, შუა მხრიდამ უათრანი, ბარამჯიბილი და ნარიმანი წამოვიდნენ მშვენივრად, ისე გმირულად რომ იმათი გულადობა და თავგანწირულება მტერსაც მოეწონებოდა. დასცეს ერთიანი კიჟინა და დაერივნენ ესენიც. მაშინ ქუჩუკი მადლა იუო ჰეკარში აწეული და იქიდან დაჰყურებდა. ნახა რომ უოვლიბან-შირვანმა, ხოსროვირმა, ნარიმანმა, უათრანმა და ბარამჯიბილმა, გააპეს მტრის ურდოები და ბასრის ხლმებით ვაი დამართეს და ერთმანერთს კი არა შორდებიან. საითაც რომ ეს ხუთნი გმირნი შეუტეოდნენ, სულ ერთმანერთსა ჰკრავდნენ, მარჯვნივ მხრიდანაც ზორობ-მანჯა, გარდანქემანი, ასიმი და შირფანჯა, მიუხტნენ და დ-

დი სისხლის ღვრა შეიქმნა, ისეთი რომ სისხლის ნიაღვრებს შვედრები მიჰქონდა, ახლა იქიდან მოიტანეს იერიში, შავმა-ღვემა, ხაზარან-ღვემა და არჯაგ-ღვემა, შეიქმნა დიდი ხმიანობა ისე რომ უერთა სმენა აღარ იყო. მაშინ ამ ხუთთა გამოჩენილთა ფაღვეანთა ფაღვენებზედ ათი ათასი ღვევის ჯარი შემოერტვა და დაიწვეს თავგანწირულად ბრძოლა. ამ დროს აფთარ-ხანგმა და ამბირ-ღვემა რომ თავით ვეღარ ნახეს ეს ხუთნი გმირნი, მაშინ დაუძახა აფთარ-ხანგმა: ჭეი ძმაო ამბირ! ჩვენ ხუთ გმირ ფაღვენებისთვის ხუთას ათას კაცმდის, რკალი შემოგვლიათ და ებრძვიან და თვითონ კი აღარა სჩანან. მაშინ შეხედეს მართლა რომ ურიცხვ ჯარში როგორც ზღვაში ერთი კაზლი წყალი ჩაწვეთო და არ გამოჩნდეს ისე აღარ სჩანან თავიანთ ფაღვეან-სულთანნი. რასაკვირველია მაშინვე ამათ, თავიანთ ჯარებით მიუხტნენ და ამათაც რკალი შემოარტვეს. მაშინ ესენი ცდილობდნენ რომ როგორმე რკალი გაერღვიათ და დაეხსნათ თავიანთ გმირები, მაგრამ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ, ასეთი ხოცვა და უსუსო შეიქმნა რომ იმათი სისხლით ბრძოლის ველი მოიწყო. შუაში მოიწვედნენ ფაღვეანნი ისეთის ხმით სწევდნენ ნარას რომ, ამ ფაღვეანთა ხმისგან, ზოგი ზირქვე ეცემოდნენ და ზოგნი შტერდებოდნენ და ისე რჩებოდნენ გაშტერებულნი. მაშინ ბაყბაგ-ღვემა ზევიდამ დასცქეროდა ამ სისხლის ღვრას რომელნიც აკვირვებდნენ ბაყბაგს ეს ხუთნი გმირნი. ყოვლიბან-შირვანი, ხოსროშირი, ნარიშანი, ყათრანი და ბარამჯიბილი, რომელნიც მამაცათ იბრძოდნენ დაუცხრომლად და თანდათან უფრო და უფრო წინ იწყოდნენ, ამაზედ ძლიერ შეფიქრებინდა და დადგინდა.

ხოსროშირმა ნახა რომ იმათგან კვალად მოემატათ მებრძოლნი და ახლა ხაზარან-ღვემა მოვიდა ხმაუ ამოდებულნი ხელში და მრავალი დევნიც დახტა. ამ დროს ხოსროშირმა შესძახა: ჭეი შე წყეულო! მაგათ ხოცვისგან ხელი აიღე თორემ შეგანანიებ. ამ დროს გაექანა ხოსროშირი და ძლიერად შუბი აძგერა, ისე ძლიერად აძგერა რომ ყაფის მთისთვის რომ ეძგერებინა შუა გაჰკვეთდა, ხაზარან-ღვემა ფარი მოაგება, ფარს შუბმა ისე გაუარა როგორც შვერვალმა ნემსი გაატაროს სკკერავში. ამ დროს ხელიდამ ფარი გავარდა ღვეს, მერე გურზი მოიმარჯვა ხაზარანმა და შეუტია და დასაკრავად შეუმადლა, ამ დროს ხოსროშირმა ფარი ვეღარ მოიხსრო და იმის შემადღებულ გურზს თავის ღახტი შემოჰჭრა და ხელიდამ გააგდებინა, ამაზე ხაზარან-ღვემა ძლიერ ითაკილა და ხმაუს ხელი გაიკრა და ხოსროშირს შედგრად შემოჰჭრა, ხოსროშირმა კვალად ფარი ვეღარ მოიხსრო და ღახტი მოაგება, მაგრამ იმ წყეულმა ხაზარანმა ისეთი ძლიერად დაჭრა რომ ღახტი გაწვევითა და მხარს მოახვედრა—და არა

მცირედ დაჭკოდა და სისხლმა ღენა დაუწყო. ხოსროვშირმა რა თავისი ლახ-
ტი გაწვევტილი ნახა და თავის თავიც ისე დაჭრილი, მაშინ გაჯავრე-
ბულმა ხოსროვშირმა ერთი საშინლად შესძახა და უთხრა: შე ბილწო ვე-
ჭობ ხლმის შემოკვრა ჩემგან ისწავლე! მაშინ ერთ უარამანისეულ ბასრს
ხმაღს ხელი მოიკლათ და ხუთ მწერტაზე მადლა შესტა და დასძახა! ტყე
შე უმზგავსო ბილწო, გაფრთხილდი, მაშინ იმან თავისი ფარი იფარა მა-
გრამ ძაღის იმედუელმა ხოსროვშირმა ასეთი შემოკვრა რომ, ფარი შუა
გაჭკვეთა და ერთი თავი მოჭკვეთა მხარს დასჭრა, მაშინვე ერთიც მოინ-
დომა დაკვრა რომ სრულად გაეთავებინა. ამ დროს თავის ღვეთა გაიტა-
ცეს და მოაშორეს.

ამ დროს უოვლიბანმა და ნარიმანმა ერთმანერთს ხმა მისცეს და გა-
ატრიალეს ეს ამოდენა ლაშქარი, თავიანთ სარდლებით და უკან ხოცვით
მიჭყუნენ. ამ დროს შავი-ღვეი და არჯავ-ღვეი წინ დაუხვდნენ და ახლა
ამათ გამოატრიალეს. მაშინ უოვლიბან-შირვანმა ერთი ძლიერად ხმალი შე-
მოკვრა შავ-ღვეს, ხელში მჭერალ შუბს და შუასეუდ გადუმტვრია, ამ შავ-
ღვემა თავის გატყენილი შუბი, ჯიროთის კეტივით შესტეორცნა და გულ-
ში ჭკრა და დაჭკოდა. მაშინ გაჯავრებული უოვლიბანს დაეწია და ხმალი
შემოკვრა და ორი თავი და რამდენიმე ხელი მოჭკვეთა, შავი-ღვეი გულ-
აღმა დაეცა, და მსწრაფად უოვლიბანმა ქამანდი შესტეორცნა და გასეკს
გადააგვა, მაგრამ ქამანდი იმისმა ღვეებმა გასჭრეს და შავი-ღვეი გაიტა-
ცეს. ამ დროს ნარიმანმა შესძახა და ღვეთა შეუტია, და ისე ხოცვით მი-
ჭყვა, აგრეთვე უათრანმა და ბარამჯიბილმა, იმ დღეს დიდძალი ღვეთა ჯა-
რი ამოუწვეტიეს. ამ დროს ბინდმაც მოატანა და გასაყარს ნაღარას ჩაბე-
რეს და უოველი მხრის ლაშქარი თავთავის მხრისაკენ გადავიდნენ.

ამ დროს ქუჩუგი, ხოსროვშირსა და უოვლიბანს წინ მოკვება და
პირსა აკლცა, იმათაც აკლცეს და გამარჯვება მიუღოცა. მერე ერთად შე-
იკრიბნენ უოველნი ფაღვეანნი: ნარიმანი, უათრანი, ბარამჯიბილი, ხოს-
როვშირი და სხვანი, მივიდნენ ხელმწიფე არღევან-შაჰთან და გამარჯვება
მიუღოცეს და თავთავის საფაღვენო სკამებს დასხდნენ. მაშინ არღევან-
შაჰს ფეხზე წარმოსდგა დიდის სიუვარულით და ქებით დალოცა და დიდი
მადლობა გამოუცხადა და უოველთა ძვირფასი ხალათები უძღვნა. აგრეთვე
სხვათა ფაღვეანთა, დიდებულთა და მცირებულთა. ამათაც უოველმა დიდი
მადლობა მოახსენეს ხელმწიფე არღევან-შაჰს და სიტყვა წარმოსთქვეს:

„ტყე ხელმწიფევი შვიდთა იუღიმთა მშერობელ! ჩვენ უოველთავის
ერთგულად გვიმსახურნია. თქვენი მამაპაპისთვის, და მოვალენიცა ვართ
რომ ახლა თქვენც გემსახუროთ ამიტომ ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, ჩვენ

სახაოთ ღვთისაგან რომ ის მოგვცემს ჩვენ იმ ძლიერებას, რომლითაც ჩვენს მტერს აღუდგებით და დავამარცხებთ. იმას ვისაც ადამიანთ ტანჯვა და დაუღალავი წვალება ჰსურს უოველთვის“. შემდეგ სიტყვის თქმისა უკვე თავთავის ალაგს დაჯდა და მეჯლისი გამართეს სინარულისა.

ესენი ამ ლხინში და სინარულში დაუტეოთ და ბაუბაუ-დევის ჯარის ამბავი მოისსენიეთ.

იმ დროს როდესაც ბაუბაუ-დევა თავის ჯარის დამარცხება და თავის ჰირველ სარდლების დაჭრა ნახა, ძლიერ გული გაუტყდა და შეწუხდა. მაშინვე ჭაქიმები მიუჩინა ხაზარან-დევის და შავ-დევის და ჭრილობისაგან მარჩენინა, მაგრამ ოთხ თავიდან ორი თავი დაკლდა. აგრეთვე ხაზარან-დევისაც სამი თავიდან ერთი თავი და შეკლავები. რომელიც ხოსროვშირმა მოსწევიტა. ბაუბაუ-დევა რომ ნახა ესენი ესე დასაუიჩრებულნი დიდათ დაღონდა, მაგრამ მეორე სარდლები დიდ იმედებს აძლევდნენ და ეუბნებოდნენ, თქვენ მაგაზე ნუ სწუხხართ! ახლა ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩვენ რაჯაბ-უმაკის შემწეობით. ამ უმად ათი დღე აღარ მოხდა ომი და ლაშქარმა დაისვენა, ამ ათ დღეში ლაშქარი დაიფანტა სანადიროთ, და ამით გულს ინავარდებდნენ.

ესენი ამ ნადირობაში და ნავარდობაში დაუტეოთ და ახლან დანიწოება ქურუკისა და ბაუბაუ-დევის დიდი ომები და ქურუკისაგან ბაუბაუ-დევის შეპყრობა.

როდესაც ათმა დღემ განვლო და ორივე მხრის ლაშქარმა კარგათ დაისვენეს, ათი დღის შემდეგ ორსავე მხარეს დიდ მზადებაში შევიდნენ, მოემზადნენ და ბრძოლის ველზე გამოვიდნენ. რაზმებად გაეწევნენ, იქით მხარეს ბაუბაუ-დევის ლაშქარი და აქეთ მხარეს ქურუკისა. ამ დროს ბაუბაუ-დევა თავის საჯდომი მხეცი მოაყვანინა და დიდის ამბით ზედ ამხედრდა. მკითხველო წინათაც მოკახსენეთ ბაუბაუ-დევის სისრულე და იმის სიმაღლე, ახლა მეტათა ვსთვლი ხელმეორეთ გაგიმეორათ. როდესაც ამხედრდა თავის მხეცს, უოველი იარაღი ზედ შეისხა და წამოვიდა დიდის ქალით თავის სარდალ-თაღეუბებით და ოთხსი ათასის მოწინავე ლაშქრით. (იმ ლაშქრით რომელიც ამას წინად უბრძანა თავის სარდლებს რომ როდესაც ქურუკი გაძმოსუდიყო ომის ველზე ბაუბაუთან საბრძოლველად, მა-

შინვე ამ ოთხას ათას ღვეთა ლაშქარს უნდა რკალი შემოერთება და ქუჩუკი ცოცხალი შეეპურათ. რამ ბაუბაუ-ღვეს უნდა გუდათ ამოქაღო.)

— ახლა კვლად რამ განაწყო და დარაზმა ეს ოთხასი ათასი მკოშარი ლაშქარი და ბრძოლის ველზე გამოიყვანა. ამ დროსაც უთხრა თავის სარდლებს რამ რკალი შემოერთება და რეგორმე დაეჭინათ ქუჩუკი. მაშინ იქილამ გამობრუნდა დიდის უოფით და მოედნის თავს დადგა. ამ დროს ქუჩუკმა რამ ბაუბაუ-ღვეი იხილა მოედნის თავს გამოსული, თვითონაც მაშინვე უფველი თავის ჯარები გააწესრიგა და გააწყო. შემდეგ უფველიანს და ხოსროვიანს უბრძანა რამ შემარჯულებთ დამდგარიყვნენ და შემარცხებთ თავის მამა ნარიმანი და ბარამჯიბილი, მხოლოდ თავის ზურგის შემინახველად ზორაბ-ღვეს უბრძანა და ქაბუნჩას. ანუბუზ-ღვეს, აფთარ-ზანგს, აშირ-ღვეს, კოჭლ-ღვეს უბრძანა, დასავლეთის მხარე შეენახათ და უბრძანა რამ საითაც ლაშქარს. გასჭირებოდა იქითკენ მიშველებოდნენ. ზორაბ-შაჰს ჰუსნიანს, გულიჯანს, გულჩინს და რუიზანსაც უბრძანა: თქვენ თქვენის ქალთა ჯარებით მოშორებით დაღვით, რადესაც ნახათ რამ იმათი ჯარები სულ ერთად დაეცნენ ჩვენ ჯარებს, მაშინ თქვენ იმათ ჯარს უკანდამ მოექცით, და რაცა ჩემი ნარის ხმა მოკეს მეთ, მაშინვე კიჟინა დაეცით და იერიშით წამოღით. მხოლოდ კაბრთხილებთ რამ, არამც და არამც საითაც ის წეეული ბაუბაუ-ღვეი იუოს იქით მოიტანათ იერიში. ისინიც რამ განაწესა. მაშინ ფარვან-ღვეს უბრძანა: სუყარელო ფარვან! თქვენც ამას გთხვავთ, თქვენის ჯარით და ჯადოს ლაშქრით, საითაც ქალთა ჯარი დადგეს იქით დაღვით და გაუფრთხილდით ბანჯანთა. რადესაც ქალთა ჯარი დაიძრას საშველად თქვენც უკანდამ კიჟინით და რაზმწეობით მოსდიეთ. შემდეგ საჰმან-ადამზადს უბრძანა: შენის ათერთმეტის ამხანაგ დევებით და ასი ათასის კარგი მკომარი ჯარით აღმოსავლეთის მხრივ უდარაჯეთ შემთხვევას, თუ ვინცობა გვქაღიეს მაშინვე მოგვეშველე. კარდანქშანს, ასიმს და შირფანჯას უბრძანა: თქვენ უფველთვის ჩემთან უნდა იმყოფებოდეთ. სამანდუზ-ჯადლოც ქალთა ჯარში გაგზავნა ფარვან-ღვეთან. ესენი რამ უველათერი დაადგინა და გარდა იქილამ დაბრუნდა და ხელმწიფე არდევან-შაჰსთან მოვიდა და მოახსენა: ცუე შვიდთა იუფიშთა მზერობელო ხელმწიფე! თქვენც, თქვენი შაჰნაზდუხტ დედოფლით, ჰერში. ტახტს დაგიდგმენ ფერეიბი და იქ დაბრძანდით, იქილამ თამაშა გვიუყრეთ.

(ამის გაგრძელება იხილე მეთორმეტე კარში.)

